


ხვიალ ძვოანუ

თაჲში ლაშქნეჲლუჲლი

გამომცემლობა  
კალმოსანი 

თბილისი

2018

## წინასიტყვაობა

ამქვეყნად იმდენივე სამყაროა, რამდენიც ადამიანი და შესაბამისად, რამდენი გონებაც.

რთულია ყველა სამყაროში შეღწევა, ძალიან რთული, განსაკუთრებით, იმ სამყაროში, რომელიც, თავის ქალაში დაუმწყვდევიათ და გათავისუფლებას, ჯერჯერობით, არ უპირებენ, მიზეზთა გამო. გასაღები ურთიერთობებშია, ლექსებში, მუსიკაში, ფერწერაში, ხელოვნებასთან ზიარებაში, საერთოდ. ჩაკეტილი სამყაროები ამ გასაღებით თავისუფლდებიან.

ღამე თენდება, როცა მოდის დრო განთიადის,  
შავიც თეთრდება, როცა რძისფერს ურევენ ნყვდიადს.  
ეს ორი ფერი საზღვრავს ყველაფერს.  
მე თავისუფალ სამყაროში მინდა ცხოვრება,  
მჯერა, დანარჩენ სამყაროსაც იგივე უნდა.  
ჰოდა, კიდევ შევხვდებით.

ავტორისაგან

**რედაქტორი, კორექტორი – ზვიად მეფარა**  
**წინა გარეკანის მხატვარი – ზვიად მეფარა**  
**უკანა გარეკანის მხატვარი – გრიგოლ ყურაშვილი**

**წიგნი აინჟო და დანიჯაჰდა**  
**გამომცემლობა „კალმოსანში“**  
**კონტაქტი:**  
**ელ. ფოსტა: *kalmosani@yahoo.com***  
**ტელ: 571 19 19 39; 2 665 965**

**ISBN 978-9941-9611-7-5**

## არწივთა სული 27.06.2016.

მჯერა, არწივი არასდროს ტყუის,  
ის ღმერთთან ახლოს დაფრინავს რადგან,  
დემონებს უნდათ, მაგივრად ჭკუის,  
თავის ქალაში წყვდიადი ჩადგან.

მაგრამ, ხომ „ჩვენვე გვეყუდენის თავი?“  
დაე, მათ ისევ მართონ ტეტია...  
მე, საიდანაც ხმა მესმის შავი,  
იქით არასდროს გამიხედია.

თუმცა, მეც ვტყუი, როგორც საათი,  
რომელიც ბევრჯერ ჩამორჩა უკან,  
როგორც ეული, თუ ჯამაათი,  
ან ქვეყნის ანმეოს უმწეო რუკა.

მეც ხშირად ვტყუი, როგორც მამული,  
როგორც კოცონი, მინა და წყალი,  
თვალეები ცრემლით მაქვს დანამული,  
ერთი ჯამბაზი ვგდივარ სანწყალი.

მაგრამ არწივი არასდროს ბუდეს  
არ გაიკეთებს სახლში ადამის,  
ხან მასაც სტუმრობს სიკვდილი მრუდე,  
მაგრამ ვერ წვდება ზეცას ქათამი.

თასი აწიეთ! იგი არწივებს  
ეკუთვნით, რადგან ახლოს არიან  
ღმერთთან, რომელიც არ ამარტივებს  
ჩვენს გზას, თუ იგი პატიმარია...  
არწივთა სულის.

## ლეთა და სამუმი 22.12.2016.

სიცარიელეს ყოველთვის ესმის  
ჩემი და ჩემგან არასდროს მიდის,  
ვერც გამოხედვას ვირიდებ ეშმის,  
ყველგან მენწევა ხარხარა ხმით ის.

მლიან უჯიშო დღეთა რიგები,  
მებრძვის ქვეყანა, გულში მბორგავი,  
მე ვარ სასახლე და იქ ვიგები,  
სადაც გროვდება გრძნობა ორგვარი:

სიყვარულის და სიკვდილის ჩხვლეტა!  
ვერ რიგდებიან სადაც ისინი,  
ნაპირებიდან იხუვლებს ლეთა,  
რათა ჩაახშოს ხსოვნის სისინი!

ერთმანეთს დღე და ღამე ერწყმიან,  
ვიღაც მახინჯი მრევლს წინ უძღვება,  
ახლა გალობას შეცვლის ერთხმიან  
ყეფის ბითური გაპირუტყვება.

კლდეების რყევას ვგრძნობდი მიწიდან,  
უდაბნო წყურვილს ველარ იოკებს  
და ოაზისში შემოიზიდა  
სამუმი, ქვიშა და სიხრიოკე.

**უკაცრიელი შარა 28.11.2016.**

მე დამივიწყეთ! ჩემი სამარე  
უძღებმა ხავსმა უკვე დანაღმა,  
ვარ დასისხლული ნისლის ამარა,  
ისე შემშალა ბოლოს ნანახმა!

უკაცრიელი შარა მაბოდებს,  
არასდროს ვუსმენ დღემდე განაგონ  
ზღაპრებს და ვიგებ გზად ემაფოტებს,  
სადაც ლექსებმა უნდა განაგონ

ჩემი უსახო ცხოვრების სტიგმა  
და უბაღობამ მლენოს მშვილდები...  
საშინლად მკანრა ქაოსის ჯიქმა,  
რადგან სიმშვიდეს არ ვუფრთხილდები!...

მე დამივიწყეთ! ჩემი საფლავი  
მუდმივმა ჯანღმა უკვე დანაღმა,  
ვარ საბოლოოდ, სულ და ახლავე,  
დავინყებაზე ისევ თანახმა!

უნდა ვიბრძოლო! თუნდაც, ბრძოლაში ვიყო ეული,  
როგორც ჯოყოლა,  
ვიცი, დრო მოვა, კვლავაც მოუნევთ ძველი ამბების  
წიგნებს მოყოლა,

უნდა ვიბრძოლო; ეს წარმოადგენს ჩემს მარადიულ,  
საუფლო საქმეს,  
არ გავჩერდები, რადგან აფთრებმა კრავის ქურქებით,  
სიმართლე დაგმეს!

მე ვიქნევ სიტყვებს, რათა გარშემო დარჩეს არცერთი  
იარა ღია,  
შორს სიძულვილი, ცრემლი და სისხლი! კალამი ჩემი  
იარაღია!

ვაშენოთ სახლი, სახელად – რწმენა! დაეს, სულეებმა  
შეკრან კამარა,  
ვიდრე, რაც დაგვრჩა, უქრობმა ცეცხლმა ქვედა სართულში  
დაასამარა!

უნდა ვიბრძოლო, თუნდაც, ეულმა, მაგრამ ეული  
არ ვარ, მჯეროდეს!  
იბადებიან ისევ გმირები, არ გაუმართლა  
ისევ ჰეროდეს!

ბრძოლის ქარცეცხლით დაბმული მიწის ურჩი აფრები  
უნდა ავრიო,  
უნდა ვიბრძოლო! უნდა ვიბრძოლო, რადგან ეს ბრძოლა  
– ჩემი მსჯავრია!

მოილანდება ოქტომბრის ნისლი.  
ცამ იმტრედისფრა, გარუხდა ერთობ.  
ვიცი, სიკვდილზე ფიქრს რატომ მიშლი,  
ვიცი, რატომაც არ მტოვებ, ღმერთო!

კვლავ გაანათა ჭალები მეხმა,  
ვცდილობ, ვიპოვო მტრედი ჰიდრაში...  
სულის ჭრილობა ნყვდიადში შეხმა  
და მომენატრა მშვიდი რიჟრაჟი.

მე მინდა ხატვა და უნდა ვხატო!  
გარეთ გრიგალი ღობეს ანგრევდა,  
შემომეხვია ფეხებზე ჯადო,  
რომ ჩამემუხლა ხილვის სანგრებთან.

ეს ხმა, ეს ხვევნა, კოცონს აჩალებს,  
თითქოს, უვნებო ალი ამენტოს...  
არ დავნებდები! ყოფის ყაჩაღებს  
საფლავს გავეუთხრი უორნამენტოს!

მაღე გაასწრებს თავის რწმენა დროს,  
მაღე იხუვლებს მდინარე რუში  
და ისევ ჩვენმა მტერმა შენატროს  
სატანას ძალა, მკვლელი და მრუში!

**მე-სტუმარი 28.10.2016.**

ობობის ქსელი გავდა ჰამაკებს,  
თვალი ჩქარობდა, ეძებდა წყაროს,  
მოუთმენლობა ჯვარზე ამაგებს,  
შიმშილს უნდა, რომ ცოფები ყაროს.

ღრიალი უკვე არც მხეცს უხდება,  
იგი უბრალოდ, ხმათა მორგია,  
არსდროს უნდა გაზურმუხტება  
სუფრას, რომელიც არის ორგია.

მე ვიღლებოდი... ჩემს სულს დაღლა კი  
არ ეტყობოდა, მაგრამ მტკიოდა,  
ამოჭიხვინდა კვამლის ჯაგლაგი  
აყეფებული საიქიოდან.

მე ვარ სტუმარი, გამიღეთ კარი!  
გულზე დამანყვეთ სველი პეშვები!  
მონამლულ წარსულს ბრმა წიხლი ვკარი,  
უკვე მომავლის ზღვაში ვეშვები!

არც წარსულის მნამს, არც ხვალის! მხოლოდ  
ანმყოფა ყოფა, მარადი წამი!  
ცხოვრება არის მსხვრევადი ბროლი,  
მინის სიტკობო კი – მირაჟის შხამი!

როცა ფიქრები ხომალდებია  
და მყარად დგანან მათზე ანძები,  
შავი გეგმები რომ აღდებიან,  
მე კი ამ ბრძოლით არ ვიქანცები,

ისეთი ბასრი მჭირდება ჭკუა,  
ამაღლებული დაიპყროს სივრცე,  
არ ვიცი, ხვალე სიცოცხლე თუა,  
მაგრამ სიცოცხლეს ხმა უნდა მივცე!



**ბრძოლის მუსიკა 16.10.2016.**

ცამდე აჭიმულ ტბებს და მდინარის  
უკიდევანო, წყალუხვ ნაპირებს,  
ესმით, რომ გვალვა კიდევ წინ არის,  
მაგრამ სტუმრობას მალე აპირებს.

რა მუსიკაა, მდინარე როცა  
შავ ზღვას ერთვის და მარილს იმატებს!  
ქარმა აფრების დახევა რომა  
და ღრენით ებრძვის ტალღებს, კვიმატებს.

ამოისროლა ბუდიდან ხმალი  
შულღმა და ბრძოლის დაწყება ბრძანა,  
იარაღს მზერა დააკვდა მალი  
და გაიშალა ლაპლაპა დანა.

გაკრული ხელით ხატავს გოია  
მახინჯ დედოფალს და შიშველ მახას...  
თვალეები მგვრიან პარანოიას!  
ხილვა სინათლეს ვერასდროს ნახავს!

მარილს მაყრიან დაჩეხვის შემდეგ  
და ვცდილობ, აღვდგე მტვერიდან მუდამ!  
მე არაფერი ვყოფილვარ დღემდე,  
თუ დღეის შემდეგ ვერაფერს ვუზამ

ვერაგ მდუმარეს, ლაქლაქა ტურებს  
და უმეცრების უდიდეს ქაობს!  
თვითონ სიკვდილიც ველარ მიყურებს,  
რადგან კალამი მასთანაც დაობს!

შლის მეზღვაური სწრაფად ლურჯ აფრებს,  
ზღვა დაცხრა, ტალღა მშვიდად მიმოდის.  
სულს დაღლილობა შიმშილს უმძაფრებს,  
მთვარეს ფერი აქვს ახლა მიმოზის.

ბრგე კაპიტანი დადის გემბანზე,  
სიკვდილი აქ სურს, ის არსად წავა,  
ზღვა არის მისი ოქროს ემბაზი,  
ზღვა სურს, ზღვას სუნთქავს, ის ზღვაა თავად.

კაიუტებში დაღლილ მატროსებს  
ნახავდით. ინვინენ ისინი დაბლა,  
სულ სხვა მინაზე და სულ სხვა დროში  
ცხოვრებამ მათი იღბალი დაფლა.

ჩვენ მივდიოდით, ისე ჯიუტად,  
როგორც ვაზის ჯვრით ეგრისში ნინო,  
ისევ დაუკრა ზღვამ ეტიუდი,  
რომ კვლავ ბობოქარ ტალღებს გვასმინოს.

იქით არ არის, რასაც ვეძებდით,  
არც მე მაქვს ძალა, მორევს შევება!  
ვიღაც გვამწყვდევდა ლამის მხეცებთან,  
იქ, სადაც დევებს თქველფდნენ დევები.

კვლავ მივდიოდით... გემმა შეცურა  
უცნაურ წყლებში, სადაც პრიმატებს  
სულ არაფერი ეცხოთ მხეცური  
და უჩვეულო იდგა კლიმატი.

ზღვაზე არავის ჩაგრავს არავინ,  
თითქოს, ძარღვებშიც ჩუხჩუხებს იგი,  
ის არის ბოროტ დღეთა მპარავი,  
ის სუფევს ავი სამყაროს იქით.

ეს სვლა ტალღებში, არის უსრულო,  
ის არ მთავრდება და არც იწყება,  
არ მინდა, ხმელეთს ნება ვუსრულო,  
დამატყდეს ტკბობა და შეზიზღება...

შლის მეზღვაური ლურჯ აფრებს სწრაფად  
(ზღვისსისხლიანთა სულ სხვაა კასტა)  
რომ ცარიელი არ იყოს გრაფა  
დღიურში, სადაც წერია – „ზღვასთან.“

## **რწმენის დამსხვრევა 08.09.2016.**

ეჰ, აღარაფრის კეთება არ ღირს...  
რწმენის დამსხვრევა მოაქვთ ნიავებს,  
მე მარტოობის გავმართავ მარხილს  
და გავექცევი ცეცხლის სიავეს.

ფარისევლობის ვხედავ ვუალებს,  
აღარ ვენდობი ნიღბოსან მინებს,  
ჩემში ვერასდროს ირიტუალებს,  
რისი კეთებაც უგულოდ მიწევს.

დრო დადგა აფთრის, სვავის და ქორის,  
საქმე აღარ მაქვს არცერთ სტამბაში...  
და ამდენ მღიმარ ჯამბაზთა შორის  
ვარ დარდიანი ერთი ჯამბაზი.

## ფსიქო-ქაჯეთი 14.10.2016.

ვულკანებიდან მაგმა ამოდის,  
ყელამდე აღწევს უკვე ეს მაგმა.  
იქნებ, წამოვდგე ამ სალამოთი  
და დამანებოს თავი ეშმაკმა.

მე ვაფერადებ მიწის წიაღებს,  
რომ კაცთა მოდგმამ მალე ნახოს ის  
ფერი, რომელიც მზეს აციაგებს  
და დაატიროს სხივებს, დახოცილს.

მეც ჩამითრია გვირაბის შუქმა,  
მჯერა, ათინათს შევიცნობ მალე,  
როგორ მომბეზრდა წყვდიადის ლუკმა,  
სადაც წარსულის ცრემლები ვმალე!

ხან თრთიან, როგორც გოგონას მხრები,  
ხან დგანან, როგორც ბეჭები დევის,  
ხან მინავლული ცეცხლივით ვქრები,  
ხან არ მაქვს შიში ღამეთა თევის.

ვიღვიძებ; სული კარგი რამ არის,  
მაგრამ არ მინდა თავი ასეთი...  
როდის გავხდები მკვიდრი სამარის?!  
უნდა ავიღო ფსიქო-ქაჯეთი!

ვულკანებიდან ამოდის ლავა  
ვერცხლი როდემდე უნდა ვიტანო?  
მთა ადგილზეა! ის არსად წავა,  
ეს, კაცი უნდა გახდეს ტიტანი!

**შორს მიწიდან**

**15.09.2016.**

გადავიჩიეხე ხევში კინალამ!  
რეალობასთან ვერ ვიტან კავშირს,  
მე ერთხელ ნანახს მუდამ ვინახავ  
ლექსებში, სულში, გულში და თავში.

მარადიული ყოფა მაბოდეებს;  
ძალიან შორს ვარ ალბათ, მიწიდან,  
აზრი მოასკდა ღრმა კალაპოტებს  
და უჯრედებში შემოიზიდა.

აზრის სიჩქარე, სხივებს რომ ასწრებს,  
უძველეს კლდეზე კიდია ჯაჭვით...  
სიტყვებით ვაგებ მწვანე მონასტრებს  
და შავ სასახლეს! არ გინდათ? დანვით.

**შავი ბრღემლები**

**30.07.2016.**

გვირაბის აჩრდილს გავს ორეული,  
სნეულ მიწაში გესლის თესლია,  
როგორც სიკვდილის მავზოლეუმი,  
ლექსებს ურგები რქები შეშლიან.

იქნებ, დამინდო ღამეთა ყულფო,  
მე შენ გგოდნობ! უკვე ყელში გამები...  
სიყვარულს თვალებს ცრემლებით ვუღებობ  
და მამხნევებენ მონოგამები.

მითხრეს: „ჩვენთან ხარ? ჯილდო შენია!“  
წინ ვარვარებენ შავი გრდემლები...  
მე წყევლის წვეთიც არ შემრჩენია  
და არც წყვდიადით დავინწყევლები.

## ყოფის დაისი 02.09.2016.

სანაპიროზე, სადაც ქოქოსი  
მზეს მაგონებდა ბებერ პალმაზე,  
იფურჩქნებოდა ციცქნა გოგოში  
ქალური კდემა და სიალმასე.

დიდხანს ვუყურე დაისს შორეთში  
და მომეჩვენა, რომ სიკვდილს გავდა...  
მე საბოლოოდ ისევ მოვეშვი  
და მარტო დავრჩი საკუთარ თავთან.

ლამეა, როგორც შავი ცხოველი,  
რიჟრაჟი – როგორც თეთრი ირემი  
და სინათლეა ქვეყნად ყოველი  
კაცის ცხოვრების ნანადირევი.

მე მარადიულ სხივებს მივყვები,  
რომ მკვიდრი გავხდე ღრმა საუფლოსი,  
ხშირად ხვდებიან თუმცა ბრიყვები  
ჩემი და ღმერთის სასაუბროში.

გაიქათქათეს კალთები მთებმა  
და შემოდგომის წვენი დალიეს,  
მალე ზამთართან მოუწევთ შებმა  
მიწის წიაღის გენიტალიებს.

ზღვის ნაპირზე კი პატარა გოგო  
მალე მწიფდება – თითქმის ქალია...  
მე კი სულ მინდა, ის წამი ვზოგო,  
ყოფის დაისმა რომ ვერ დალია.

დავდივარ ტყეში. ახლობელია ჩემთვის ყოველი  
შრიალი ფოთლის...

რამდენი წყენის და პირფერობის ატანა მიწევს,  
ვერავენ მოთვლის,

მე ქალაქიდან გამოვექეცი უაზრო ხმაურს,  
მტვერს და უდიდეს  
სიყალბეს, ზიზღის ზეიმს, უპოვრის წინ ხურდებისთვის  
სადაც ყუთი დევს,

სადაც ტაშს უკრავს ხალხი ფრანტების გნიასს (მოდურად  
ასე ითვლება)  
საჩუქრდებიან სადაც სარკაზმი, სულის სტრიპტიზი  
და გატიტვლება,

ჰალსტუხიანი ზომბების ცვენა, სადაც მკლავაძე  
ჩაგრავს სპირიდონ  
მცირიშვილს ისევ და მჩაგვრელები ცდილობენ, მსჯავრი  
რომ აირიდონ

ქვის და ფოლადის ბორკილებიან ნაგებობებში,  
სადაც ანათებს  
ბნელი და სადაც ვერ გავექეცი ტაძრის წიაღში  
რჯულის ფანატებს...

აქ მსურს, მე თავი აქ უნდა მივცე ტყის და მდინარის  
მზისფერ ლაგუნებს,  
აქ მინდა, დავრჩე მარადიულად, ვიდრე სიკვდილი  
მომიკაკუნებს!

**დაკარგული 06.08.2016.**

სამოთხე გახდა კაცთა ითაკა,  
მინა და ხორცი გვატყუებს მუდამ,  
გრძელ საზვერეში სულ დაიდაგა,  
რაც მოიხვეჭა სიავით ცუდამ.

ლექსით ცხოვრების ვყარე ბელტები,  
ის არის ჩემი ყოფის სადავე,  
გავჩნდი, ვინვალე, ვკვდები, ვგრძელდები,  
სადაც სინათლე ბნელთან ვადავე.

მხოლოდ თეთრისგან მინდოდა, შავი  
მერჩია, მაგრამ უვიცი დავრჩი  
და უნაპირო ხავილით ვხავი  
ოკეანეში დაკარგულ მგზავრში.

გაბმით ტიროდა ბალში ფლეიტა,  
ხის ქვეშ დამარხულ საგანძურს ვშხამავ;  
ამ უმადური ოდისეიდან  
შენთან ვბრუნდები, მიმიღე მამავ!

**დროის მცველები 17.07.2016.**

გონება ყოველს გარდაქმნის ლექსად,  
ფიქრშიც ვწერ უკვე მომხდარის შემდეგ...  
ერთ განუწყვეტელ ტაეპად მექცა  
ის გზა, რომელსაც მიყავარ მზემდე.

ისევ გაუშლის ნაფიქრალს კოკორს  
მუზა და მეც ვწერ, ველარ ველევი...  
და მწკრივებიან პნკარები, როგორც  
ნელგამართული დროის მცველები.



ვიცოდი: სადღაც იდგა სასახლე,  
ღრმა, მისტიური, უცხო და შორი,  
სადაც სიბნელე ვერ ჩავაძალღე  
და წრეებს უვლის გუმბათებს ქორი.

ალბათ იქ ზის და უკრავს ვივალდი  
ოთხივე დროის უწყვეტ ჯადოებს  
(შენ, გენიოსო, სადაც მივარდი,  
სულის შერყევა იტორნადოებს)

გზამ გაიღელა ურღვევი მკერდი,  
ვიღაცამ ნელა აწია თასი:  
„მეპლანეტება სიცოცხლე ერთი  
და სისხლიანი ასი ათასი...”

ყველგან ვეძებდი ხორბლის აგურებს  
და რა ვქნა, ვნება თუ დამესია?  
ის, ვინც ზემოდან სნეულს დაყურებს,  
გეენის მკვდარზე უგვამესია!...

როცა მოვარდა ფრთების ფართქუნით გაორებული  
ცხოვრების ექო,  
მომინდა, მეგრძნო უცნობი ძალა, რომ იმ თოფივით  
ვჭექო და ვჭექო,

რომელიც გვამცნობს ქართულ ოჯახში ნანატრი შვილის  
გაჩენის ამბავს!  
სადაც შემოდის ახალი სული, სავსე ცხოვრების  
კანონებს სტამბავს.

გათეთრდეს ქუდი ჭერზე სროლებით, გულში დაინთოს  
ცეცხლი მესამე,  
ლექიკას სიტყვა „მტერი“ მოაკლდეს, ერთმანეთს ვუთხრათ:  
„შენი კვნესა მე,“

კარი გავულოთ გულში ნაგროვებ თავისუფლების  
ულევ მარაგებს,  
იმ ხმას ვუსმინოთ, რომელიც სულის უკვდავებაზე  
ილაპარაკებს,

გაავებული განცდების გუნდო, ნადი ჩვენგან და  
ტალახში ტოპე,  
მოვიდნენ ჩვენში ანგელოზები, დაინგრეს ჩვენს და  
მტერს შორის ღობე,

რათა ვიაროთ ბოლომდე ისე, ფეხი არასდროს  
დაგვიცდეს ცუდად,  
რათა გვახსოვდეს – გვინდა, ვუყვარდეთ? გვიყვარდეს  
ყველა,  
ყველგან და მუდამ.

**უნდა ვინვალო!**

**14.05.2016.**

უნდა ვინვალო! ამის შეგნებამ გახსნას გონების  
ყველა ნიჟარა,  
პატივს ვერ დავდებ, ვინც ეგოიზმით ჩემს ცხოვრებაში  
ინაგიჟარა,

ნდობა მკვდარია და მიამიტი მელექსის სული  
არსებობს აღარ!  
ლიბრგადაკრული თვალები გენვის თავო, ნეტავ, თუ  
უბრალოდ, ბრმა ხარ?!

ნუხელ, კომმარში, ვფორთხავდი სადღაც... დაყვლეფილი მაქვს  
დილით მუხლები!  
გიჟივით ვამსხვრევ ირგვლივ სარკეებს, თავს ვეომები  
და ვეშუღლები!

ბავშვის ტირილი მესმის რატომღაც... აბრეშუმით  
ფხრენენ ქარები  
მაგიურ ღამეს და დღის სინათლეს, ვიცი, ვერასდროს  
გავეკარები!

ვინვალო და ვიცი, მუდამ ვინვალებ, მაგრამ რა მინდა,  
რას ველი ნეტავ?!  
მე შემძლია მხოლოდ დახატვა და ვხატავ კიდევ  
– ფოლადის მკვნეტავ...  
ყრუ გაგიჟებას.

**კლდეთა მკერდები 29.04.2016.**

აჰა, დავლენე კლდეთა მკერდები!  
მე ხომ ცოცხალი ამისთვის დავრჩი,  
სიკვდილის შემდეგ თუ ავმღერდები  
ყრუ სააქაოს უბილწეს მსჯავრში.

მთელი ცხოვრება ვნერე სტრიქონად,  
ბნელი ლექვივით დამდევედა უკან,  
წინ სარკესავით ირუბიკონა  
სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის რუკამ.

ზვიად, სამოსი უნდა გახადო  
სიმართლეს, ჩაცმულს ძაძებში ზეცის,  
უნდა დახიო გველის ნახატი,  
უნდა ნაშალო ნიშანი მხეცის.

მე ხან მე არ ვარ, ხან კი მე ვარ და  
როცა თავს ვეძებ, მაშინ ნავიდა  
ცის მიღმა მზე და მაშინ შევარდა  
სინათლე ბნელში ბრძენი წამიდან.

**მიწის ორი ჟერი 20.04.2016.**

აპრილში ბრძოლა როგორც კარგია,  
ისე არ ვარგა ბრძოლა აპრილთან.  
ყვავი ყრანტალით ვერცხლისსარკიან  
ტბის ზედაპირზე ნელა დაფრინდა.

ვიცი, ცხოვრება მკაცრად მომარგებს  
არარეალურ ზოგჯერ ნახატებს,  
კვერთხი აფურთხებს ზოგჯერ მონარქებს,  
ზოგჯერ ასკეტი ბნელს ალაღადებს.

ვიღაც იჩემებს უბრალო სახელს,  
ვიღაც კი სუფთა სახელის იქით  
თვალეებს სარგებლის იმედით ახელს  
და სიკეთეზე საუბრობს რიხით.

ორი ფერისგან შედგება მიწა:  
თეთრი და შავი... არასდროს სხვები  
არც არსებულან! მე ქაოსს ვიცავ  
და გაუგებარ მონოლოგს ვყვები!

სად არის ჩემი კერა? გუბე, თუ  
ტახტი?! სად ველი ბოლო ჭაღარებს?!  
ჭემმარიტ ღიმილს მხოლოდ უბედურ  
სახეზე ვხედავ და ეს მახარებს.

## შავი შიშები 05.04.2016.

შემოაღწეა ქარმა გისოსებს  
ნანყვდიადარი, შავი შიშები,  
ვიდრე კივილი იმისტიკოსებს,  
სცენაზე ვდგავარ და ვითიშები.

მე უღიმღამო სიტყვა მაბოდებს,  
ყვირი: „მიშველეთ!“ არავის ესმის...  
ქვესკნელი მესვრის კლდოვან ნაფოტებს,  
წითელი სითხის ჟამია შესმის.

ვგრძნობ, მანადგურებს ძალა ტიტანის,  
დუმილით ანგრევს ჯურღმულს დანტესი,  
სინჯავს სარკესთან ლანგრით მიტანილ  
ძღვენს ანარეკლი უგიგანტესი.

ყურში ყვირილი აღარ შეისმა,  
ძირს დაშვებული, სუსტი ფრთებია,  
მე დამაფიქრა ყველა რეისმა,  
რაც კი ოდესმე მიკეთებია.

საით ვუჩვენო გეზი ნაბიჯებს?  
საით მიფრინავ იმედო ჩემო?  
ხრწნადო ცხოვრებავ, ვერ გამაგიჟებს  
შენი სიდამპლის სუნი და გემო!

**ბაღია**

**26.03.2016.**

ფეხქვეშ დამსკდარი მინა მიგია,  
მწვანე მინდოდა მოლი, არა და...  
წინ უსასტიკეს მკვლელთა რიგია,  
ლოდმა ლოდინი გამიმარადა.

დაჭაობებულ ტყეში ვეცემი...  
აზრი აღარ აქვს, კოშმარი ვის ღლის,  
ჩემს უჯრედებში ღრენენ მხეცები,  
მსმელები ჩემი გონების სისხლის.

ტვინი მიკვდება! კალამი კანკალს  
განაგრძობს, როგორც გველი უბეში,  
ჩემი სხეული გონებას კარგავს,  
ვარ ენაბრგვილი, ტლუ და უხეში.

არ მომეკარო თავო, ვერ გიტან!  
ორქურქა მგლები ყველგან დადიან...  
მე აღმოვცენდი შავი ნერგიდან,  
სიკვდილი იყო ჩემი გადია!

**დროების ხახა 17.01.2016.**

საათმა ჩემში ვერაფრით ნახა  
მისი წიკნიკის მსმენელი და ის,  
ვისაც დაეტყო დროების ხახა,  
მე კი ვზივარ და მივირთმევ ჩაის.

მშვიდად ვარ, ვიცი, ოდესმე რადგან  
მოვიძებნები, როგორც ტერენტი...  
მინდა, რომ ტახტი იმ წამში ჩადგან,  
რომელსაც ლექსით შევაჩერებდი.

## **ბრბო და მამონა 24. 03.2016.**

ბრბო უტიფარი მზერით შეყურებს  
ჩრდილის ხელოვანს, პოეტს, მღუმარეს,  
ყინვა არ ინდობს სადაც ბელურებს,  
სუსტდება, როგორც ყორნის სტუმარი.

ჩრდილის პოეტი მას არ ჭირდება,  
ემეგობრება მამონა ვისაც,  
ვერ ეშლებიან სულში კვირტები,  
ვინც გულში იკრავს მოვერცხლილ ქისას.

მე მინდა მხოლოდ ღმერთის ნათესი,  
რომ მუდამ მწვანედ ყვაოდეს ეზო,  
ვარ მარტოობით უსტიგმატესი,  
რომ მომავალი წარსულში ვთესო.

ყოველთვის ყველგან აღწევს მამონა,  
ბევრი უკოცნის მუხლებს, ლაპლაპას,  
მას, ვინც ეშმაკმა ვერცხლს დაამონა,  
თვითონ ეშმაკი სწრაფად ჩაყლაპავს.

ჩემი ნათელი კუს ბაკნით მოდის,  
მე სიბნელეში ვდგავარ და ვიცი:  
დიდხანს მომიწევს მოსმენა ჭოტის,  
რომ „ყველას დააქვს ჯვარი თავისი.“



**შავი ნახევი 27.01.2016.**

როცა აღვდექი, დავინახე, ვინ  
წამომაქცია გიშრის კუბოზე,  
სუდარად მქონდა შავი ნახევი,  
თავი სიგიჟეს როცა ვუბოძე.

როცა ყვავილის დარგვა მინდოდა,  
მე ხელში შემრჩა წამსხვრევი ქოთნის  
ღამე მახტება უამინდო და  
წყვდიადის ბასრი ნისკარტი მკორტნის.

ძვალმსხვილი ჩონჩხის ცეკვას ვუყურე  
(ეს ტანი ქონდა ალბათ, გოლიათს)  
გვირაბის ბოლოს ჩანდა ფულურო,  
იქ, სადაც გიდად გველი ყოლიათ.

სული შავდება, როგორც ძაძები,  
მეტმასნებოდა ყელზე პათოსი  
ვარ სამუდამოდ განატაცები  
ღრმა პოეზიის ელდორადოსი.

**ღაბრუნება 03.01.2016.**

მე ყველაფერი მსურდა, მერიტმა,  
თავი მიწაზე იჩინა რამაც.  
ჩანს, შუალამის ყორნისფერი თმა  
როგორ ეხვევა კლდეში აკლდამას.

უბრალოებავ, ნეტავ, ჩემი და,  
ჩემი მარადი ყოფა შენ იყო...  
მე საკუთარი ანათემიდან  
სახლში ვბრუნდები, ვით დომენიკო.

გოგოს, რომელიც დილით დაქალდა და საღამოთი უფრო ვნებიანს,  
კაცები, მდგარი უგრძეს რიგებად, აკითხავენ და ეუბნებიან:  
„ძვირფასო ჩემთან წამოხვალ? წამო, გეპატიჟები ქიქა ვისკიზე,“  
გოგოს თვალები უბრწყინავს ძლიერ და სავარძელში დიდხანს კისკისებს.  
ოთახი, სადაც არავინ ცხოვრობს, წუთიერ მდგმურებს მიიღებს ისე და ტანსაცმელი, დაყრილი ირგვლივ, აამკარავებს პაემნის მიზეზს.  
მალე ეკვრება სხეული სხეულს და უკვე ქალიც აწევს ბარძაყებს და სუფთა ჰაერს ნახშირორჟანგიც ტუჩიდან ტუჩში გააპარტახებს.  
არ შრება ოფლიც, ქალიც კანკალებს, კაცსაც მომდგარი პირზე ქაფი აქვს, იგი ჩურჩულებს: „რა მაგრები ხართ, ვეთაყვანები ყველა კაბიანს!“  
გოგოს, ნაცხოვრებს ბედის ჭაობში ჯერ ცოტა კაცის მკლავზე ნაძინებს, გულში ეწვევა ღიმილი მაშინ და ადევნებულ კაცებს დასცინებს.  
დრო არ დამდგარა მაგრამ ღიმილის, სამოსს აკრეფს და ჩაიცვამს კაცი;  
„აბა, მითხარი ტიტველო, ერთი, რა ღირხარ, შენი რა არის ფასი?“  
ქალი გაშრება, ჩაყლაპავს ენას, ქალი, რომელიც დილით დაქალდა, ცარიელ ბოთლებს ყნოსავს და მიყრის იქვე, ცარიელ ლუდის „ბაკალთან.“

„მე? არაფერი... მე შენ მიყვარხარ! თუ არ გიყვარვარ,  
ცოლს ნუ მინოდებ  
და ისე ვიყოთ, როგორც ცოლ-ქმარი, მე შენთვის მინდა  
ყოფნა იცოდე!“  
„რაა?! კარგი რა... შენლა მაკლიხარ! აჰა გროშები,  
მაინც გეყოფა,  
კიდევ იშოვი; შენ არ განუხებს უხორცობა და  
უხელფეხობა.“  
ზურგს შეაქცევს და კარს გაიხურავს, ვნებადამცხრალი  
ოთახს დატოვებს,  
ოთახში ორნი არიან ახლა – მტირალი ქალი  
და სიმარტოვე.

**იარა ღია 11.10.2009.**

ვინც დამიტოვა იარა ღია,  
მისი მზე ჩემი იარაღია.

სულს სურდა, ღამე მარტო ეთია  
იქ, სადაც მუდამ მარტოეთია.

ახლაც უღევი ლოდინით ველი,  
რომ შემეფარებს ლოდი ტიტველი.

სულში მიპოვა ქალმა სირბილე,  
აღარ დამთავრდა მისთვის სირბილი.

სიყვარულისთვის სადიადონი,  
სად ყორანი და სად იადონი?

შენ დამიტოვე იარა ღია,  
მაგრამ ის ჩემი იარაღია!

## უღბარი და ვირჯინია 18.07.2010.

შენ „ანნაბელ ლის“ დაგინერ, ცოლო,  
მე კი მერგება „ყორნის“ გნიასი,  
რომ არასოდეს უჩანდეს ბოლო  
შუქს დედაუფალ ვირჯინიასი.

მინდოდა, შენზე მენერა ბევრი,  
რომ დამეხატა სიღრმე ცოტაში,  
დამეპყრო დევნილს მწვერვალი მდეურის  
და მექმნა ლექსის აჟიოტაჟი.

შენთვის განმეველო გზები მრავალი,  
სადაც შიმშილის ცივი გესლია,  
შენთვის ამენტო სხვა კარნავალი  
და სიდუხჭირე შენთვის მეძლია...

შენს შემდეგ ქალი მეძებნა ვილა?  
მე მარტოობა შევირთე ცოლად,  
შენ ეკლიანი დამადგი ჯილა,  
რომ შენს სიკვდილთან ხსოვნას ებრძოლა!

ვერ მოვესწრები ვიცი სიბერეს,  
ახლაც ეს გული ორად იპობა,  
ასე მოვკვდები, ველარ მიფერებს  
ჩემი ცხოვრების უნატიფობა!

სიცოცხლე ახლა მეტი ჟინია,  
როცა მომაკვდავს თავზე გეველები  
და თუ დამტოვებ, მეც, ვირჯინია,  
მეც დამიტოვე ცხელი წყევლები!

შენ „ანნაბელ ლის“ დაგინერ, ცოლო,  
ჩემს თავს დავუნერ „ყორანს,“ საზარელს,  
რომ მოკვდავობას კალმით ვებრძოლო  
და მოვუსმინო ბნელში სხვა ზარებს...

მსურდა, დამეშრო ყველა ჭაობი,  
რაც კი უბედურს ყელამდე ჩაფლავს,  
მეთქვა, რომ ზეცა სანახაობის,  
ველარ იპოვის პოეტში საფლავს!

უშენოდ მაინც მიპოვის სტიგმა,  
სიცოცხლე მაინც აღარ მწყურია,  
მე ვერ მიშველა ბრძოლამ სასტიკმა  
და ჩემი რწმენაც საკრალურია!

დაკანრავს სხეულს ყინულის ლოლო,  
თავის ქალაში ღრეობს გნიასი,  
მე ვიცი, მალე მომიღებს ბოლოს  
ავადმყოფობა ვირჯინიასი...

მე ჩემს თავს „ყორანს“ დავუნერ მაშინ,  
რომ დამატყდება წყევლა მისივე,  
მაგრამ აღდგება მზე აკლდამაში  
და ატირდება ქვეყნის სიცივე.

დაე, დაემხოს სიკვდილის ელჩი,  
თუმცა, ეს გული ორად მეპობა,  
მაინც არ შევწყვეტ ბრძოლას ქვესკნელში,  
მაინც არ არის გვიან მეფობა!

გოგოვ, სათქმელი დამრჩა რამდენი!  
მინდოდა, მეთქვა, არსებობ ჩემთვის,  
ახლა ყველაფრის მე ვარ ჩამდენი,  
ჩემი ხმა გლოვის მდინარეს ერთვის.

ლამის ბურუსში ჩემთან მოდიან  
ჩუმი განცდები, ჩუმი ბგერები,  
ჩემი სიმღერა ეშაფოტია,  
სიცოცხლის წყაროს ვერ ვეფერები.

ჩია ჭინკები ისევ კივიან  
და დემონების მახლავს ამაღლა,  
ეს სარეცელიც მუდამ ცივია,  
თითქოს, წყვდიადმა მზე გადამაღლა.

ვიცი, არასდროს ვიქნებით ერთად  
და ამისათვის (ჩემს სიტყვას ენდე)  
ეს სტრიქონები, სიმდიდრე ფერთა  
და სიყვარული აგიყვანს მზემდე!

### **ჰე, მომიგონეთ 31.07.2008.**

ჰე, მომიგონეთ, უკვე აღარ ვარ,  
უთქვენობასთან მომიწევს შებმა,  
ჩემი ბებერი სახის დაღარვა  
დღეს დაასრულეს ლურჯმა ტოტებმა.

კვლავ სიკვდილს ვებრძვი, ვამტვრევ და მამტვრევს,  
როგორ მემწარა ყოფის ნაყოფი!  
ხომ ვიგონებდი მუდამ წინაპრებს?  
ახლა მელიან ველში სხვა ყოფის.

ეს სადღეგრძელო ღრუბლებშიც ივლის,  
მინა წკრიალებს, როგორც გონგები  
და როგორც ამ ცხელ, გვალვიან ივლისს,  
თქვენს სასმისებსაც მოვაგონდები.

### **შავ-თეთრი გამა 29.08.2007.**

აღარ მშორდება შავ-თეთრი გამა  
და ბრძოლის ველზე კივის ათენა,  
მე ვარ, ნაცრისფრად ვინც დააღამა  
და ღამე რძისფრად ვინც გაათენა.

ძეგლივით მშრალი წვიმად ვიღვრები;  
არ მინდა, დაჭკნენ ლურჯი იები  
სად მიმაფრენენ ჩემი ფიქრები,  
ასე უაზროდ შურნაძიები?

ვიცი, მომავალს ვუხადე ხარკი  
და არც მომკითხავს ჩემი ბუნება:  
„ზვიად, შენ დღეს ის მოლექსე ხარ, კი,  
ვისაც დუმილი ესალბუნება?“

შენშია მიწის ყოველი ფილტვი,  
მაგრამ არ გყოფნის, ზეცისკენ ილტვი,  
მიწა რა არის? გინდება ზეცა.

ველარ გაურბი სიჩქარის წყურვილს,  
შენ დროც კი არ გაქვს დარდის და ურვის  
და თანამგზავრად ბურუსი გექცა.

შენ ეს არ გინდა ზეცის ვუალო,  
გინდა, ყოველი არიტუალო,  
რაც კი არ ძეგლობს, ცეკვავს არამედ.

ყველა სიმძიმე გულზე მოგება,  
ხშირად მარცხდები, მოკვდა მოგება  
და შენს წილ ჰაერს სუნთქავ სხვა რამედ.

შენი თითები ჩანან მხეცებად,  
მიწა სიყვარულს შენ გეხვეწება,  
მდუმარედ გზავნი მიწისკენ უარს.

თუ შორიახლო არ ჩანს თოლია,  
მაგრამ შენს სულში კვლავ გოდოლია,  
კვლავ ცრემლით ალტობ ფიცის პენუარს.

მე სიბნელეში კედლებს ვეხლები,  
ცარიელია სულის ბედლები,  
სხვისი კი არა, არამედ ჩემი.

ისინი მკლავენ, მაგრამ გავკივიტ  
მე და სხეული კვლავ ეშმაკივიტ  
და იწვის ღამის ლანდთა ტანდემი.



დღეს ჩემი ხვედრი რაც არი – ელდა,  
დღეს ჩემი სული დაცარიელდა  
შიგნით ყინული მეფობს, ვარამო!

მინდა სინათლის პატარა გუნდა,  
მაგრამ არ მოგთხოვ ნყვდიადო, თუნდა  
თვით გალაქტიკა გამინკვარამო.

ლამით ვცხელდები, როგორც აზია,  
ლამით ჭინკები მხრებზე მაზიან,  
ხომ გესმის მთვარევ, ცივო, ფრთიანო?

ირგვლივ იმსხვრევა კერპები თიხის,  
მე გვამში ვიხშობ სამყაროს ხითხითს  
და ბრწყინავს მთელი საქრისტიანო.

**Never**

**31.07.2007.**

მინდა გადაშლა უჩინო ფურცლის,  
რომ ის დაწერო, რასაც არასდროს  
დანერენ, რაც სულს გრძნობებს არ უცლის  
და დავინყების ტყავს რაც გამაძრობს.

ედემში ყოფნის სურვილი მძიძგნის,  
მაგრამ კვლავ გველი?! კვლავ ევა?! Never!  
გთხოვთ, ვულკანებო, გადანვით წიგნის  
ყველა ფურცელი, სადაც კი მე ვარ!

ათასწლეულის წელი მეექვსე  
იდგა, სულო, რომ ნალველს შეევესე,  
ალავლავებულს შავი ჯავრისკენ.

ეჰ... რალაც სიტყვა წვალობდა ყელში,  
მაგრამ გავხადე ჯურღმულის ელჩი  
სიყვარულისად! ვთქვი და გავრისკე.

თუმცა, ნახევრად თეთრი შავია,  
ჩემი და მისი გამთიშავია  
ორფეროვნების ნაშხამარი ზღვა.

ჩემი მეგონა მაშინ სამყარო,  
სულო, წარსულში ნაამაყარო,  
დაგვრჩა დუმილი, ლექსი და რისხვა.

ჩემს თავს რა ვუყო, მოცულს სიცივით,  
ან ჩამქრალს, ერთი ქალის ფიცივით,  
ან ხსოვნას, მკვდარს, თუ ცოცხალს და მწუხარს?

სად დავანთხიო შავი გრძნობები,  
შიგნიდან მჭამენ ბრმა ობობები!  
რა ვუყო მკერდში დანთებულ ბუხარს?

დაბრუნდი!... ხედავ, რა ვარ უშენოდ?  
დაბრუნდი, რათა ყველას ვუჩვენოთ,  
რა შეუძლია ძალას მნათობის!

სუნთქვაც კი მტკივა, რადგან მე ახლა  
ჯალათად მკვლელი კრუნჩხვა მეახლა  
და მჯერა ჩემი უნიათობის!

## პარაზიტები

13.12.2007.

დღეს საქართველოს დრო უდგას მიძიმე, მაგრამ ეს საფრთხე  
მაშინებს როდი,  
ადრეც ვომობდით, მაგრამ მეფეც, ჩვენც, დღეს კი მეფე გვყავს  
ყრუ და ბოროტი,

პირდაბრენილი პარაზიტების მე მოვსწრებივარ  
უდღეურ დღეებს,  
მგონი, გვართმევენ ნამდვილ სამოთხეს და გვაჩეჩებენ  
ცრუ სამოთხეებს,

ნეტავ, რად უნდა აგება ნოეს თავის კიდობნის,  
როცა კიდობანს  
დღეს ადარებენ რაღაც კანოეს, ნოე კი ბეცებს  
უნეეს გიდობას?

ვიცი, რას ეტყვის ქARTველი ხალხი აფთართა ხროვას,  
ტახტზე გაღეშილს:  
„დაე, ამოგხდეთ დამპალი სული სიბინძურეში  
და სიმყრალეში!...“

მათ, ვისაც ქვიათ ქვეყნის „ბოსები,“ სურთ, გვტანჯონ,  
როგორც  
ზამთრის ყვავილი...  
რას დაგვაკლებენ ვილაც ბოზები; ჯოჯოხეთი გვაქვს  
გადატანილი!...

**შენი მონა ვარ 05.08.2007.**

შენი მონა ვარ ჩემო მამულო,  
რა ხუნდიც უნდა უყრიამულო  
შენსკენ მოპყრობილ, ძვალტყავ კიდურებს.

შენშია ბალის ყველა ბილეთიც,  
მაგრამ შენშია საგულგრილეთიც,  
ვერ გადაურჩი ამ სიბინძურეს.

ერთი პატარა კაცი ვარ, კარგო,  
მაგრამ არ მინდა, სიცოცხლე ვკარგო,  
თუმცა, თავს მსხვერპლად არ ვეძნელები

არც შენი მიწის, მზის, ან ცისათვის,  
ჩემში ანთია ალი იმ სანთლის,  
რასაც უფრთხიან ღრმა ქვესკნელები!

შენშია მთელი ჩემი სამყარო,  
თუნდაც, სიცოცხლე დღესვე ამყარო  
და მკვდრად სიკვდილმა დამასახელოს.

მუდამ მოგაპყრობ ძვალტყავ კიდურებს,  
ვერ გამოვიჩენ სიმედიდურეს,  
ვერ მოვატყუებ მე საქართველოს!

**სანთელი**

**16.07.2007.**

ჩემი სანთელი რად ქრება ნეტა,  
ან შუალამე რატომ ამენტო?  
სად მიმაქროლებს ჩემი კარეტა,  
ზამთრის ცასავით უორნამენტო?

მე სეტყვა რატომ არ მეტყვის უარს,  
რატომ ასველებთ ცრემლები ხატებს,  
რატომ გაურბის ფუნჯი რენუარს,  
ან სითბო დუელს რატომ მიცხადებს?

საით მივყავარ ცაო, მისტიურ  
შენს თვალებს – სიზმრებს შავი ხედების?  
სიცოცხლე მიჭირს; სული ხისტია  
და ვერც სარკეში ჩავიხედები!

სიცარიელე უწევთ ქარქაშებს,  
ჩემს თავზე ხმლები არიან ახლა...  
ჩემი წყვილი რატომ კაშკაშებს  
იქ, სადაც სულის მენგრევა სახლი?!...

**სიმღერა გედის**

**22.03.2007.**

მე შემძრავს ფერი მოკლული ბედის  
და ეს სამყაროც შიშით შეხტება,  
მე მიგრძობს ეკლის გაეფექტება;  
მე მესმის ბოლო სიმღერა გედის.

იგი მწყემსია თეთრი ღრუბლების,  
რომ ქარ-წვიმების ატყდეს დებოში,  
ის მეზარეა ცის სამეფოში,  
რომ დრო მოვიდეს თავისუფლების.

**მოდო, სურვილო 16.03.2007.**

ვხედავ უჩინარს, როგორც საჩინოს,  
რომ გაუღიმოს თვალებს, ვნებიანს,  
რიყრაყმა ღამე რომ დააძინოს,  
ვედრები ღრუბლებს, აივნებიანს.

მაგრამ ათრობდა ღამის ცდუნება  
თეთრად შეღებილ გაუმქრალ სურვილს,  
თვალებმა, როგორც გაფრენა ჭურვის,  
იხილეს მზერის შემობრუნება.

მოდო სურვილო, ავნიოთ ჭიქა  
გალაღებული თეთრი ნათებით  
შენ, ნეფერტიტი, მე, ესთეტიკა  
– ჩვენ სიმახინჯეს ვეკამათებით.

**მორა მის 09.02.2007.**

ნუ იამაყებ გველის რონინით  
სულო, ამ სოფლის ორად მყოფელო,  
ის ჭკვიანია სოლომონივით  
და ეჭვიანი, როგორც ოტელო.

მან დაგანთხია სიავე როშვის  
და მისტიური ღამე ბრიალა,  
გვირგვინის ქიმთან ძლიერი დროშის  
ნაცვლად თეთრ ალამს რომ ეფრიალა.

## თეთრი ნერთილი 11.03.2007.

გვირაბი ჩუმი, მჟავე სიშავე,  
დაქრის სამუმი, აქ არ თიშავენ  
თვალეზი შიშებს, შავ-თეთრის შებმა  
უკვე გათიშეს თავად შიშებმა.  
აქ ძირავს ტივებს მზერა ფიგურის,  
ფსკერზე ტივტივებს ექსკალიბურის  
საქმე საგმირო... გასაგონია,  
რომ უნაპიროდ დგას აგონია.  
ცეცხლი მენთება, შავი ემბლემა  
ორნამენტებად მენოემბრება.  
ზვავს ერთი გუნდაც ნამოსვლად ყოფნის,  
იყვიროს თუნდაც ნოემ კიდობნის.  
მწირია მისი ყოფის ვაქცინა,  
ვინც მოგცა ფიცი, მაგრამ დაგცინა.  
ჩემს გზებს, მინდა, რომ რკინით ვჭედავდე  
რეალობიდან გაგონჯებამდე.  
ოქრო, თუ ვერცხლი ბურუსში არ ჩანს,  
რიყის ქვა ვერ ცვლის ხილვაში მარჯანს.  
შემოდის მარშის ბოლო კეთილი,  
მოჩანს გვირაბში თეთრი ნერთილი  
და გავრბი მისკენ, მილიმის ხილი:  
„მოდი, გარისკე, მოდი, მიხილე,  
მომწყვიტე, რადგან ბალის გუბეში  
არასდროს ჩადგან ხვალის ნუგეში.“  
ვუსმენ ნაბიჯებს... კანკალი, შიში,  
ისევ მაგიჟებს რკინის კლავიში.

## ლურჯი ტოტები 04.02.2007.

მე გამაოცებს დამტკნარი სახის  
ლურჯი ტოტები – ძარღვები ბრძენი,  
ვდუმვარ და ვდგავარ ბგერებში ბახის,  
ძარღვებში მოჩქეფს ზღვისფერი წვენი.

ეს გვირგვინია შენი სახისა  
– სინორჩის მცველი ლურჯი არხები,  
მათთან შეხვედრა რადგან მაღირსა  
განგებამ, მშვიდად დავიმარხები.

შენი ცხოვრება არის მყინვართან,  
რასაც ეწოდა მწვერვალი შენი,  
არ ვიცი, როგორ, ვისთვის ვინ ვარ და  
არც მინდა, სულის დავიტყო სენი.

შენი მზეები შენთან არიან!  
რკინის მზეები, ნაშენი მკვიდრად  
და სადაც შენი სუნთქვის ქარია,  
იქ მელოდება მთვლემარე ჰიდრა.

ცისკროვნებიან ლურჯი ტოტები,  
როგორც სიღრმეში ნაპოვნი ოქრო,  
რათა იცინო, ნაცვლად გოდების  
და სულში ტანჯვა არ აბობოქრო.

შენ მოგიძღვნიან კვარცხლბეკზე დგომას,  
დაიკოცნება ხილვით ოცნება,  
შენი ქვეყნიდან წასვლის შემდგომაც  
ნათელი სივრცე შეგემგოსნება.

კაცთა ხსოვნაში დარჩები მუდამ,  
აღბათ, ეს იყო შენი მიზანი,  
სული ზეცაში იხილოს მუზამ;  
მინაზე ყოფნა ვერ გაიცანი...



ხარ წყვილიადების იარა ღია,  
მკაცრი ბურანის მკვლელი იარა,  
შენი სიჩუმე იარაღია;  
არდავინყებას მან გაზიარა!

ხარ კალაპოტი ლურჯი ტოტების,  
შენ წყაროსავით მოჩქეფ და გარბი,  
კლდეც დაირღვევა დროის გოდებით,  
მაგრამ შენ დროზე დარჩები ჭარბი.

ამაყი ხილვა: დამჭკნარი სახე  
როგორ მეტყველებს, როგორ მაოცებს...  
მე უკვდავების ხორცშესხმა ვნახე  
და იმის შემდეგ ვფანტავ ქაოსებს.

**გალაკტიონური 19.05.2014.**

შორს დავლანდეთ იისფერი თოვლი  
და იისფერ ფიფქებს ველით ახლა,  
ლექსთა ზეიმს ველოდებით მოვლილს,  
ლურჯა ცხენებს არ ეტყობათ დაღლა.

არ ეტყობათ დაღლა ატმის რტოებს,  
არც კოშკებს და არც ბაგეთა ლოცვას,  
აქ პოეტიც აღარ იმარტოებს,  
მზეც ბარძიმით ღვინოს ისევ მოსვამს.

ჩქარა, ჩქარა, გული ველარ ითმენს,  
მოვუსმინოთ „მე და ღამის“ რიტმებს.

**მენატრება აფხაზეთის ის ხმა 25.10.2016.**

მენატრება აფხაზეთის ის ხმა,  
მენატრება სინატიფე რინის...  
ახლა ლამის დაგვაბრმავს ზიზღმა,  
აბსურდულმა კონფლიქტმა რომ იცის.

ვწუხვარ, ვწუხვარ, შორეულო ძმანო,  
ვწუხვარ და ზღვის მენატრება ხმები,  
მინდა, სულის ღრიჭოები ვგმანო  
და უდაბნოს ბალახივით ვხმები.

ძველებურად ვნახო თუნდაც, სადა,  
მაგრამ ძველი ის ხედები ისევ,  
აფხაზეთის დიდებული ცა და  
ორი ხალხის მეგობრობა მტკიცე.

**კადრები, აბურები 13.11.2016.**

ჩემი სახლია ჩემი ცხოვრება,  
თითო აგური თითო კადრია,  
თვითონ მონარქი მეუპოვრება,  
თუმცა, წარსულმა, ძალზე დიდხანს, დაბლა მათრია.

დიდხანს ვიყურე უფსკრულის ფსკერზე,  
დიდხანს მეგონა უიღბლო თავი,  
დღეს აღარ ვსინჯავ ეშმაკის კერძებს,  
დღეს ჩაუძირავ ყველა ნაფოტს ვუნოდე ნავი.

მაგრამ ბოლომდე ასეთი დავრჩი  
– ირგვლივ დაცემულს ვერასდროს ვიტან,  
ვერასდროს ვხედავ შენიღბულ ჯავრში  
მონარქის გვირგვინს, ვერც ქისების მქონეში – ტიტანს!

**მე მაპატიეთ**

**02.07.2016.**

მკარგავენ, ჩემი მოსმენა როცა  
არ უნდათ... არ მაქვს სათქმელი ბევრი,  
თუ კაცმა კაცის კაცობა ლოცა,  
კაცი ყოფილა ამ ცხოვრების თვითონ შედეგრი.

ხელზე მაბიჯებს ვიღაცა, როცა  
დაკიდებული ხევში ვვარდები...  
წარსულმა ჩემი დღეები ხოცა,  
მლადრავენ ჩემი უგემური, ბლანტი დარდები.

მე მაპატიეთ, რომ ვარ ასეთი  
გაუცინარი და მგლოვიარე,  
მე უმძაფრესი საგნისათვის,  
უიღბლობა და მარტოობა გამოვიარე.

მე ბავშვობაში ვნახე სიბერე,  
ვნახე შიმშილის მწარე ცელი და  
რაც დამებედა, ვერ შევიფერე  
და ვერ ავდექი მღუმარების სარეცელიდან.

**დუმილი**

**14.07.2007.**

მე ერთ კაცს ვხედავ ცივი ლოდით,  
მშვიდია, როგორც სარკოფაგი, ქვა,  
ის არ საუბრობს ერთი მოტივით  
– მან საუბარი გალაქტიკის ბოდვად აღიქვა.

იგი ჩუმია, როგორც მუმია,  
იქით ამშვიდებს ამით ფროიდებს,  
მისი თვალეები მუზუმია  
და ამ თვალეებით თვითონ დუმის აpinkfloidებს.

ჰეი! მე ახლა მეახლა მუზა,  
ჩვენ კი მას ვუსმენთ და ვეუბნებით,  
რომ მან უფსკრულში ჩაუშვა ღუზა  
და მთელი მისი დარდიანი გარეუბნებით

მწვანე ხელები სწევენ ფიალებს  
(თვლებში ისევ დაცურავს გემი)  
მე – მისი მგზავრი, ღმერთს შეჰქვრივებს:  
„არსებობ, მაგრამ სამწუხაროდ, შენ არ ხარ ჩემი!“

არ შემიძლია, რომ ვიყო ბრძენი,  
არ ძალმიძს, ვიყო მკვრივი რკინაზე,  
სისხლის დულილით რაც დღეს ვიგრძენი,  
ვარწყევ ჩემს გრძნობებს, დედამინის სულის სინაზეს!

გადავახიე ტილო ცოფია  
ფუნჯებს და ჩემი ისევ ჩემია,  
ეს არის გიჟის ფილოსოფია  
და შავი ლექსით შეპყრობილის ეპიდემია!

სევდა შიგნიდან მჭამს და დამატრევს,  
ქვა ვარ, რას ვაქნევ არსებას ქალთა?!  
ვშლი აფრებს, მაგრამ დავხევ ამ აფრებს  
რომ მუდამ დავრჩე მლაშე გუბის ნაშტორმალ წყალთან.

აღარ მეწყება სუნთქვა ახალი,  
აღარ მეწყება ახალი ერა!  
ბნელშია ჩემი ყრუ ტაჯ-მაჰალი  
და ჩემში ინვის შავი გედის ბოლო სიმღერა.

## **ციხის საკანში**

**02.02.2006.**

ციხის საკანში დილა თენდება  
და საკანს მიღმა თავს იკლავს მთვარე,  
აქ გისოსების მუნჯი ბენდები  
დარაბებამდე მოიცავენ ტყვიისფერ თარეშს.

ციხის საკანში ბოლთას სცემს სხივი,  
აქ ათინათიც ებრძვის უკუნეთს,  
მაგრამ ისიც კი ყრუა და ცივი,  
ისიც ნებდება საპყრობილის მკაცრ საუკუნეს.

ციხის საკანში ვგდივარ, ვბერდები  
(არ ვიცი, გასვლა თუ მიწერია...)  
აქ შემოდგომის აისბერგები  
გაზაფხულების მაცოცხლებელ წერილს ელიან.

ციხის საკანში ღამე გავიდა,  
დარაბებს იქით თავს იკლავს მთვარე,  
ყოველ ცისმარე მოდის თავიდან  
თავისუფლება – სხივი ცივი, მაგრამ ელვარე.

## **მტკვარი**

**11.06.2007.**

ჩუმი ხმაურით ჩურჩულებს მტკვარი,  
ტალღებზე ხტიან ლანგრით ქალები,  
ნაგრიგალები და ნასეტყვარი  
მღერის მდინარე.

მტკვარო, თუ სიყრმეს სიბერით ვერ ვცვლით,  
როგორც გსურს, ისე იმღერე. აზრი?  
ბასრი სიბერე სველი ვერცხლით  
არ ქმნა მცინარი.

**თეთრი მხედრობით**

**13.02.2006.**

დღეს გათენდება დილა უშენოდ  
(მარტომყოფს ღამე მეჩვენა დილად)  
ბედმა მარგუნა, სამუდამოდ რომ დავუმშვენო  
გვერდი სიბნელეს, ქცეულს სიკვდილად.

დილა შემოვა მხედრობით, თეთრი,  
ეს განთიადიც ღამემ გარიყა...  
ღამევ, მკვდარიც კი სულ იყავი მხედარი მხედრის,  
მაგრამ ცოცხალიც უკვე მკვდარი ხარ.

შავი რიჟრაჟის აღდგომას მკვდრეთით,  
ყირმიზი ღამის ხვდება აჩრდილი,  
მე ვარ შავ-თეთრი მარტოობის მთვრალი პორტრეტი  
და ქვესკნელიდან ცაში აზრდილი.

**ტაეპების ლიანდაგები**

**20.11.2016.**

დამეხშო სმენა. მაინც მესმის, ოღონდ, შიგნიდან;  
ხშირი შხუილი სხეულში დახტის.  
ძვლის მაგიდაზე გაიშალა მძიმე წიგნი და  
მფლობელი გავხდი ბურუსის ტახტის.

წინ უხილავი გალაქტიკის მცირე ნერგია,  
იგი იზრდება გრიგალის მერე,  
ნეტავ საიდან, ჩემში შედის ზეენერგია,  
თითქოს დავხვრიპე ჯალათი-ვერე.

სმენას ვიშორებ, აღარაფრის მინდა გაგება,  
მე მაინც არსად მისმენს არავინ!  
მიმაქროლებენ ტაეპების ლიანდაგები,  
რომ სიმარტოვის დავდგა კარავი.

**თავში დამწყვეული**

**29.03.2016.**

თეთრის და შავის უთავბოლო გარჩევით ჩავრჩი  
მოფიქრალ ლექსში, ხალხი კი გარბის,  
ლექსებით მხოლოდ ვიგინდარა ივაჭრებს ჩარჩი,  
ან მინიერი ლექსმნერი ხარბი.

არ მეშინია უგუნურთა დაცინვის; ის მე  
მასწავლის, როგორ შევიქმნა თავი,  
მთელ ღრიანცელში საუკუნის ჩურჩულსლა ვისმენ,  
ასე გავურბი კოშმარის ბლავილს.

თითქოს, მეხშობა ყურთასმენა! მე მხოლოდ შევრჩი  
თავში დამწყვედულ გონების კედლებს...  
მე – მწოლიარე, დავსეირნობ უსიერ ტვერში,  
სადაც სიარულს ვერავინ შეძლებს.

**საცეცეპი**

**26.06.2016.**

არ მინდა, ფესვებს მალლა ვხედავდე და  
ვცნობ თავდახრილ თავთავს,  
ხორცის განცხრომას კუპრის ხედამდე  
დემონის ნება მართავს.

ვერ გავექეცი დარდის საცეცეებს, სიკვდილი მუდამ მიწვევს,  
ველარ ვისვენებ – ღამე მაჩერებს წამნამთა ნაცვლად წინვებს.

ვერ გავიხადე სულის შავები, ხალხთან კონტაქტი მიჭირს...  
მე სამუდამოდ უკვე ჩავედი ტანში მღუმარე ბიჭის.

## მიწის საზღვრების მიღმა 22.02.2017.

(სალომეს)

შენ სულში გაქვს ყვავილები სადარაჯო,  
დასეირნობ სამყაროში მწვანე ბლების,  
შენ გრძნობ მიწას, სანყლების და მწვალებლების,  
სიძულვილის კარი გინდა, გადარაზო.

კვირა დღეა, ბაღში უფლი ახალ ნარგავს...  
იგი ხეა მომავალი, ხეს კი არ გავს.

იმ მდინარეს, სახლს რომ აკრავს, ლოდებიან  
ნაპირს, ქალებს და ბილიკებს, სულ რომ უმზერ,  
სულ რომ ფიქრობ სამყაროზე, თბილზე, ჩუმზე,  
სიძველისგან სადაც ხავსი მოდებია

ქოხს ქალაში, შეიარე სადაც შენ და  
სადაც ჩრდილი ღრმა მისტიურ ელფერს ფენდა.

გეცოდება ყოველი და ყველა, ვისაც,  
ანდა რასაც არ ასვენებს შუღლი კაცთა,  
სულზე ფიქრიც მატერიის საზღვრებს გაცდა,  
ზიზლით უმზერ ტანჯვით მოვლილ, წითელ ქისას.

ამ ყოფაში შენ თუ ვინმეს ეცოდები?  
მრავლდებიან ნიღბოსანთა მეთოდები.

ქოხში მუდამ სიჩუმეა... აი რატომ  
სტუმრობ ხოლმე – იქ ხომ წვიმას და რუს ელი  
არ ჩერდება სველი ვერცხლის კარუსელი  
მან არ იცის ტყის სურნელის ყაირათი.

თენდება და ვხედავ; მხრებზე დილა მაზის,  
სადაც ტყვე ვარ უხილავი სილამაზის.



უსახური დღე იშლება, როგორც ჯაყვა,  
ქოლგასავით იკეცება სალამოს ცა,  
ჩაიხვია გულმა ღრმა ხმა და გამოსცა  
უკან, მიწა გააპო და დაბლა ჩაყვა.

ახლოვდება ეტლი მძიმედ. ვხედავ შიგნით  
ბნელიტარულ მტაცებლებს და იერს ცხვართა,  
ერი არის შავბნელის და თეთრის ზღვართან,  
ის იყოფა ორად ღვარძლით, შუღლით, ლიქნით.

ალილოა ყოველი დღე თითქოს... ბურთი  
მეჩხირება მტკივან ყელში და ვეცემი,  
ტკბილი ლუკმა სხვისი იყოს, მჟავე – ჩემი,  
მარტოობას მე ისედაც პირმშოდ ვსურდი.

არაფერი მინდა... სურვილს გულში ვლენავ,  
ის ჩემშია და მოკვდება ჩემში მხოლოდ,  
სადღაც ისმის უბოლოოდ ყორნის სოლო!  
რას მაუნყებს? თუ იყურებს იგი, ნეტავ?...

მელანდება ცივი ტბორი... კვართებიან  
ერთ სულს ვხედავ ორ სხეულში... ქაფი ქრება  
და ყვინთვისას მესმის მათი ჩაფიქრება,  
მაგრამ დარდის კვლავ უფსკრულში ვარდებიან.

შემინიროს დავინყებამ, ნავა თუ ის  
სამუდამოდ გონებიდან მინიერის,  
ჯვარედინი ჯოხით ბრწყინავს ნიჭი ერის,  
მაგრამ ქრება, ღმერთის სახლში როცა ტყუის...

დავთმობ ყოველს, ბალში ადგილს – ყოფის მიზანს,  
მშვიდ ყოფაში ოღონდ ჩემი ხალხი ვნახო,  
დაისვენე ჩემო დედავ და ვენახო  
და არ ნახო, უბალობა რასაც მიზამს!

ქარიშხალი სტვენს ყელიდან ღრმა ჭრილობის,  
შევისწავლე ენა გიჟთა და ჭკვიანთა.  
თეთრს დავტოვე, შავ ნახევარს ვაჭრი ლოგინს,  
ჩემი ფეხზე დგომის სცენა დაგვიანდა...

ვწუხვარ, მაგრამ ჯოჯოხეთში შევა მოძმე!  
თასი მალლა სულ ამაოდ ვინ ასწია?!  
ეჭვი; ჩემი სული მაინც შევამონმე  
– სტვენს ღრიჭოდან ქარიშხლების დინასტია...

ლამის ტყეში კვლავ ყაჩაღად გავიჭერი,  
ნიღბის მიღმა წყევლასავით ჩანდა ქება,  
სულ დამყურებს ღამლამობით შავი ჭერი  
და კაცივით მიმზერს ძველი ქანდაკება...

ახლა ხორხში აუხსნელი, სხვა ხმებია!  
ჩემს ჭიქაშიც ლივლივებენ სტრიქინები,  
მე კი, ვიდრე ყელში ხმლები ჩახმებიან,  
დამწყვდეული შეშლილივით ვიკბინები.

ხშირად ვუსმენ ღამის წინკიკს... საათია  
ბუს კვილი ერთხელ სამოც წუთში ყოველ...  
ბნელმა ხმაში მწუხრი ვეღარ ჩაატია,  
დედაბრები ცისარტყელით ნათელს ქსოვენ.

მღერის ღელე, ხის ხითხითი ტყეში დადის,  
მაგრამ ბნელა და ავს ისმენს ავი ყური,  
მინდა, სულში სამუდამოდ ჩავდო ხმად ის  
თვითგარიყვა, კრიტიკა და ალიყური,

რომ ვიმეტებ ჩემთვის... ისევ ლანდებიან  
ოთახს ვეძებ, კარგად მხოლოდ იქ ვარ, რადგან,  
ის წუთები მსახურები ბრძანდებიან  
და მბრძანებლის შესაფერის სცენას დავდგამ.

მე არაფრის მოლოდინში დავილევნი,  
მე გავკვალე ის გზა, სადაც ნაოჭები  
ჩამითრევენ, როგორც ფუტკარს ყვავილები,  
მაგრამ მაინც ირიბ გზებს ვექაოსები.

ახლოვდება ნელა უცხო კუდიანი,  
გონჯი, კოჭლი, რქიანი და თავლოპანა,  
ჩემი ყოფნა მასთან მუდამ ცუდი არი,  
ვშიშობ, ტვინში არ დამენწყოს სავლობანა.

მელანდება კოცონი და შავი ჭერი;  
დღემდე მხოლოდ კუპრის ტბაში ჩავიჭერი.

კარზე ვიღაც აკაკუნებს, მესმის, ვდგები,  
მინდა, კარი რომ გავუღო სტუმარს, მაგრამ  
არც კარია, არც სტუმარი! მხოლოდ რქები,  
ბალანი და კუდი გდია. კარი გაქრა.

ვარ უკარო საცხოვრისში... იგი მეტყვის:  
„დროა ქარის, დროა ნვიმის, დროა სეტყვის!”

საკუთარი ძვლებისაგან მოლბერტები  
გავაკეთე, საღებავი სისხლი არი,  
ისიც ჩემი... ასე აღარ მოვბერდები,  
აღარ მელის ღამე ცივქარიშხლიანი.

რაც მეგონა, მყარი იყო, სული ანგრევს  
ხელის მოსმით და სცენებით ვივსებ ლანგრებს.

დავდიოდი გზაზე, სადაც პალმის რტოც არ  
ეგდო წამლად, რომ დამეცვა სიმეტრია,  
გაჩენიდან გაეურბოდი ედემს, როცა  
მე იმ ბაღში სული უნდა მიმეტრია.

ვხედავ სახეს... ის უშნო და მელოტია,  
თავზე, როგორც გუმბათები, ადგას რქები,  
არ მანებებს თავს დესპოტი მელოდია  
და ბნელს ვხედავ ასე მხოლოდ, ბნელის ქებით.

ღრუბელს შუბლზე სუფრებივით უფენია  
იდუმალი პალიტრების ქრელი გროვა,  
უსასრულო გზას ვადგავარ უთენია,  
დრო ბევრი მაქვს, როგორც ცრემლი; თვითონ დრო ვარ.

სად წავილო ეს უგულო, ავი ტანი?!  
ვმეორდები, წუთებს მითვლის ჩემი ლანდი,  
ვინ რა იცის, რა მკლავდა და ავიტანე,  
ვიდრე ხალხში მდუმარე და მშვიდი ვჩანდი.

არის მხოლოდ არაფერი, ჩემი სარჩო!...  
ვიტან სიკვდილს, დავეთრევი, როგორც გვამი,  
ისლა მრჩება, საკუთარი გული ვხარშო  
და ვეჩვენო „ბედნიერი“ ქალაქს ამით.

კვლავ მიმზერენ ის თვალები – მხვრეტავეები,  
არ მიშველის, ვიცი, მაგრამ მე ლოთიან  
ლექს ვამბობ და მაინც რქიანს ვედავები  
და ისევ მღრღნის ის დესპოტი მელოდია.

ჯობს, ვიტივართო მძიმე ხვედრი მონანულის,  
ვიდრე, გავხდე ყურმოჭრილი მონა ნულის.

მეძინება... თვალს შორეთში მიყვა რული,  
იხატება ნაფიქრალი კამარაში,  
განსაცდელი დამდევს, როგორც პაპარაცი,  
სამუდამოდ რომ შევიცნო სიყვარული.

ვუსმენ რკინის ამღერებულ ხრჭიალს დაბლა,  
სადაც ტოტებდალენილი გდია დაფნა.

დაცემული თითქოს მთაზე ავედი, ან,  
თითქოს, არც კი დავცემულვარ დღემდე თარსად,  
სადღაც ვხტები და სამართალს ველი არსად,  
რადგან ვხედავ, ირგვლივ მხოლოდ შავეთია.

თითქოს ფრენით მთის მღვიმესთან მივედი, ან,  
იმავე მთის ძირში მაინც, იმედია.

ვხედავ თვალწინ ცხელ წერტილებს... მინდა მათკენ!  
ფრთები მინდა! მაგრამ არა, არ არიან!  
მე სულ ვეძებ არწივების კამარიან  
ცას და ვნატრობ: „მეგობარო, გულს ნუ მატკენ...”

ვიცი, ჩემთვის რეალურად ვინ არი და  
ვისთვის დავღვრი სისხლს ძარღვების მდინარიდან.

უკვე ყელში ამოვიდნენ მამონები!  
სახის ნაცვლად მე ხანდახან ვხედავ ნილაბს,  
ხელიხელჩაკიდებული როცა მიყავს  
რქოსანს მსხვერპლი, მყრალ ქისაზე ნამონები,

მენანება; უფსკრულისკენ მიყავს, ის კი  
ველარ ხვდება, რამხელაა ვნების რისკი.

სამოსელით ქისა მხოლოდ აქ მოსავდა  
ხორცს და არ აქვთ სამოსელი სხვა ალაგებს,  
სიკვდილისას რჩება სუფრა; ალაგებს  
მსახური და ბრბო ქადაგებს საქმოსანთა,

რომ გვაჭამეს ჩვენ მდიდრებმა – ხალხმა კარგმა...  
ჩვენ კი ამ დროს, სულ სხვანაირს, ვხედავთ თარგმანს.

## **პირველწყარო**

**25.04.2016.**

ჩანს ფანჯრიდან ქუჩის კუთხე, ბნელი, სველი,  
ჩემი მუზის პირველწყარო იგი არის,  
ტანს ვუყურებ – პოვნას ვცდილობ იქ იარის,  
ვკარგავ იმედს ორეული თავის შველის,  
როგორც იქნა; ველარ ვნახავ თვალებს შველის,  
ამ თვალების მიღმა მშვიდი ჩიხი არის.

მთის გადაღმა ჩირაღდნები ინთებიან,  
ვხედავ საფლავს, სადაც ირგვლივ ნაძვებია,  
ვხედავ საფლავს, სადაც ძვლები ჩანვებიან,  
სადაც ბლავვი, უცხვირპირო ბინდებია,  
შავ შინდნარში შეშლილები შინდებიან,  
სადაც მწვავე და მწივანა ღანვებია.

მე ყველაფრის კალაპოტი მოვიარე,  
ფრთებს ვეძებდი სულ ამაოდ... სად არიან?  
დარჩენილი მკერდში მხოლოდ ღადარია,  
გახდა ჩემი ორეულიც მგლოვიარე,  
ვერ ანათებს ყორნის ხორხში მდგომი არე  
და ბუს ყელში იქცა მშვიერ მგლად არია.

**მე მივდივარ!**

**25.02.2016.**

მე მივდივარ! მე მივდივარ ახლა მთებში,  
აქ და ახლა მესაქმება არაფერი,  
მუდამ სავსე ნუ იქნება ჩემი თეფში,  
ოღონდ, სახლად მქონდეს ვრცელი ქარაფები.

ნეტავ, ვინმე თუ მიპოვის? კი, თუ მეძებს  
ცისარტყელის ფერადი და ხშირი თმები,  
შავ-თეთრია ჩემი ლექსი, მით უმეტეს,  
წყვდიადთან, ან განთიადთან ვირითმები.

არ მჭირდება ახლა ჩემში ყოფა ბარის;  
ვიყურები დაბლა, მაგრამ რისთვის, ნეტავ?  
არსად, რასაც იქ ვეძებდი, აღარ არის,  
მხოლოდ მიწას და ნაღვლიან სივრცეს ვხედავ.

მე მივდივარ მთებში, სადაც ნისლებია,  
დამყვებიან მონუსხული ამინდები,  
თვალწინ ვრცელი სივრცეები იშლებიან  
და წითელი დაისივით ავინთები.



მკერდზე ცოცავს მენამული ტარანტული,  
ვანგრევ ბუდეს, ასპიტების ანაგებს,  
მრავლად არის ჩვენში კაცი ტალანტური,  
მაგრამ მათი შუღლი გვაჩანაკებს.

ამ მტრობაში ინერება ისტორია...  
ვწუხვარ; ძმა ძმას როგორ, რისთვის იმტერებს?!  
გამონვდილი ხელი თითქოს მგლის ტორია  
და ეჭვებში ვფლანგავთ მხოლოდ ინტერესს.

ჩვენი ძმები შევირიგოთ? როგორ, როცა  
იზომება ყველაფერი ოქროთი?!...  
ტარანტულო, ვხედები, მკერდზე რატომ ცოცავ,  
როცა ადრე უდაბნოში მოქროდი!

ამ მტრობაში ვწერთ საკუთარ მათიანეს,  
როცა ვიცი, სხვისიც კარგად შეგვეძლო...  
გესლი ისე გვჭამს, გვტანჯავს და გვაზიანებს,  
როგორც ნადავლს ჭამს მშვიერი გველგესლა!

სულ მგონია, ირგვლივ მრუმე შავეთია...  
სად წავილო უმართავი სტიქია?  
სადაც ღამე მარტოს უნდა გამეთია,  
იქ შორეთში მომზირალი ჯიქია.

ვნახავ სურათს – იმ უფსკრულში ჩავა კუბო,  
სადაც ქარმა მხოლოდ ძვლები ჩაყარა,  
ცრემლჩქერები ტბებში უნდა ჩავაგუბო,  
გველი უნდა დავაძინო ჭალარა.

სად წავილო ყველგანმყოფი, შავი ხედი?  
ყველგან ძოვენ აფთრისქურქა თიკნები!...  
წუხელ, ძილში, მკვლელ სარკეში ჩავიხედე,  
სამუდამოდ სადაც ვარ და ვიქნები...

დაბრუნება ახლა ერთი წვეთი არი,  
ვასწრებ, ვიდრე დაიყივლებს მამალი,  
დამრჩენია მხოლოდ გლახის ხეტიალი  
და ასკეტის მღუმარება ფრთამალი.

**სამუდამო ტახტები 30.03.2016.**

გარეთ მოჩანს დაკბილული რელიეფი,  
სახლში დილა შემოვარდა გარედან,  
მონასტერში შენდებიან კელიები,  
გული ბორგავს, როგორც გზაზე კარეტა.

უპოვარში ჩემი თავი დავინახე,  
ალაყაფთან, იქვე იჯდა რომელიც,  
გამიფითრდა გონებაში შავი სახე,  
დაცხრა სენი, ვნებით დაუცხრომელი.

იცრემლება ორეული ჩემი, მაშინ,  
სხვათა ქირი როცა ჩემი გახდება...  
როგორ მესმის: დაუვინყარ გრძნობებს ცაში  
რომ დაუდგამთ სამუდამო ტახტები.

**ჩემი გემო 16.01.2016.**

მოდრეიფე ზღვაზე გინდა გემო, დგომა,  
ცარიელო გემო, აფრიანო!  
გინდა შუქი, როგორც ოქროს შემოდგომა,  
რომ აფრები ქარში აფრიალო.

გემო, ჩემი სხეული ხარ! ზღვაში, ბარში,  
ყველგან აპობ გზებს და კალაპოტებს,  
თავისუფალ გონებაში მუდამ დარჩი,  
სულს ტირილით სადაც არ აბოდეხს.

გულწრფელ ცრემლებს ქვეშ დაეგოს ფიანდაზი,  
სადაც კალმით დუმილს შევები და  
სადაც მუდამ მდუმარებით ვიანდაზე,  
ამოვტყორცნე ცეცხლი ხევეებიდან!

**დარდი და შავები 31.12.2016.**

არასდროს იღვიძებს მონარქი მონაში!  
ვერ გაიზრდებიან სულით ჯუჯები და  
მცირე ვერ გახდება დიდი პერსონაჟი,  
ლოცვა არ წამოვა მყრალი ტუჩებიდან.

ვფიქრობ განაჩენზე, ასე უთენია;  
ვერ გადავაბიჯებ ტანჯვის მე ორმოზე...  
მოდის სიბერე და მკლავზე უფენია  
კუს ბაკნის მხედარი – წელი მეორმოცე.

როდის დაასვენებს ყალბი ენა პირებს?  
სიჩუმის სიმართლე ჩემი მეუფეა,  
ცხოვრება მისრულებს უხრწნელ შენაპირებს,  
სადაც მარტოობას ყელზე შეუბია

ლოდი უმძიმესი – ჩუმი მელოდია...  
დავალ დერეფანში, დავალ ლანდებიან  
დარბაზში, რომელიც ის კამელოტია,  
სადაც რაინდები ძვირად ბრძანდებიან.

იქნებ, ანათემას ჩემი გველი ქვია?!  
თუ არ, მის ფერხულში რატომღა ჩავები?  
სული ვერ ანათებს, როგორც რელიქვია,  
ჩემი სამოსია დარდი და შავები!

## **უხელფანობა**

**27.12.2016.**

ვკანკალებ. მეტყობა სურვილი გაქცევის.  
ირგვლივ ნაომარი, ვრცელი ველი არი.  
გაქცევა? ვერ შევძლებ: პასუხი გავცე ვის?  
არ მსურს, ვასარგებლო ისევ ბელიარი.

ნუ მაქებთ! ყოველთვის ეკლად ჩანდა ქება,  
გარშემო მოძმეთა ნგრევის ხედებია,  
მიმზერს გამყინავად ხორცის ქანდაკება,  
ფეხებში მოძრავი მკვდრები მედებთან.

ჩემთვის ეს ქვეყანა სილას არ იშურებს,  
ძალა ასადგომად არასდროს მეყოფა!...  
ვებრძვი საუკუნის მახინჯ შარიშურებს,  
მრჩება ბრძოლის ველი და... უხელფანობა.

## **დავდივარ ყამირზე**

**28.10.2016.**

დავდივარ ყამირზე. ტერფები ტიტველი  
მაქვს, მაგრამ არ მახსოვს. მესობა ეკალი,  
ერთი, ორი, სამი... ფრენას თრთოლვით ველი;  
არ მსურდა, ზეციდან ვარდნას მოვეკალი.

ჩემს ორ დერეფანში ახ, ისევ მიქრიან  
თრობა ბურუსების... ვჩეხავ აფთრებიან  
ტყეს და საბოლოოდ ვაფრთხილებ ფიქრიან  
ხილვას და პეპლები მეკელაპტრებიან.

მე აღმოსავლური კვამლი ვაზიარე!  
უნდა წავიკითხო მჟავე ბარათები!  
ყოველი ტაეპი ჩემი ვაზი არი,  
ვაშენებ აკლდამას და ვემარადები.

## **მე და ისტერია**

**23.08.2016.**

კლდეთა ნატეხები მეყარა ზემოდან.  
ნუ მირევ გულს ავი სიზმრების ჩურჩულო!  
მინდა, ლაზღანდარა კაცები ვცემო და  
ვლენო შურისგება, ბერნი და ურჯულო.

სულ რაღაც ხმა მესმის, ბილნი და ხარხარა,  
ალარ ამცდებიან ღამეთა შუბები.  
მაგრამ უძილობამ ვერასდროს დამხარა,  
მხოლოდ პირფერული შუქით ვიღუპები.

დამპალ მატერიას მუდამ ვედავები:  
მზესავით ლაპლაპებს, მაგრამ ის მტერია!  
მაგრამ რეალობის ვხდებით მლენავები  
ცეცხლი, სანამლავი, მე და ისტერია.

## **თითქმის არაფერი**

**27.04.2016.**

რაა სააქაო?! თითქმის, არაფერი...  
რაც ჯერ არ გვიხილავს, ისაა მთავარი,  
თეთრი არწივების, ცაში ასაფრენი  
თეთრი არწივების მინდება კამარა!

სისხლით ინერება ჩვენი ისტორია,  
ხშირად გვეკარგება შუქი გვირაბიდან,  
ვხედავთ უზარმაზარ აუდიტორიას,  
გზა კი ვინროვდება, როგორც პირამიდა.

ვშიშობ, აუხსნელის მიღმა გავიჭერი,  
კიბის საფეხურებს არასდროს ვენდობი!  
ჩემი ჭერი არის მხოლოდ შავი ჭერი,  
ჩემი დასასრული – სასმისი შენდობის.

ქვეყანა გამხდარა სახრავი ჭიათა,  
დაჟანგულ ორლესულს ორივე ფხა უჭირს,  
მწყურია თვალეზში სხივების ჭიატი,  
მომბეზრდა ღიმილის თრევა და ბლაუჭი.

იქნებ, კიდევ გვინდა ერთი ბასიანი,  
იქნებ, კიდევ გვინდა დიდგორის მოგება?  
არ არის ჰაერი მხოლოდ, ფასიანი  
და გვჭამენ ბანკირთა ბინძური ჯოგები.

ჰაერს სახლში ვეძებ, ის კი გარეთ არი  
და გასვლა არ მინდა ქუჩაში, რადგან იქ  
მუდამ დაეთრევა ტლუ და გარენარი  
და მუდამ გულს მირევეს ყოველი მათგანი..

ირგვლივ რამდენია ვირთა ბანაკები,  
რამდენი ტიტველი, რამდენი მშიერი!  
ყოველდღე შავდება დაჩაჩანაკებულ  
მინაზე დახშული ცის დასალიერი...

ჩემთვის არაფერი არის გასაგები!  
არ მესმის, ვერ ვხვდები, დავდივარ რატომლა?!  
ღმერთო, ჯოჯოხეთის მომე გასაღები,  
რომ მალე გველებით გავავსო კატორღა!

ღამით ვიხედები ფანჯრიდან. გარეთ ის  
ვარსკვლავი შევნიშნე, რომელიც ჩემია.  
ვენევი და მახრჩობს კვამლი სიგარეტის,  
მაგრამ სულ მამშვიდებს ეს ეპიდემია.

წამიც და სხვაგან ვარ... მთაში ვარ! ფანდური  
გალობდა, გარშემო ეფინა ჰანგები,  
მე ისევ გამხადეს ლანდებმა ლანდური  
და არსად, არასდროს არ დავიკარგები.

ჩანს ძველი ქალაქის კარიბჭე... წინ ნორჩი  
ყლორტები დავფინე ფინიკის პალმათა,  
აღმოვჩნდი ღრუბლებში, მღვიმეში, მინდორში,  
ისევ დამაბრმავა ყვითელმა რკალმა და

თავი შევანჯღრიე, ვნახე ლაკონია  
(ახ, დამალენინა ამდენი ბაზარი!)  
ცრუა ეს ქვეყანა და მონაგონია,  
გარშემო ამაოდ მეტყველთა სპაც არი,

მაგრამ ორატორებს მუშაკმა აჯობა  
– სახლი ააშენა; ახლოა ბალამდე!  
არ არის საჭირო სიცრუით ქაჯობა,  
ყოფის სიყალბეში არ უნდა დაღამდეს!

შენწყვიტე ლაქლაქი! დუმილი მასმინე!  
წყვედიადი გამორთე! გეყოფა ლაყაფი!  
ღობესთან თოვლისფრად ყვაოდა ჟასმინი  
და სტუმრებს ელოდა ძველი ალაყაფი.



**ბურუსის შემდეგ**

**23.05.2013.**

გაფანტვა ბურუსის, სინათლე, წიგნები,  
პუბლიკა, მკითხველი, კალმები, დახლები,  
უნიგნოდ – ვართ მხოლოდ, წიგნებით – ვიქნებით,  
მხოლოდ შემეცნებით გველის ამაღლება.

ცოდნას ვენაფებით, ჩვენს ძვირფას მეგობარს,  
რომ ჩანდეს შავ-თეთრი სამყარო სხვაგვარად,  
არ მინდა სასახლე, მე კასრიც მეყოფა,  
რომ ჩანდეს თვალეში შუქის ნიაგარა!

**სიბრმავის ბარბი**

**04.11.2016.**

მზე ჩადის. ბერები მღვიმეში შედიან  
მდუმარედ, თავს ხრიან დაბლა,  
იქ, სადაც მეფის და მსახურის ბედია,  
სადაც დგას უბრალო ტაბლა.

ვინც ფერად ცხოვრებას მღვიმეში არჩია  
ყოფნა და ღვთაებრივს ჩანვდა,  
ვინც დაუსრულებლად ბრძოლების ქარშია,  
მქონეა ჩაცვენილ ღაწვთა,

ლოცულობს იმ ხალხზე, რომელთაც გონება  
მამონამ წაართვა კარგი...  
ვინც სავსე განცხრომის გამხდარან მონები  
და ზიდეს სიბრმავის ბარგი.

**სნეული ყვავილი, ანუ მარტოობა 09.12.2011.**

*(სალომეს)*

მიწიდან ისმოდა სიკვდილის არია,  
ზეციდან სიცოცხლის სიმღერა ისმის,  
პოეტო, შენს უკან ბედი-მდეგვარია,  
არ შედრკე, შებრუნდი, უთხარი: „kiss me!”

გაქრნენ უფსკრულები! გრიგალი გარეკავს  
შავ ღრუბლებს ცხრა მთის და ცხრა ზეცის გაღმა,  
ექმნი თეთრი ცხოვრების შავი ყდის გარეკანს,  
სადაც დამატყვევა ფერების ჯახმა.

ადექი, ადექი, ეს მე ვარ, ეს მე ვარ,  
რა ვუყოთ მუხლების იარებს? Sorry...  
შენ მხოლოდ სიცოცხლის სასმისი გესმევა,  
ველარც მარტოობა გიყურებს შორი.

სნეული ყვავილი... მოვდივარ, სალომე,  
ჩვენს ბაღში იების სურნელი ყვავის,  
შენ – გულში სიცოცხლის ძუ ლომი ალომე  
მე – ვუვლი ჩვენს ბაღში იმ სნეულ ყვავილს.

**პარეტიპი**

**14.03.2011.**

სიტყვები ცოტაა, სათქმელი ჭარბია,  
ვერავინ მიშველის, ვინგრევი მხოლოდ მე  
სველ მოლზე ის შავი განცდები გარბიან,  
რომლებიც კუბომდე მინდოდა, მყოლოდნენ.

ჩემი მარტოობა, ალბათ, ზღაპარია,  
ღმერთო, სულს მალამოდ რატომ არ ედები...  
მწყემსი ვარ და ბინდის ფარა მაბარია  
და მეღენებიან ძვლების კარეტები.

**ლტოლვილი**

**12.01.2016.**

დაქრიან ყვითელი ფოთლების ცხედრები,  
თეთრ ბალში ცხედრები დადიან,  
ყრუ ჩიხის ბოლოში ღრიანცელს ვედრები  
და ვაცლი პირიდან მადიან

ლუკმას სიზმარეულ, დაკრუნჩხულ სხეულებს,  
თეთრ მუხლებს ვისიზმრებ ლტოლვილი,  
რეინკარნაცია ვერ დამასნეულებს,  
მე მხოლოდ ვფითრდები თოვლივით,

როდესაც ყივილი ქუსლებში ჩავა და  
იქიდან ამოვა შავეთი...  
ტანიდან გაქცევის მსურველი თავად არ  
ვიქნები, თუ ღმერთში ჩავედი.

**წუხანდელი სასახლე**

**09.02.2016.**

სამკუთხა სივრცეში ნისლივით დნებიან  
მომავლის გეგმები,  
იმედგაცრუებას ვსუნთქავ და ვნებიან  
აჩრდილებს ვებმები.

ინთება კოცონი და ქრება კანდელი,  
იქ ვწირავ პაიკებს,  
სადაც ჩემს სიჩუმეს მხოლოდ წუხანდელი  
სასახლე გაიგებს.

ძაღლის ხაფი ხმებით ხაოდა გიტარა,  
ვებრძვოდი ქოფაკებს...  
ვინც შენი ღიმილით ავდარში იდარა,  
ის პატივს მოგაგებს.

**ტანდემი**

**21.07.2007.**

ვიყავით სამყაროს რჩეული ტანდემი,  
როგორც მთვარე და მზე,  
იყავი მფლობელი ოქროს დიადემის,  
ფიქრობდი ნეტარზე,  
ბალზე ვოცნებობდი, სადაც ევა არ წუხს  
და სადაც ჩრდილია,  
სადაც არ მოვა და არ ჩაგავლებს მარწუხს  
ავი რეპტილია.  
არ ვიცი, მე მართლა ვიყავი მდელოზე,  
თუ მქონდა ზმანება,  
ევა, შუალამით თუ მენანგელოზე,  
ვტირი... მენანება!  
ბალი მენანება; იქ მკვიდრი ვიყავი  
მეგონა მარადი,  
ვაშლი, ჩემს ნაპირზე გამოურიყავი  
და სველი ბარათი.

**გზააბნეული**

**21.06.2016.**

ტაძრის ნიაღში სულით ხორცამდე მზარავს  
რიტუალებში ფულის გადახდის წესი,  
საით წავიდეს გზააბნეული ფარა,  
როგორ ამალდეს მოდგმა ადამის ძესი?!...

როგორ ირწმუნოს ხალხმა აღდგომის, როცა  
მკვდრეთით აღმდგარა ფარისეველობა მხოლოდ?!  
იქ, სადაც ვერცხლმა რწმენის სხივებიც ხოცა,  
ჭეშმარიტებას სწრაფად ეღება ბოლო!

**შხამი და ბადაგი 30.06.2007.**

ვნახე დალენილი ქვეყანა მოკრივის  
და ვნახე კიდობნის დამპალი ნაფოტი  
მკერდზე დედამინის.

შვლის ნუკრს იქ მოაკლდა გრძნობა დედობრივი,  
სადაც ავადმყოფი შვილის მონაბოდი  
მხოლოდ დედამ იცის.

თქვენ ისევ მარცხდებით მუხასთან მუმლებო,  
თქვენ ისევ გაგარჩევთ სტენდალის ფერებად  
ფუნჯი-ლრიანკალი.

მომავლის წიგნებში ნასაიდუმლებო,  
ჩლიქების ფათურით რა ცეცხლს ეფერება  
კაენის კანკალი?

ყველა საუკუნე დაანთებს კოცონებს,  
რომ გადაარჩიოს შხამი და ბადაგი  
– ქრის სჯა და კამათი.

ცეცხლი ვერ ეხება ბადაგს თავმომწონეს,  
სისხლო, მოამზადე შენთვის ნიადაგი  
შავი აკლდამათი!

**დაღმეჭილი კერპი 23.10.2016.**

მეტმასნება უცხო ბარათების დასტა,  
დაღმეჭილი კერპი გზაზე ქალმა დადო.  
ფეკალიებს აფრქვევს ბოროტება კაცთა  
და ფართხალებს კვამლის მათრობელა ჯადო.

მაგიდაზე ექვსი იარაღი იდო:  
მასტეხინი, ფუნჯი, ქვა, მზე, ცული, დანა.  
ვინ აგაგო ჩემში დღის და ღამის ხიდო,  
დამშვიდება ჩემი რა ჯანდაბამ ბრძანა?!

დახვრეტილო დღეო, მინდა, შენი ვიყო,  
იკლაკნება ერთი სანატრელი ხაზი...  
გზაზე გდია მრუში ლუციფერის ტრიკო  
და სიკვდილის ხილვა მეტმასნება ნაზი.

**დიღეპული ონი 03.09.2016.**

ონს მივდივარ, მელის დიდებული ონი!  
სიხარულით ახლად ვიბადები, მგონი,

ვესტუმრები თოვლის და მუზების წიაღს,  
სიყვარული ჩემი სადაც ნიავს მიაქვს.

მაჯადოებს ხილვა მოლივლივე ნისლის,  
ყველა წამი ახალ პეიზაჟებს მიშლის.

ღამდება და სტუმრად ველოდები ღანდებს  
და ვიდრე არ დავნერ, მუზა ყველგან დამდევს.

ონს მივდივარ, მელის დიდებული ონი,  
მე ჩუმად ვარ – ფიქრში ყველა სიტყვას ვწონი.

## ღამეების მრევლი

01.07.2016.

შემიფარე ლექსო – ღამეების მრევლო!  
მეც იქ მინდა ყოფნა, სადაც შენ ხარ მარად,  
რომ ვიფრინო იქაც, სადაც უნდა მეველო  
და სიკვდილიც ვიგრძნო დაბადების დარად.

გავურბივარ ვერსად ორი ფერის ტანდემს,  
ჩემში ხარობს თეთრი, ჩემში ინვის შავი,  
რა ძნელია, მუდამ უხილავი ჩანდეს  
და მტრედევით გულით შევიყვარო ყვავი...

ბალახი ვარ, მიწა, ფოთოლი ვარ, ხე ვარ,  
ნადირი ვარ, მაგრამ მონადირე არ ვარ...  
როგორ მინდა, ვნახო ცის ტოტების რხევა,  
საიდანაც ცვივა მოთმინების ქარვა!

## ფიგურები

11.09.2016.

ხშირად ვფიქრობ, რომ გავდივარ პალატებს,  
გრძელ დერეფნებს, მოვერცხლისფროდ შეღებილს...  
წარმოსახვა ვიცი, არ მიღალატებს;  
ხშირად რქოსან მოჩვენებებს ვეხები!

კაცის ფორმის ჰაერი კი მიყურებს,  
მძაფრხმოვანი, მკაცრი, როგორც ენგური...  
ასე ამსხვრევს პოეზიის ფიგურებს  
სისასტიკე, თითქმის თემურლენგური.

ყველგან მახე, ყველგან ბოღმის გისოსი,  
ვერ ვჩერდები დანესებულ ნიშანთან!  
სადღაც გარბის მეფე ოიდიპოსი  
და გზადაგზა ჯანმრთელ თვალებს იშანთავს.

**ჰენახეზი**

**30.01.2016.**

ახლა გროშიც არ მიჩხავის ჯიბეში,  
სულ არ არის ყოფა უნატიფესი,

ვხედავ, მეფეს შუბლზე ამტვრევს მონა რქებს  
და გონიათ გადარეულ მონარქებს,

სამუდამოდ რომ შერჩებათ მეფობა,  
მე კი გული მარტოობით მეპობა,

ეს ცხოვრება ხან აკეთებს ტრიუკებს,  
ხანაც მტირალს საბოლოოდ მიუგებს,

რომ ტირილი მათ გულეებში ხეტიალს  
არ დაიშლის, რადგან ჯოჯოხეთია

ეს ქვეყანა, თუ იესოს არ ველით,  
თუ გვგონია ვერცხლი ჩვენი მფარველი...

მთელ სიბნელეს ერთადერთი – რწმენა ხევს  
და ვიხილავთ აყვავებულ ვენახებს.



## შემოდგომის ჭირვეულობა 01.11.2016.

აქეთ-იქით ცივი ქარი მიმოდის,  
აღწევს ძვლებში და არ მიდის არსად...  
შემოენთო დაისს ფერი მიმოზის  
ის წავა და მოიხურავს კარსაც.

სულ ამაოდ აირია ტაროსი;  
ჩემს განწყობას ველარაფერს აკლებს,  
მე ვარ მკვიდრი მოგონების წყაროსი,  
სადაც თავი მოუყრიათ კაკლებს.

წასვლის შემდეგ ცხედარს მატლი ერევა,  
აი, სული უწონობით დათვრა,  
მაქვს სინათლის მიმართ მადლიერება  
და სიცოცხლის მიმართ – ძველი ნატვრა;

მე ღმერთივით უკვდავება მინდოდა,  
არ შეცვლილა დღესაც ჩემი ნება,  
დროებითმა ყოფამ არ დამინდო და  
სული ისევ სანთელივით დნება.

## **უქრობი კერა**

**15.06.2016.**

არავინ მესროლოთ შეცდომილს ქვეები  
– იმ ქვეებს ბუმერანგის ტრიალი ახლავს...  
თუკი ჩემს შეცდომებს მართალთან ვყვები,  
იქნებ, მეც მივაგნო უმშვიდეს საფლავს.

ჩემს სახელს არავინ შეახოთ ხელი!  
მოკვდავი სახელი ვერაფრით ითმენს  
ჭორებში დამწყვდევას და ეძებს ძველი  
ცხოვრების წყვილიადში სისხლსავსე რიტმებს.

მჯერა, რომ აღვდგები მტვერიდან მაინც,  
არავინ დარჩება უფსკრულში, მჯერა...  
ვებრძვი მარადიულ, ულმოზელ დაისს  
და ღვივის სიცოცხლის უქრობი კერა.

## **თქეშის ამბორი**

**05.05.2016.**

ჩამოინგრნენ ღრუბლები! ველი თქეშის ამბორს,  
საქარიშხლო სპექტაკლის ამბოხება მიტევს,  
თაგვისფერი გარემო ვრცელ მონოლოგს ამბობს,  
ლაბირინთში შევყავარ ქალის უგრძეს თითებს.

გულისყურით ვუსმენდი მუდამ მშვიერ ტურის  
ყურში შენიოკებულ, ხარხარნარევ ღავლავს,  
ობის სუნი რომ ასდის პერსპექტივას შურის,  
ვიცი; სული ბავშვივით ხელისგულზე დამყავს.

მთები მეღწეებიან შუბლზე! ვქმნიდი ნოტებს,  
ცეცხლს მინთებენ თვალეებში მასიური ჯვრებით,  
თვითგარიყვის სურვილი ყელზე მარყუჟს მოდებს  
მეორე მეს... მე და ის ლაბირინთში ვძვრებით.

## ზამთრის მარში

10.12.2016.

ფიქრებს ფიფქებს დავატყობ, ფერად ფინჯნებს ვფარავ,  
რატომ უტევ ავადმყოფს დემონების ფარავ?

ხტიან ტუხტის ტახტები, შვიდი მშვილდი ვთალე,  
თეთრ თეთნულდზე დავხვდები ანგელოზებს მალე.

გამიტაცა მარაგმა მოსეირნე ხმათა,  
დავიტოვო ქარაგმა ორკესტრების, რათა.

როცა სიო დაბერავს, ჯიუტი და ანცი,  
ავალელვებ საფერავს ანეული ყანწის.

სულ მოწყენა მაბოდებს მოგუგუნე ლოდის,  
მეხი მესვრის ნაფოტებს და ხმაური მოდის.

ფიფქებს ფიქრი გართმავს, ვიქანავებ ქარში,  
გააცურებს ქართ ნავს სადღაც ზამთრის მარში.

## ზარები

12.04.2016.

ჯერ არ გათენებულა, ვრეკავ სულის ზარებს,  
დავიტიე ვერაფრით სიძულვილი... მძულს ის,  
მქონდა პერიოდები, როცა გულიც ბზარეს,  
მაგრამ ისევ ვიგრძენი მოძრაობა პულსის.

შემომზიანდებიან ჩემს ფანჯრებში დილის  
ოქროვანი სხივები! როგორ ველი ნათელს!  
მენანება ბურანი, დრო აღარ მაქვს ძილის,  
სული ღამეს ჩიტების მოლოდინში ათევს.

გისოსები დალენა ალიონის მუზამ,  
ამოიფრქვა აპრილის მოლივლივე ლავა...  
დროო, ყვითელ ნაწერებს, ნეტავ, რაღას უზამ,  
როცა ჩემი სხეული სამარეში ჩავა?...

## **ახალ დილას მზით ველი 27.10.2016.**

არ მჭირდება უხეები იღბლის უცხო კალთა,  
მირჩევნია მუხეები, მდგარი მლაშე წყალთან.

მე შვილი ვარ სინათლის და ასევე, ბნელის,  
მოსავალი წინა წლის, ურიცხვ სტუმრებს ელის.

ვერ ვიქნები ნივთივით ერთ ადგილზე მყოფი,  
შორს გავცურავ ტივტივით, რომ ვისროლო თოფი.

თოფი ფრენის და ღვინის, რომ გავექცე ჭაობს,  
უნდა მოვდო აღვირი, ვინც ვირებთან დაობს.

ჩვენი ჭერი იხარებს, შორს სიკვდილის მძორი,  
ჩვენ აღვმართავთ ტიხარებს დღეს და ღამეს შორის.

ნეტავ, ადრე მეპოვა ანგელოზი ჩემი,  
მუდამ შმაგბუნებოვან ორგანიზმში ვრჩები.

ახალ დილას მზით ველი, ხელები მაქვს მაღლა,  
სხვისი ჯვრების მზიდველი ვარ და არ მაქვს დაღლა.

არ მჭირდება უხეები იღბლის უცხო კალთა,  
მირჩევნია მუხეები, მდგარი მლაშე წყალთან.

## **მთავს და კლდეებს გადაღმა 07.01.2016.**

მთებს და კლდეებს გადაღმა მივდიოდი იქით,  
სადაც ველიც გადახმა მძიმე გვალვის იქით.

მოუთმენლად მოველი მზეს... დაუკრა თამამ  
სულში სულის მქსოველი წვიმა წვიმის გამამ.

კლავიშები დახტიან თეთრ თითებთან ერთად,  
სადაც ჩემი ტახტია პალიტრები ფერთა.

აიტალლა ღმერთამდე მოლბერტების ზღვა და  
შემიძლია, გავიგო ყოველი ხმა ქვათა.

ვამტვრევ, როგორც ტრიბუნებს, კაცის ფორმის თიხებს,  
დილა ღიმილს მიბრუნებს და კარიბჭეს მიღებს,

სადაც უნდა შევიდე და ბოლომდე დავრჩე;  
ვერაფერი ვიპოვე გამუდმებულ ჯავრში!

## **დედამინა ახველებს 01.09.2016.**

დედამინა ახველებს, რადგან მასში ჩირქია!  
უსასრულო ომებით ავად არის რადგან,  
მეც ავად ვარ, ნილაბი რადგან არ მომირგია  
და სინათლის მყარ გვირგვინს გულწრფელობას ვადგამ.

როგორ ვენდო მხიარულ სიმღერებში შენაქებ  
ამ უაზრო ცხოვრებას, თუკი დაბლა მაგდებს?  
ვერ ვიხილავთ მინაზე სასუფეველის ვენახებს,  
ვერ უარყოფთ გენას, ვერ ნავუვალთ ფაქტებს!

რატომ შერბის აზრებში ბილნი ვნება სხეულის,  
ან მეფური გულისთქმა სულში რატომ შერბის?  
სწორედ მაშინ ვეცემი გვამში ვერდატეული,  
როცა ვხდები მძევალი მატერიის კერპის!

*(მამაჩემის, გიორგი ნეფარიძის მარადმწვანე ხსოვნას)*

შენი სახე ვისიზმრე, ნესტიანი, მოსველო,  
როგორ მომნატრებიხარ მამაჩემო ძლიერ,  
თითქოს მთაზე იდექი, როგორც ის სამლოცველო,  
სადაც ლოცვით არყოფნას დაუნდობლად ძლიე.

მამა, როგორ გიყვარდა დროის სავსედ ტარება,  
ახლა ცარიელია ჩვენი სახლი თითქოს...  
დედამინა არ გყოფნის, ვიცი, გეპატარება  
და ზეციდან გვიგზავნი მოკაშკაშე დისკოს.

შენ თუ არ გეძნელება, დარჩეს მშვიდი ქაოსი,  
სადაც ბურუსს სულ ფანტავ, შემოქმედო ჩემო!  
ისიც მძიმე შრომაა, იყო სააქაოსი  
და დაღლილმა გაუგო მოსვენებას გემო.

შენი წასვლის არ მჯერა, აბა, მნამდეს საიდან,  
როგორ უნდა ვირწმუნო განრიდება შენი?  
მჯერა, დაძლევე ყველაფერს, მჯერა, მანდ ვინაიდან  
სიცოცხლეა, სულის და ხორცის გაყრის მთმენი.

ნუ მოიწყენ! მანდ, სადმე, უნდა დარგო სამი ხე:  
ერთი მიწის, ერთი ცის, მესამე კი უფლის...  
როცა შენთან წამოვალ, ალაცაფი გამიღე,  
თორემ შიში სიბნელის, სულს გარშემო უვლის!

## **მწვერვალზე**

**29.12.2011.**

*(სალომეს)*

ერთხელ ავალ მწვერვალზე, სადაც შენი სურნელი  
ყველგანაა, ყოველთვის, მაგრამ რჩება ერთი,  
მე ვიქნები იმ დღეთა მარად განცდის მსურველი,  
როცა შენთვის ვკვდებოდი, ვდგებოდი და ვწერდი.

მე ყოველთვის მახსოვხარ, გეტრფი, გეტრფი... ნეტავი  
შენს შეხებას თუ რამე დამავინყებს ნეტავ?  
აღარავინ დამრჩება ბალის ჭიშკრის მკეცავი,  
რადგან სულში შემოჭრას მაგ თვალებით ბედავ.

ქვეყნის ყველა ტონები ახლა მხოლოდ შენშია,  
ერთი ფერი არ ფეთქავს სულში მხოლოდ – შავი,  
ეგ თვალები ჭკუიდან ბოლომდე რომ შემშლიან,  
მხოლოდ მაშინ მეგდება ფეხქვეშ ვეფხის ტყავი!...

## **გრძნობის ტივზე**

**09.12.2012.**

*(სალომეს)*

ახლა გრძნობის ტივზე ვართ, დილა მოჩანს ბინდბუნდად.  
ვეძებთ წვიმის მორევში სიყვარულის კარავს,  
აღბათ, ჩემი ცხოვრება ბავშვობაში მიბრუნდა,  
თორემ, ძილი უშენოდ, აბა, რატომ მზარავს?

შავ, ურბილეს ჩანჩქერში გადავხტები ტივიდან,  
ჩავეფლობი თბილ თოვლში კვლავ სიმშვიდით სავსე,  
შენი სანაპიროდან აღარასდროს მივიტან  
ჩემთვის ლურსმნებს გოლგოთის არარსებულ ჯვარზე!

**ბაღის სიმღერა**

**30.03.2012.**

*(სალომეს)*

მე ყოველთვის მინდოდა, ცოლი ისე მყოლოდა, როგორც მთიან ველებს ყავს ყვავილების ტევრი, მდინარეთა ხეობებს დავყოლოდით ბოლოდან, ჩამებნია მის თმებში გვირილები ბევრი.

მის თვალეებში მეპოვნა, რაც სიზმრებში ვინატრე, დაგველაშქრა ტყეები, სადაც ღრმად სივრცე, მისი ტბების ფსკერების ვიყო მე მობინადრე, რადგან თვითონ სიცოცხლეს უკვდავება მივცე.

შეგვენჯღრია ღრუბლები, თეთრი, როგორც ლილია, ჭიუხებში გვესმინა მყვირალობა შველის, შევხვედროდით ერთმანეთს, სადაც მთვარეც თბილია, სადაც ბაღის უსაზღვრო ჰორიზონტი გველის!

**დაჭრილი**

**03.11.2016.**

დაჭრილი ვარ. მივედი უდაბნოში დაბამდე და დავეცი უგონოდ. ჩავიძირე ურვაში, მინდა, სურვილს, ცხვარივით, სადაც მინდა, ვაბამდე, დაეხვიოს სიმტკიცე ჯვარზე, ვით უსურვაზი.

ნეტავ, იმას ვფიქრობდე, ნეტავ, იმას ვიზამდე, მძიმე სახის ცვლილება შემძლებოდა ავადმყოფ სულისთვის, რომ მივიდე ნანატრ ოაზისამდე, სადაც დაღლილ ორეულს სიმსუბუქეს დავატყობ.

ჩასახლდება არასდროს თავის მეფე მონაში და ვერასდროს ასწავლის ნალვანარ ბრძენს შეგირდი, საკუთარი სამყაროს ერთი ვარ პერსონაჟი; მუდმივ გარიყულობას საკუთარ თავს შევპირდი!



**თეთრი სული**

**11.09.2016.**

ვებრძვი ხილვებს კომმარულს; ბრუნდებიან ნავეები  
ყირამალა გუბეში, სწრაფად მოქრის მხეცური  
ცეცხლის თავსხმა, დემონის ხორხში ნაღვლავეები,  
გადარჩენის ინსტიქტმაც შავ ჭაობში შეცურა.

ვეძებ სარკეს სალენად, მენამლება ჰაერი,  
ვერ ვეტევი მიწაზე, გალაქტიკაც მცირეა...  
სად ნავიდე? არ მინდა სუნთქვა არანაირი,  
მე ვწერ სიკვდილს... კალამი ლამის გადაირია!

მინდა ჯვარი, ლურსმნები, სისხლი! მთა სულერთია,  
ბნელ ცხოვრებას რა ვუყო? რა უდროოდ ვბერდები!...  
სახრჩობელად დამენნეს ფარსი წარსულეთი, ან  
თეთრი სულით აივსოს შენეული ფერდები!

**მჩხიბავეები**

**10.07.2016.**

არ მსურს ცოდნა მომავლის! თავზე ვარწყევ მჩხიბავეებს,  
ცრუ ხალხს რა თავში ვიხლი?! არ ვაჩვენებ დრამას დროს,  
მათი როგორ მჯეროდეს, სახეს ვინც ინილბავენ,  
ანდა, ენამ უტიფრად რატომ უნდა გამასწროს?!

მენატრება ხანდახან მზე და ცივი გონება;  
მინდა, რომ დავერიო ნათალლითარ სიფათებს,  
ველარავინ გვაჯობებს, ერთად თუ იკონება  
ის მიზანი, რომელიც გამარჯვებას გვიბადებს!

## **ბუნების თაყაში**

**14.05.2016.**

გოგომ გასეირნება ხელში ლეკვით ინება,  
უკვე მაისს ამინდი აღარ ექვითინება.

ახლა რამდენს ირბენენ! მათ მინდვრები ელიან,  
ღამეები მოკლეა, დღეები კი გრძელია.

ყვავის ირგვლივ ბუნება, ნისლი მთაში ავიდა,  
რამდენია სიცოცხლე ირგვლივ სანახავი და

რამდენია გარშემო მშვენიერი სურათი,  
გოგოც ბევრს დასეირნობს, ხელში ციცქნა „მურათი,“

მოდის მადლი ბუნების, დედამინა ანათებს,  
არიგებდა ბუნება სიყვარულის ბარათებს...

გოგომ გასეირნება ხელში ლეკვით ინება,  
მაისს უკვე ამინდი აღარ ექვითინება.

## **შიშხილის ჰიზნი**

**09.10.2016.**

მშია. სხეულში შეხტა შიმშილის ავი ფორმა,  
მე ვარ სამიზნე მეხთა, მე ჭირით დამჭრა ჭორმა.

ფეხმძიმე მინა არღვევს ჩემს შეთანხმებას მასთან,  
სიკვდილი მწუნის ძარღვებს, დამდევს ვამპირთა კასტა.

ავაყირავებ ახლა უდანყევლილეს რითმებს...  
მინდა ტყვიების დახლა და ველარც სარკე მითმენს.

შესვი მდინარე და ტბა, თვით კუპრის ტბები შესვი...  
ავის სათქმელად დათბა, მე კი დავღეჭე ფესვი...  
სიკვდილის.

მოჭექს ცა ვარსკვლავების, მან მნათობი მოჭიქა,  
მესმის გაუგონარი სიმფონია სხვა ბახის,  
მას ენგრევა ცხოვრება, შავი, როგორც გოთიკა  
და არ ემორჩილება ილუზიას ტრაბახის.

ვინვით: მე, შენ, ღრუბლები. ცეცხლო, აღარ იტალღო!  
თურმე ყველას თავისი ნოეს კიდობანი აქვს...  
დროში იხეტილებს შერყეული იდაღო  
და ნისქვილში დაღენავს აზროვნების მანიაკს.

გარეთ კვდება ნიავიც, თოვლი გახმა, გახევდა,  
შიგნით დაქრის ხორშაკი, ქარაშოტი, გრიგალი,  
ვერცხლის ქვაბში ეყარა გროვა კვართის ნახევთა,  
მას რიყავენ, როგორც ხალხს მეფე ნაღარიბალი.

სიცოცხლისთვის თუ სიკვდილს არ უსვრია გონჯი ქვა,  
ნოეს ნავის ტივტივი წარღვნას რატომ ამაღლებს?  
ვარსკვლავებით დაიწყო ღამემ ზეცის მოჭიქვა  
და ემსხვრევა პლანეტებს, შეშლილებს და საძაგლებს!

წვიმისფერი თვალები, ცრემლით ნაწკრიალები,  
ადიდებენ მდინარეს,  
გაიღვიძებს ოცნება, ხილვით დაიკოცნება  
და თავს მოიმძინარებს.

მართალია, ბრონეულს ვხედავ ადრე მონეულს,  
მაშინებენ უგონოს  
მენამული მარცვლები და მზეს შევენაცვლები,  
სითბომ რომ გაუგონოს.

ისევ მტკივა წყლულები, ასე საკრალურები,  
კვლავ ვუნდივარ იქ ღვინოს.  
სადაც ჭირი, იქ ლხინიც; ასე ჩემში სტრიქინიც  
უკვე ველარ სტრიქინობს.

ველარ მცნობენ ფერები, მაძაგძაგებს ძგერება  
ამ მეარღნე ძარღვების,  
მე ნერგი ვარ, მაგრამ მზე ვერ ასხივებს ნარგავზე,  
მესმის ხმები არღნების

– მე მგლოვობენ, ზვიადის, ხმები მობაიათის,  
მე კი ცაში ვგუნდაობ,  
მაგრამ არ დავდუმდები; ჩემი თბილი გუნდები  
თქვენ გეკუთვნით უდაოდ.

ჩემი არავის ჯერა, მემღვრევა სულის წყარო,  
თავს დამტრიალებს ძერა, რომ გრიგალები ვყარო.

მძულს ლაზღანდარა ქვეყნის უსაზღვრო ყოფის ძაღლი,  
ვუსმენ არავის კვეხნის ბოლოს და პირში ვახლი,

რომ არ ვაღირსებ ჭიქის ტკბილი ჭახუნის წკრიალს,  
რადგან აქ მე ვარ! იქ ის ბინძური ძვლები ყრია!

მათი მჯეროდეს რატომ? ვლენე ჭორები მქისე...  
როგორც ინვალა ლადომ, ვინ ინვალებდა ისე?!

როგორ აწვალეს ტატო, დავითი, ვაჟა, ნიკო...  
მათსავით მაინც ვცადო, რომ ღირსეულად ვიყო!

კოცონის სუნი უდის რქოსნების უძღებ მადას,  
მსურს, ნგრევა ვიყო ბუდის, სატანას ზრდიან სადაც!

სულ ბალახივით დახმა სახრე საწყალთა თავზე!  
მიგველა ორთა ჯახმა, სულ საფლავეები ვავსე!

მშია სიჩუმის პური, სიკვდილის ხორცი მშია,  
მადა მაქვს ახლა მგლური, ქვეყნის ნდობა კი – ჩია!

გაიშრიალა ყანამ მკლავაძეების მკლავთა,  
სხვაგან ვიყავი, სანამ თავის ვერცნობა მკლავდა!

ჭადრებს ჯოხივით ვთლიდი, ვიმსხვრევედი მუხლზე მუხებს,  
იქ უნდა ვიყო, დიდი მცირეს სადაც კარს უღებს,

იქ დამასვენა ნეტავ, სადაც ფანჯრიდან იქნევს  
ვინმე სულეების მკვნეტავ და გველთა გამზრდელ ჯიქნებს!

**ელდა**

**05.12.2016.**

იდგა ისეთი ელდა, ისეთი ჯანლი, რომ ცა  
რუხი ღრუბლებით ზელდა იმ დღეს, ფიქრმა რომ მომცა.

ქორწინდებოდა მთვარე უნაპირობის მხეცთან,  
ღამეს ძაძები ვპარე, როცა ჭკუიდან შეცდა.

ისევ დაღლამდე ეძებს სული სამოთხის ტიტებს,  
ვკარგავ სანატრელ ედემს და უიღბლობა მიტევს.

ისევ მარტო ვარ... ვითომ, არ მეყო მღვიმის ჭერი...  
ბოლომდე უნდა ვზიდო, რასაც მუდმივად ვმღერი

– ჯვარი... მძიმეა იგი, ეკლით დაწნული, ბასრი,  
ცრემლებს ვაგროვებ ჭიქით, რათა გავავსო კასრი.

მეგზურად მყავდა მუდამ შეუცნობელი თავი...  
ულრანში კივის ბუ და ეზოში ჩხავის ყვავი.

**სულ სხვა ცხოვრება**

**28.02.2016.**

სულ სხვა ცხოვრებას ვუცდი, რომელიც გვიან მოვა,  
მე შემინირავს კუშტი მაჯლაჯუნების ხროვა.

აღსდექი ჩემში მინავ, წყალო, ცეცხლო და ცაო,  
ხმაურს სიჩუმით ვიცავ და არავისთან ვდაობ.

მე მეფედ მინდა დასმა ორმხრივი გულის ფეთქვის,  
იელვა ოქროს თასმა; ბნელი ვერაფერს მეტყვის.

აქოშინებულ რითმებს ცისარტყელებად ვშლიდი,  
ნათელს დროებით ითმენს ყველა გონება ფლიდი,

ვშრები ზღვასავით, როცა ცოდვებს მახსენებს ძილი,  
ფხიზელს კი იმის დროც არ მრჩება, რომ დავრჩე გრილი.

**დროშა**

**23.11.2016.**

ვებრძვი პერიოდს, როცა მგონია, ჩემში ქირი  
არის, სიკვდილის დროც არ მაქვს, ვფართხალებ და ვყვირი

და უხილავმა ძალამ ამანევეინა თავი,  
როცა ვერ ვხმარობ კალამს და მუდამ ჩხავის ყვაფი,

ირეალურო მიწავ, ტახტზე გომბეუშო დასვი,  
აღარც ავისგან მიცავ და აღარც გალობს შაშვი...

ვერ გამანათა შუქმა გამოგონილმა ცისამ,  
ადვილად ვზიდავ უკმარ სარჩოს... ვერაფერს ვიზამ!...

დავეძებ ანს და ჰოეს, არ მყოფნის ის, რაც ვიცი,  
არ მყოფნის ერთი ნოე დასავინყებლად ფიცის,

რომელიც გატყდა მაშინ, ცოცხალი დავრჩი როცა...  
მარადისობის ცაში რომ აფრიალდა დროშა.

დავეხეტები მთაზე, დავეხეტები ცალად,  
ახლა მჭირდება სიტყვა, ახლა მჭირდება ძალა,

მინდა, ყოველთვის, ყველგან, ჩემს ძმას და მოყვასს ვენდო,  
მაგრამ, მაგივრად ამის, თავს ვეუბნები: „კენტო!”

დაბადებიდან ჩემი ხარ, სასიკვდილო ყულფო,  
მინდა, ცხოვრება-ჯალათს ცრემლით ღანვები ვუღებო,

ვარ, შიმშილისას პურის ნაცვლად ვინც ლექსი ქამა,  
არის წარსულის შვილი, ჩრდილის მომავლის მამა,

ამხედრებულა ჩემი ხვალინდელი დღე კუზე,  
მაგრამ მე დავდევი სიტყვებს, ტაეპებს, სტროფებს, მუზებს,

დე, ამოიღრიალოს, სული მოითქვას ლექსმა,  
ლექსო, ერთნი ვართ, მოდი, დევის სისხლივით შეგსვა!



ბასრი ვარსკვლავის ქიმი მიკანრავს შუბლის ფართობს.  
პირზე ვიყინავ ღიმილს და შიმშილობა მართობს.

არ მნამს ძალების მძლეთა და სხვანაირი ვხდები,  
როცა მიხმობენ ლეთა და შავი ნიგნის ყდები;

მინდა ვიხილო ქიმში იდეალური კანვრა,  
მაშინ, როდესაც შიმშილს შიმშილით სული გაძვრა.

ცას ებერება მკერდი, რძე დაუგროვდა რადგან...  
მინდა, უფსკრულში დენდი სატანის ტახტი ჩადგან.

გაავებული ზეცა მიზრდიდა გუგებს თვალთა,  
მაგრამ თვითრწმენა მეცა და დამაფარა კალთა.

გადამიყოლა ბარგმა უფსკრულში რუხი ყოფის;  
მე იქ ვაკეთებ თარგმანს მიუნვდომელის ღობის,

სადაც კარგად, თუ ცუდად შეუცნობელის მწამდა  
და ვიმეგობრებ მუდამ მარადისობის ნამთან.

მანვალებს ის, რომ მშია და მინდა, დარჩეს ასე...  
არ მინდა, დავრჩე ჩია, მუდამ ეკლიან გზაზე.

## **ბურუსის ბადე**

**13.07.2016.**

ზვიად, იანვრის სუსხო, შენ უხილავი ხატე,  
ხარ სამყაროსთვის უცხო, როგორც ბურუსის ბადე.

იცხოვრე ცაში ცრუში, გენტო სინათლე კალმად,  
ყოფა ჩაგიკლა მრუში ნახევარმთვარის რკალმა.

გულში იცემდი მჯიღებს, როდესაც დარჩი მარტო,  
კარს შუალამე გიღებს, რომ ორეული მართო.

ახლა ქუსლებში ჩავა გაუგებარი ყეფა,  
ამოიფრქვევა ლავა და დამწყვდეულთა წყება.

შავი კლდეების ლორდო, გინდა, დახშული ციდან  
ხაფი ხრიალი მორთო და უძილობას იტან,

წერო და წერო რათა, თავს აკლავ ლექსის კედლებს...  
სული აღდგომას ხმათა უმრავლესობით შეძლებს.

## **ცამ ამინდში ჩადო ქარი**

**27.08.2016.**

ცამ ამინდში ჩადო ქარი, ინთებიან ბინდები,  
დადის ლამის ჯადოქარი და იმედით ვინთები:

გაგრილდება სული ასე; წვისთვის აღარ ცალია,  
ეს ვარსკვლავი, რომ ჩანს ცაზე, თითქოს, პატარძალია.

მე მოვეყვები ქვეყნის ბადეს, დადგნენ უცხო წუთები,  
ამ ქარებმა სულში ჩადეს სხივი ჩასახუტები.

მომყვებიან მწვერვალების გზები, რვა, ცხრა და ათი...  
დგება დილის ელვარების და სიცოცხლის საათი.

იშლება ჯანყის ჯაყვა, რომ ეცეს ყოფის ბარდებს,  
მზეს შუქი ხევში ჩაყვა, მე კი სიბნელე მარბევს.

იხევა ღამის კაბა, ვხატავ სევდიან ქრისტეს,  
დილამ წარსული კაფა და ახლა ხარებს მისდევს.

მისმენს მირაჟი ჩუმი და ვთხრი უხილავ სანგრებს,  
თითქოს ქართველი რუმის სასულთნოს ისევ ანგრევს.

წამოვუდგები ლომის ლეკვს, ის ხვადია, თუ ძუ,  
თუმცა, ალერსის მდომი, ხვადს ხშირად ამხელს ძუძუ.

რძე ჩადგომიათ ჯიქნებს ხორცისეული ნების...  
ველური დანას გვიქნევს და ადგილს ზომავს მეფის.

კლდეზე მახეთქებს დღეის მოჩვენებითი პური,  
ისევ შორეულ რეისს ამზადებს ხალხში შური.

ვიღაც ჭკუაზე შეცდა!... ეჰ... გულიც რამდენს უძლებს,  
რამდენი უნდათ მხეცთა ამოუყორავ მუცლებს?!

ძირს დაგვცა ძაღლის მჯიღმა,  
ჩვენ ვკრეფთ ღორებთან მარჯანს...  
რისთვის?! გაძღომის მიღმა კვლავ არაფერი არ ჩანს!

გათასმაგდა სავლე და მხოლოდ ძვლები გვიჩანს...  
„წყალნი მოვლენ და წავლენ, დარჩება მხოლოდ ქვიშა.“

**ნიღბები**

**05.01.2016.**

სულ დაიცლება თასი მალე შხამის და ისრის,  
ფარისეველთა დასი სარკასტულ ნიღბებს ისვრის.

ენტო კოცონი ჯუჯა, გეძებ ნადირთა ბადევ,  
მუხლებზე იდგა ქუჩა, შენ კი ფეხდაფეხ დადევ

ნითელ წყაროებს ბინდო და უტიფარო სახევ...  
გინდა, ძაძები ჟღინთო და თეთრ მაქმანებს დახევ.

თოვლში კოცონი იწვა, დღე იდგა ქლესა ვაჭრის,  
ვილაც სიბნელის სიძვა განთიადს ფესვებს აჭრის.

ისევ მიპოვა ჯახმა ორი სხვადასხვა ხიშტის...  
თვალეებში სისხლი ჩახმა და ქუჩის გუბე მიცდის.

**ფირები მთვარის**

**12.02.2007.**

ვგრძნობდი უცნობის სუნთქვას, ქროდა ფრიალი ჟინის,  
რაც გულს თავისად უთქვამს, ის ვნახე კლდეში ტინის.

თეთრ ჰორიზონტის ნისლებს კვეთენ ფერები მთვარის,  
აქ ღამე დღეა! მითრევს წყურვილი ევას გვარის

და თუ აკრძალვამ ხილის, ჩემში დაბადა ფეთქვა,  
ერთ ქვას სურდა, რომ ფრთხილი სიტყვები შენთვის ეთქვა,

ნახვედი, გაქრი მაგრამ, ჩაკალი მზერა რკინის,  
აქ სიჩუმეა... გაქრა მძაფრი ფრიალი ჟინის.

თეთრი ფორთოხლის ბალებს ახსოვთ სიმღერა ძველი,  
მეკარე ჭიშკარს ალებს; შორეულ სტუმარს ველი.

სტუმარს ექნება ალბათ სახე, აწვდილი მზისკენ  
(ყვითელი სივრცე დალპა, ბებერი მუხის სისქე)

დააფარებენ საბანს მინდვრებს არწივის ფრთები,  
ჩანჩქერი სუნთქვას დაბანს; ცრემლის უფსკრულში ვხტები.

მჭირდება რკინის ბადე, რომ დამიჭიროს ჩემში,  
რაც მე სიგიჟე ვბადე, თვითონ ეშმაკსაც შეშლის.

სკდება მღვიმეში ღრმა ხმა, სიცილი მესმის უნდო...  
აღარ მიმიღო ბაღმა, ანგელოზების გუნდო!

მზე ხობავს, როგორც ჭია, არაფერია უკან...  
მკერდი მაქვს ღრმა და ღია, შიგნით ურევენ მსუქან

ტორებს ხროვები ბრმათა, უძლები დათვი დამდევის...  
მე და მახვილის ვადა შევადგენთ უკვდავ ტანდემს.

## **ღამის ყვავილები**

**27.01.2014.**

*(სალომეს)*

იდექი ტყეში ნათელ, დილას უხმობდი მშვიდი,  
ღამეს ფიქრებში ვათევ, თოვლზე ტაეპებს ვშლიდი.

ყველგან, ყოველთვის იყავ, რაც გავახილე თვალი,  
ღმერთმა მომზილა თიხა, მერე კი შეგქმნა ქალი.

უმწვანეს წალკოტს ხატავ, ვეკარისკაცე ბალებს,  
ცამ მოგცა თეთრი ფატა და იმ ალაყაფს ალებ,

სადაც შევიდეთ უნდა შენ, მე, space, and time,  
თეთრდება ღამის გუნდა ღია ფანჯრებში და იმ

ყვავილებს იღებ ხელში, მე რომ მოგართვი ნუხელ...  
შენ ხარ სიცოცხლის ელჩი და დილას თვალებს უხელ.

## **მწვანე გალაქტიკა**

**28.10.2016.**

*(სალომეს)*

რაზე ფიქრობ, რა გადარდება, როცა ფიქრობ, გარეთ  
მინამ როგორ შეკრა შუბლი, როგორ ცივათ ჩიტებს,  
მე და შენმა სულმა ნილი საბოლოოდ ვყარეთ  
და ვკანკალებ, მარტოობის ყინვა როცა მიტევს.

შენს გულში დევს დედამინა, ჩემს მკერდში დევს ლოდი,  
კლდეთა ბზარებს და ჩანჩქერებს გავს გაშლილი თმები,  
სულერთია ყოველივე, მშვიდობა, თუ შფოთი,  
მე ვზივარ და ასე მშვიდი, ჩვენს ბუდეში ვთბები.

ასე, მწვანე გალაქტიკა ხელისგულზე დადე,  
შეარხიეს ქარიშხლებმა უმოძრაო ფარდა,  
მე დავხიე უიღბლობის გისოსების ბადე,  
ვარ მფლობელი სიყვარულის მახვილთა და ფართა!

## **მცხეთაში**

**18.08.2016.**

მცხეთაში ვართ. შორს გამოჩნდა ძველი ციხე არმაზის, აქეთ წვიმს და წვიმის ფონზე ჩანს დედათა სამთავრო, ვშიშობ, ფუძის ანგელოზი მხარზე მყარად არ მაზის, რადგან ვჩქარობ, გრძელი ლოცვა მალე რომ დავამთავრო.

აგრილდა და შეიცვალა ფერი ცხელმა აგვისტომ, დგას ამაყად მონასტერიც ათასი წლის ფესვებით, მცირე ნერგში ამ ტაძრებმა სული უნდა დაკვირტონ, თორემ უკვე ყორნისფერი ტბის სიღრმეში ვეშვები.

ლამდება და ჩვენც მოგვისნრო ვარსკვლავების ჯირითმა, გვიხარია მობრდღვიალე ჩირაღდნების ჯგუფები, მეჩემება ყველაფერი, ლექსში რაც გაირითმა, ლექსით ვსუნთქავ და ნამდვილად ლექსით დავილუპები!

## **რიჭრაჟის ტიტრაჟი**

**09.07.2016.**

შორს სახლები შევამჩნიე, დროისაგან ნალენი, მე შეეჩერდი სახლთან, სადაც დაკბილული ბრაა, შიგნით ტიტველ მოჩვენებებს გაემართათ ბალეტი და ხილვების გეიზერი ქმნიდა ახალ გრაალს.

ისევ ებრძვის ძველ წისქვილებს შერყეული იდაღგო და ზრიალი არ ასვენებთ არარსებულ მინებს...  
შემიტია შიშმა! მინდა, იქ რომ გადავიბარგო, სადაც მცველმა შელოცვებმა ეს ხილვები კბინეს.

ახლა მრუში სურვილები მუშტით უნდა ვაბრტყელო!  
მეღვიძება აივანზე... ისევ ძილი მითრევს...  
თვალებს ვახელ, რომ გამიქრეს ზეცა უცისარტყელო და შორეულ ჰორიზონტზე ვწერ რირაჟის ტიტრებს.

ცა გაყვითლდა, როგორც თივა, სიკვდილამდე ვიღლები,  
ეს სიყვითლე ისევ მტკივა, რადგან იგი ნიხლებს

ცემით ნისლში დაბმულ ძაღლთა გიშრის ფარდებს არყევდა,  
დამღენავი ბრაზი მახლდა ცადაზიდულ არყებთან.

მივდიოდი, ვერ ვტკბებოდი მორაკრაკე წყაროთი,  
ვაპირებდი და ვაპირებ მისვლას ღრმა სამყარომდი.

მღვიმეების სიზმარ-გიდებს ტვინში რალაც უხტება,  
მინას ნალმა აბრუნებდა კვამლის გაზურმუხტება.

ტკბილ-მწარე ხარ ილუზიის მოშავთეთრე ბადაგო,  
გინდა, ყელში ჰალსტუხიან გველს მახვილი ატაკო.

ყველა მომწყდით, აღზევება ვისაც გინდათ გაცემით,  
შეგრჩენიათ ფიზიკური, მხოლოდ ფორმა კაცების!

მინდა, ვიყო თქვენი ბოლმის ბუდეების მღენავი...  
განკითხვის ჟამს ვიღას უნდა უღალატოთ ნეტავი?



იმას ვირგებ, იმას ვიტან, რაც ჩემია, მე მელის,  
სხვისი მინდა არაფერი, სხვაში ვეძებ არაფერს,  
არ ვიჩემებ სახელს სხვათა ნუგეშინისმცემელის  
და არასდროს ვწონი გრძნობებს, მიღმა სიბრძნის ღარაბებს.

ვნახოთ კადრი გამოცვლილი; ვნახე ქალი, თუ ია;  
ის ისეთ ნაზი იყო, ვერ გავიგე, რომელი...  
შემოგაზაფხულისფერდა დილა! ალილუია,  
კვლავ საკუთარ გვამში მოთქმა-ლიტანია მომელის,

რომ ვიპოვო რასაც ვეძებ და ავავსო რათა ის  
სივრცე – რუხი ჰორიზონტის მენამული ყანწები,  
დამანახა, როგორ ხვდება ნეტავ, ჩუმი ზღვა დაისს  
და სიახლის ძიებაში აღარ დავიქანცები.

სივრცე უნდა გავიზარდო, ველარ ვიტან მაჟორებს,  
არ მბეზრდება მხოლოდ ფიქრი და სიტყვათა თამაში,  
უნაპირო პოეზიას ვერაფერი მაშორებს,  
სამუდამოდ რომ ჩავსახლდე ყოფის თეთრ აკლდამაში!

(სალომეს)

შემომამშემოდგომდი. მომაგონდი, რადგან შინ  
სირუხეა ისეთი... ბნელა, რომ არ იყავი,  
უცებ თოვლის კრიალი დავინახე ბატკანში,  
კრავთა მთელი ფარაა ამ სირუხის მრიყავი.

აუცეკვდნენ ფოთლები თითქოს შიშველ ხეთა რიგს,  
შენც გამოჩნდი – რა მიჭირს! შევხმატკბილდი აისთან,  
გავრიჟრაჟდი და გავხდი ყველა გრძნობის მხედარი,  
შემომანოემბერდი, მაგრამ გამიმანდა!

ჩემი სულის ჭრილობა შენმა პოვნამ მობანა,  
ვუკრავ სულის მუსიკას, ვნახე ველზე გიჟმაჟ და  
მეამბოხე სიმღერის თავისუფლებობანა,  
სინათლესთან შორსმყოფი, დავმეგობრდი რიჟრაჟთან.

უკვე შორს გამირბიან ჩემი გიშრის ლანდები,  
ბაღში წყაროს რაკრაკმა შენთვის მომცა ფრთები და  
დღემდე ვერმიღწეულ ცას გავუსიგრძეგანდები,  
რომ სიცოცხლის ნიაფი გამოვუშვა მთებიდან!

რადგან ყველგან იყავი, ხარ და მუდამ იქნები,  
რადგან ისევ მასტუმრე სასუფევლის გიდეები,  
რადგან ფიქრთა სიღრმეშიც თრთიან თოვლის თიკნები,  
შენთვის ყველა უფსკრულზე რწმენად გავეხიდე!

გაქრა შიში გარიყვის, ძარღვში სისხლის დენა კი  
კვლავ ვიგრძენი, გიხილე და აქ სუფევ ყოველთვის,  
შენი სული გამიხდა სალოცავი სენაკი  
და მუსიკად აქ ყოფნის სიამაყე მომელტვის!

საშინელება შემემთხვა! ჩემი ადგილი არის  
იქ, სადაც არის ადგილი უდედამინო მკვდარის!

ჯავრი მჭამს! აღარ ანთია ჩემი მუდმივი კერა!  
მე აღარ მჯერა სიცოცხლის, მხოლოდ სიკვდილის მჯერა.

ველტვი მინიერ ჯოჯოხეთს! უდრეკი ქედი ვხარე,  
ახლა სნეული მხარეა ჩემი ახალი მხარე.

დავკრივარ ქარის მხარდამხარ, დავიმეგობრე ყვავი  
და აღარ ვყვავი ედემში, უკვე ჭაობში ვყვავი.

მივებინადრე უდაბნოს, ოაზისს ვეძებ აღარ!  
ბილიკო უიმედობის, ჩემი მარადი გზა ხარ...

პირამიდები ვაშენე შავი; ვერავინ მიგებს...  
სულ ვდეენი „მანუგეშებელ“ ფარისეველთა რიგებს.

მე აღარც გაზაფხულის მწამს!... სხეულში წყევლა შეხტა,  
მწამს მხოლოდ გაშმაგებული ცის უსასოო მეხთა!

ისევ მარტო ვარ!... ხელი მკრეს, დავიხრჩე დარდის ტბაში...  
ნადით! როდესაც მიჭირდა, რატომ არ მყავდით მაშინ?!...

## ღამეთა ჭერი

13.12.2016.

გველივით სისინებს წყევლა მკერდში დაძიძგნილი ქვის,  
არ ვიცი, ვის ვყავარ მძევლად, ვის უნდა მივმართო, ვის?

ისევ გაცოცხლება შია სულს და ეს კოშმარი ძულს!  
სხეულში დალოდავს ჭია და ხრავს აღმუვლებულ გულს!

დულს მკვლელი ნაღველის სარჩო... სად ვნახო სინათლე მზის?  
სიცოცხლე წარსულში დარჩა, როგორ დავიბრუნო ის?

დამყურებს ღამეთა ჭერი, დღეთა უაზრობა მკლავს!  
სივრცე ექვს ნაწილად ვჭერი და ვგავარ დასაკლავ კრავს.

## სარკე მეუარა ერთხელ

09.08.2016.

სარკე მეუარა ერთხელ, მსურდა არდანახვა თავის...  
მიკვნეტდა დაკვირტულ კვერთხებს ავი წუთისოფლის სვავი.

ისევ შუალამეს ვეცი – ჩემი განთიადის ნილაბს...  
ჯოჯოს წარმოსახვას მხეცის შავი ანარეკლი მიყავს.

გზაში კატასავით შეხტა აკანკალებული მაჯა...  
სიცხე განოლილა მეხთა, ხილვა გადამექცა ქაჯად.

მაგრამ არ გაბედო, ზვიად, თავის შებრალება მხოლოდ!  
მაგათ დემონები ქვიათ, ვინც ჩვენ ერთად უნდა ვქოლოთ.

ტანში მიგუბდება წვრილი რუ და ღრმა მდინარე ჩხუბობს...  
სახლად მუხლებამდე თხრილი მინდა, ნუ მაღირსებთ კუბოს!

უცხო სტუმარივით მოდის ყეფა გამყინავი ქოტის.

ლანდმა მაგიდაზე დადო ქვათა შიშნარევი ჯადო.

ფარულ მწვერვალებად იქცა აქ მოთმინება და იქ ცა.

ყინვა აქეთ-იქით იქნევს ფანტელის მთრთოლვარე თიკნებს.

მე ვარ უღრანების გიდი, კლდეებს მშვილდებივით ვხრიდი.

ბუხარი ბუტბუტებს მითებს, ღამეს ქალის სუნთქვა მითევს.

მთიდან კრატერამდე ჩავა ღრენა – სიძულვილის ღავა.

მე ვარ ანდამატი გიჟთა, ჩემს კართან მხილება იჯდა.

უნდა ირონია ვჭამო ქვეყნის ბოროტების გამო!

არა, ღმერთო ჩემო, არა, წინ მაქვს დასაგები შარა...

უკან შარა უკვე ვაგე, დარჩა ძუ ეშმაკი მაკე!

უნდა გზის ბოლომდე ვღვარო ჩემი მონამლული წყარო,

რადგან არაფერი მელის, გარდა გარიყვის და ბნელის.

## ლურჯმინებიანი სახლი

23.12.2016.

ლურჯმინებიანი სახლის მდუმარე ბინადრებს ელის ის, რაც აღარასდროს დალლის მწვანე დასასრული ბნელის.

იქ წარმოსახვითი სევდა დაატყდა განდევილს თავზე, სადაც ბოროტება ხევდა მას, რაც ნამსხვრევებით ვავსე.

მე მინდა, ვახსოვდე ვაზის დამრგველებს აგრეთვე... იქნებ, შუბლზე ბელიარი მაზის და სახლში გზას ველარ ვიგნებ?

ყვავილწულებიან სკვერში მომესმა ტირილი ტროლის. გონებას არაფერს ვერჩი, მხოლოდ მსურველი ვარ სროლის...

თუმცა, იშვიათად. არა! ჯამში სალაფავი ჩახმა!  
საით გამაქანებს შარა, თითს როცა გამოვკრავ ჩახმახს?!...

ჯერ არ! მოტრიალდეს ლულა ჩემსკენ, დერეფანი ორი!  
მინდა დასასრული! სულ არ მინდა ბილიკები შორი!

## გუბა

21.02.2016.

ყველგან უდაბნოა მუდამ, ყველგან ქარიშხალი კივის.  
მგზავრად გამიხადა მუზამ ძილში ჩაძირული ტივის.

ნისლი აბოლებდა თრიაქს, მე კი მკვლელ ტაეპებს ვწერდი,  
სიკვდილს მარტოობა მიაქვს შორს და მახსენდება ღმერთი.

იქნებ, შემინიროს დრამამ, ყველა იხალისებს თუკი...  
აღწევს მდუმარება თამამ ცას და იკარგება შუქი.

მინდა მოთმინება აღარ! ტანი აითრია ლეშმა,  
ნარწყევ ჭაობებში ნაყარ ნაყოფს მაჩეჩებდა ეშმა.

ბილნი შელოცვები მესმის, მე კი ნირვანისკენ ვილტვი,  
ფეხქვეშ გუბე მიდგას გესლის, ყველა რომ დამისკდეს ფილტვი.

სიცოცხლე გიყვარდეს ზვიად, სიკვდილის ნუ გჯერა ავის,  
იმ ყვავილს ნუ უვლი, წყვილიად მღვიმეში რომელიც ყვავის.

ეგებ, ტრაგედიებს ეძებ, მხოლოდ მე მითხარი ყურში,  
დემონი შეგიჩნდა ეგებ, ვერაგი, მკვლელი და ურჩი.

ქვეყანას გახედე – გარეთ გოგონა ქვიშაზე ხატავს,  
ორმო ნერგებისთვის თხარე, ყოფის დაეუფლე ტატამს.

თალე მაგიური ჯოხი, უკვალოდ გაიქრე ტკენა,  
ხმა გესმის, ცივი და ბოხი, ამიტომ ჩაყლაპე ენა.

უბრძანე, მშვიდობა ქარმაც შენი ნებისყოფით დადოს,  
ის აქცევს ბათილად ზარმაც კაცთა ეშმაკეულ ჯადოს.

უნდა ყინულეთი სუსხო, შენ უნდა ათბობდე მზეებს,  
ჩრდილი დაივიწყე უცხო და ისევ აღდექი დეე!

განგების იდუმალ ძალას, რომელიც ვრცელ ამბებს ყვება,  
შევყურებ; ის მჩუქნის ხალას და დაუჯერებელ შვებას...

მან მომცა სითეთრე მწუხრის, ის მაძლევს უხმო და ხმიან  
დუმილს და სიმღერებს უხრის თავს მუდამ, ადრე, თუ გვიან.

მას ხელისგულებზე ედო აღრიალებული ცა და  
ცხოვრების ქაოსი – კრედო, ნატიფი, სუფთა და სადა.

იგი აღარ მიშლის ცრემლის დანთხევას სიკვდილის გვამთან,  
მას აწევს სიმძიმე გრდემლის, ძალა აქვს აუხსნელ შხამთა.

მინდა სინამდვილე აღარ! არ მსურს რეალური ცის ხმა,  
დაე, თუ მირაჟებს ბაღად არ ვნახავ, დამმარხოს ზიზღმა!

ზიზღმა საკუთარი თავის, ზიზღმა საკუთარი სულის,  
მიყვარს, რაც წყვდიადში ყვავის, ყველგან მაგონდება სულ ის

სურათი, რომელიც ხატა ჯაჭვურმა ჩხავილმა ყვავის...  
მე მინდა სურათი სადა – სამყარო, შემცნობი თავის.



სიკვდილის წამამდე გზიდავ, ჩემი არსებობის ფვარო,  
უნდა გადავიდე გზიდან და სისხლის ცრემლები ვღვარო.

მგესლავდნენ ბგერები მჭახე, გზები ამრეოდნენ რათა,  
მთელი ჯოჯოხეთი ვნახე, კოცონი ძვალთა და ქვათა!...

ვიცი, დამრჩენია ისლა, ტანი სამარეში ვთხარო,  
ყანში გაგიყებას მისხამს კლდიდან მოტყორცნილი წყარო.

ჩემი სათრევია მსჯავრი, ველარ მოვიშორებ ნალველს;  
ყველა მატარებლის მგზავრი თეთრ და შავ მგზავრებად დაყვეს!

პირის გაულებლად ვყვირი, გვერდით ჩამიფრინა პურმა...  
„ვერასდროს გაიგებს ვირი, თურმე, რა ხილია ხურმა...“

გაფრენის სურვილი მჭამდა, ამიტომ ჩემს რვეულს ვეცი  
და ვზივარ ცარიელ ჯამთან მშიერი, შეშლილი, ბეცი.

ისევ სიკვდილამდე ვზიდო უნდა არსებობის ლოდი...  
ჭიქა წამიქციეთ თითო, იქ, სადაც ქარივით ვქროდი!

ნადით, მომშორდით თავიდან! მარტო კარგად ვარ მე ასე!  
ლიმილიც სადღაც წავიდა, მეძგერა წელი მეასე!

რატომ გგონიათ, თუ მარტო ვარ, უნდა ვდიო ნაოჭებს?  
ბრძოლები უნდა ვუმართო თავს, რადგან ველარ მაოცებს!

ასე ჯობია; არ ველი ნერვების ფიჯგნას ციხეში,  
ვარ ჩემზე ქორის მფარველი, საკუთარ წყევლად ვიქეცი!

სანთლით გულწრფელი ვეძებე, მაგრამ ვერ ვნახე გარშემო!  
რთულია, ირგვლივ ბეცები ნახო და ფურთხით არ ცემო!

ნადით, თავიდან მომშორდით! ნამდვილად ასე ჯობია!  
მარტოსულობის კომფორტიც სიმშვიდით დასათრობია!

ვეცემი! ისე ვეცემი, გამიჭირდება თავიდან  
ადგომა, მარტო დამტოვეს და ყველა სადღაც წავიდა.

ხისტი სახსრებიც დამემსხვრა, უსუსური ვარ ტოტივით,  
რომელიც უკვე დაჩეხეს ცეცხლში ჩაგდების მოტივით.

როგორც არასდროს, მე მესმის „ხმელი წიფელის“ ნაღველის,  
ადრე ვერ ვთვლიდი „მეგობრებს“, ახლა კი არ მყავს მნახველიც.

უნდა დავეცე, ვეგუო უნდა საშინელ ამ სურათს,  
თავს მაღლა ვერ ვწევ – გეენის ქერი დამყურებს და მხურავს.

სულ უგზო-უკვლოდ მეზნევა სული, ნატანჯი აქამდე...  
ეჰ, საბოლოოდ ოდესმე, ნეტავ სიმშვიდეს ვნახავდე!

მაგრამ ვერ ვაგნებ სავანეს, დარჩა თვალეზზე სისველე  
და უბოლოოდ ვბუტბუტებ: „სიკვდილო ჩემო, მიშველე!“

ველარ დამლალა კეთილი ხალხის მუდმივმა „დიახმა“,  
სარკაზმის კეტი მამონას ზურგზე კივილით მიახმა.

ხან მაკანკალებს წვრილმანზეც, ხან ვერაფერი მარისხებს,  
ხან თვალში ვიმჩნევ ვერც ღირეს, ხან ვზომავ ეკლის  
ხარისხებს.

ვდეენი, ვინც უნდა მიყვარდეს, ვისაც ვუყვარვარ, ამავე  
დროს და შედეგის ბრჭყალები მდეენელის თვალებს ნამავენ...

ყოვლად აბსურდულ ნაწერებს მე ვილაც ხელში მაჩეჩებს;  
არ ვიცი, როგორ დავაღწევთ უგემოვნობის საცეცებს!

დღეს „ლექსი“ არის მოთხრობა! მუსიკა ყასბებს მიანდეს,  
უკვე თაობა ემსხვერპლა „განწმენდის“ მკვლელ კორიანტელს!...

იმედს ვიტოვებ, დრო ყველას მიუჩენს თავის „სავარძელს“,  
მაძღარმა თქვლეფა შეწყვიტოს, ლუკმა ჩვენს ჯამში ჩავარდეს!

## სულო, არასდროს დაღამდე 27.09.2016.

საღამო ისე მოვარდა, მოსწრება უნდა ნიოკის,  
სივრცე განითლდა; ელავენ ფოთლები კარალიოკის.

სერაფიმების ნაკურთხი ცა თითქოს სარაფნებიან  
ხალიჩას გავდა და თითქოს კლდეებიც ბარაბნებია!

იტევს სიჩუმე უამრავ წვალეზას! უკვე ცა ტირის,  
მზარავს ხმა, როგორც თვალეზი კეთრით დაჭმული ნადირის!

ხმელმა ფოთლებმა გამართეს საშემოდგომო ბალეტი,  
ხევში ვეძებდი სიკეთის კეტებით ნეკნებდალენილ

სიძულვილს, რადგან მომეკლა მასში სიცოცხლის უფლება...  
ვნუხვარ, რომ სხვისი ჭირისას სახეც კი არ ეღრუბლება!

მჯერა, რომ არ ძულს ყოველი თვითონ უდაბნოს მორიელს...  
საქები საქმით მივანდოთ სანერი მეისტორიეს,

თორემ მართალი შვილების არ გვეღირსება გაგება  
(დრო გამოაჩენს, ბოროტის ბეჭდით ვინ დაიდალება)

სატანის მოთქმამ შეგვზაროს საზვერებში ეგება,  
ვიდრე მამრები მდედრებად „თავისუფლებამ“ შეღება!...

სულჩასვრილ ძაღლებს ეყოფათ, რაც ითარეშეს აქამდე!...  
„მზეო, ამოდი, ამოდი...“ სულო, არასდროს დაღამდე!

უპირო ხალხის ცრუ პირებს ელით ამო გადაღლა,  
მათ კარისკაცი უპირებს ბალიდან გაყრას საძაგლად.

ცოდვია ყბედი; არავინ, არსად, არასდროს ენდობა,  
სად უნდა დასცეს კარავი, რომ მოიპოვოს შენდობა?

ლაზლანდარებს და უვიცებს, რომ წაუგდიათ ენები,  
ნეტავ სიბნელე თუ მიცემს შანსს დიდი მიზნის შენების?

სხეულის ბოლო ერთია, ველარ იხილავს საუფლოს,  
სულმა ინამოს ღმერთი, ან გეენას გაესაუბროს.

არ შველის ორი პნკარედი, თორემ ორასორს დავწერდი,  
არც სიგრძით, არც სიგანეთი, სივრცე არ გვყოფნის არცერთი,

ვეძებთ სხვის ყოფას... „მაგრამ ის სულ ჩვენთან არის,  
რა უჭირს...”

ბინად მაქციეთ ცხრა გრამის, მაშორეთ ზეცის ბლაუჭი!

ავხედე კლდეებს ხევიდან... აქ უნდა ვიყო ეგება?  
ჩემს ქოხში მარილს შევიტან და ფეხქვეშ ცა დამეგება.

გულში ჩავიკრავ დაფლეთილ ჭინჭებს და შვებას ვინატრებ,  
ლექსებით და სიმდაბლეთი ვაპურებ ქოხის ბინადრებს.

ვლენე წარსულის გისოსი, ამითვალწუნა ქალაქმა,  
აქ ყველა კომპრაჩიკოსი განმარტობამ ალაგმა.

შორს ქალაქიდან, კარგია; ხმაურმა თავი მანება,  
ჩემს სამყაროში ვარ ღია სამოთხის მწირი ზმანება.

ძაფივით დანყდნენ ხუნდები, ბავშვის სული რომ დახარეს,  
იმ გზაზე არ დავბრუნდები, სადაც ვიმჩნევდი ჭალარებს.

თითქოს მთვარეა ღამეთა მარადისობის კოლიე  
და ვარსკვლავების კარეტა ძილზე ვერ დავიყოლიე.

სასწაულია ბუნება; აქ კვდება დროის დინება,  
აქ ყოფნა და რუდუნება სიცოცხლეს ეგვირგვინება.

გონება თითქოს ქალია, მუდამ დაგვეყვება, ანათებს,  
მზემ დედამინა ჩახია და კვებავს კაცის დანათესს.

განცხრომა – სულის მეკობრე, უტიფრად ძარცვავს უვიცებს...  
განდგომა დავიმეგობრე; ასე გავურბი ცრუ მიწებს.

ბგერები სადღაც გარბიან, ხმა საკრალური მახოდებს  
და ველარ ვიტან სარფიან ეშაფოტების ნაფოტებს.

ახლა ლექსს ბნელი მიბადებს, მაგრამ ამ ბნელშიც ვერ ვიტან  
მოლიმარ, ქლესა სიფათებს, წარმოქმნილს მკვდარი ნერვიდან.

ჩემი სტიგმაა ქარაგმა, ვშორდები ნათელ ნაპირებს,  
ის, რაც მასწავლა ქალაქმა, ჩემს გზას ვერ აპირდაპირებს.

არ მალეღვებენ ეტლები, მათი დრო უკვე ნაწიდა...  
ყოველ მიწიერს ვეცლები და ვქმნი ეპოქას წამიდან.

ახლა მსურს მხოლოდ წვიმათა უკიდევანო ბგერები...  
თუ უნდობლობამ მიმატა, სწრაფ სიკვდილს დავექგერები!



ვისმენდი წკაპუნს წვეთების, გვამში ჩასახლდა იმედი,  
მიჭირს სიცოცხლე თავთხელი მდინარის სიმარტივეთი.

წყალს ვსვამდე, როცა მწყურია?!... რითღა გავერთო აბა მე?  
მეფურ სურვილებს ასკეტის გარემო შევუსაბამე.

გაუგებარი ნიშნები ყრიან სახლის წინ, აბრაზე  
და ორეული-სტუმარი, რატომღაც, ვერ გავაბრაზე.

თავის ქალაში შემოხტნენ ქუჩიდან შავი ბაზრები,  
მხოლოდ წითელი სხივებით ვსულდგმულობ და ვიბანრები.

დაე, პირამდე ამივსეთ წყურვილით მე ამფორები,  
რადგანაც მხოლოდ უდაბნოს სიმკაცრეს ვეამბორები.

ძონდი მაქვს თავს მოხვეული, უნდა გავვარდე აბრაგად,  
ძარღვებში სისხლის მდინარემ შხუილით ჩაირაკრაკა.

ქალაქის ბოლოს ნანგრევი ყვება მენამულ არაკებს...  
მე ვდუმვარ, ვიდრე ჩემს ნაცვლად მედროვე ილაპარაკებს.

თებერვალია, მუქდება მუქმენამული ღამის ცა,  
დღემდე არ ვიცი, გონებას მელანქოლიამ რა მისცა.

მთელი ცხოვრება ვანყდები აღმართებსა და დაღმართებს,  
თავო, გაუშვი მუზები: ხომ ხედავ, ეს რა დაგმართეს?

რას ამბობ თავო? უმათოდ მხოლოდ სიკვდილის ჟინს ელი,  
ისევ დავრჩები მუზების მოსურნე და მასპინძელი.

თუკი ისინიც დავკარგე, როგორ ვიცხოვრო მე მაშინ?  
ლექსის თვლებია ჩასმული ცხოვრების დიადემაში.

თავიც მათ ამანევიწეს, ხმაშიც მათ მომცეს რიხი და  
ვიცი, არსად და არასდროს, გავალ სიმაღლის ჩიხიდან.

ღრიალა ლექსი დაშანთულ ტანზე ლაქებად მაყრიდა  
და უმთვრალესი ვბრუნდები მზისა და მთვარის მაყრიდან.

ღამეულ ლაბირინთებში სინათლედ მინდა, გავება,  
თავზე მატყდება მღვიმეში ღრუბლების აღავლავება.

მდუმარე სახით კარს ვუღებ ველარც მტერს, ველარც მოკეთეს...  
ანგელოზებიც მოფრინდნენ და კარი მყარად მოკეტეს.

მწვანედ გაშლილან უსაზღვრო ნოტების მრუდე კორდები,  
წარსულს რაც ვუახლოვდები, მომავალს უფრო ვშორდები.

ნეტავ, რას ვაქნევ გუშინდელს? გუშინ იყო და წავიდა,  
ახალ დღეს აღმოვაცენებ ყველა ნათელი წამიდან.

უფსკრულში დიდხანს ყურება, ვიცი, ბრინჯივით დამაბნევს,  
ჯობს, მივცე ბამბის სირბილე ქვათა კლდისგულა ბარაბნებს.

შევენატრი ჩიტებს – ისინი გალობენ, როცა არ შიათ,  
მე კი ხანდახან კომფორტიც ვერ მიღობს უწყმურ ხვაშიადს.

არ ვიცი, რატომ ვპირქუშობ, როცა შემოდის რუტინა,  
ნეტავ, რაც მახრჩობს, უწყვეტი სიცილით გამაგუდინა.

ფუნჯი ხელში მაქვს და შევქმნი, თუ მინდა, ნათელ სურათებს,  
თუ ვდუმვარ, ავი ნაუბარს ვერასდროს მიაყურადებს.

არ მინდა ტახტის მირაჟი! იგი იმსხვრევა, ვით მინა,  
ტახტი ცაშია, იქამდე ის მივა, ვინც დაითმინა!

შინ შევარდა მრუში დროშით, პროზანების შარიშურით,  
შორსმავალი მენახშირე ახშირებდა შეშის შიშინს,  
აშრიალდა შურთხი მთაში, ბარში მარშიც იშოვება,  
ყურში მშვიდად დაშხუილობს შემართება შუმერული,  
შოლტ შარაზე შარბათ ჰაშიშს შურს შამანის შინდის შარმის,  
შინაყუდა აშოშმინებს შოთებს შორი შამფურებით,  
შრომობს შვიდი მუშის შუბლი, ათასშვიდი იშმუშნება,  
შენთან შენი შენაფერი ქოშის მშვილდი თოშავს შიმშილს,  
შუბერტს თავში აშეალნენ დაშანთული შაირები,  
ეშინიათ მშრალ გეიშებს დაშრეტილი მუშტრის მუშტის,  
შენატროდა მლაშე ტბაში შქერებს შუქი უშიშარი,  
შარმანნინდელ შინაბერებს აშანტაჟებს შუშის შრადი...  
შაბათს, აშარ შუალამით, შავ შადიმანს შერცხვა გულში!  
შამბნარს გაეშლი, შუბებს შევშლი, შტოს ქალაქში ვათამაშებ,  
მშობს შანდალში ქვიშის შოუ, ვიშხამები როშვის შხეფით,  
შარავანდელს ავიშენებ შერისხული შიშის ლექსში!

**ყინული და ცეცხლი****11.12.2016.**

რა რთულად მიდის ჩემი ყოფა... იგი შედგება  
ყინულისა და ცეცხლისაგან, ინვის და დნება,  
ტვინი ფეთქავს და გულსაც ითრევს ეს აფეთქება  
და ყველა განცდა ჩემს გარშემო იდგმება ძნებად.

დაუსრულებლად ვეხვენები კონტურებს: „ჩემო  
კარგებო, ჩემგან არ ნახვიდეთ არასდროს...“ მაგრამ  
ვნუხვარ, მათ ნაყოფს კონტურების დარჩება გემო  
და ყველა იმედს მძიმე ჯვარზე ლურსმნებით ვაკრავ.

დაყვლეფილ მუხლებს ვერ ვიშუშებ და მხოლოდ ლტოლვილ  
სულს ვეურჩები... სხეულს ცვივა ბერნი ბელტები,  
მიმქრალ აჩრდილებს ვეპარები თითების თრთოლვით,  
ვიცი, რომ ბოლო ტაეპებს ვწერ და ვქვესკნელდები.

სმებს უხდებათ ახირებულ ხეივნებში დიდხან ხოხვა,  
 უხმარ მახვილს – ლხინის ტახტი, მუხის ხახას – ქოხი ხევში,  
 ფრთხვინავს ხარი, ხვრინავს ხერხი, ქარიშხალი – ახარხარდა,  
 არახრახდა ხარახურა, რიხით სმება რუხი ცაცხვი,  
 ფეხაკრეფით ხეტილობს მოცახცახე ხორცის ხროვა,  
 ურჩხულ ხეზე გათხოვილა უხმაურო უთხოვარი,  
 მერცხლებს ახსოვთ დახორკლილი გაზაფხულის შეძახილი,  
 ბუხარს დახრავს ცეცხლის მეხრე, დახრილ ვენახს –  
 ხეპრეს ხორხი,  
 ვუხმატკბილე რუხ ხარიხებს, ჩარდახს ციხე შეეფუხამე,  
 ხვალ ხაროში გამახარებს მეხამრიდზე ხრიკის ხვაჯი,  
 მხრები ამიმხედრდებიან, დახატავენ ხატს ხელები,  
 თიხის ჩიხებს ახითხითებს ნახევარი მენახირე,  
 კოლხი ხურო ახარისხებს ხეირიან ხარაჩოებს,  
 ერთხელ ხუთის შემოხაზვით ხალხი ხრამში ჩამსხვრეულა,  
 დახამებულ საფეხურებს ფხის ფაფახი ეხურება,  
 თახვი ხაპავს სხვა კაშხალში ხამანკების დახშულ სახლებს,  
 სახრე ანთხევს ხალიანი არტახების ხარბ ხარაკირს,  
 ეხუტება ხაოიან ტახს განცხრომის სიუხეშე,  
 ვხავი თხრილში, მემსახურა მხოლოდ ხილვა უსახური,  
 თოხს ხარატი ხვენავს, ნახატს –  
 მხატვრის ხედვის უცხო ხილი...  
 ხმელ ხიფათებს მხიარული წარმოსახვა მარხავს ახლა!

ჩემო თავო, დაე, გახდეს შენი ზეცა პოეზია,  
ის გიყვარდეს, რაც მცირეა, ვინც უუბრალოესია,

იქ იცხოვრე, იქ იარე, სადაც სულის ბედლებია  
და ერთმანეთს მთვრალი მწუხრის აჩრდილები ეხლებიან,

ვიცი, სადაც თვალს დავადგამ, არასოდეს შევა კუბო,  
რომ სიჩუმის სახლში შვიდი ცის სიზმრები შევაგუბო,

ვნახე ერთხელ, კენწეროზე მუმლი ბუდეს დაესია,  
მაგრამ მხოლოდ წუთით; ღმერთის ნება უზესთაესია!

თავისუფლად ვუმზერ უფსკრულს, სადაც მსხვილი ნაძვებია  
და მჯერა, რომ იქ ნისლები ჩემთვის აღარ ჩანვებიან,

რადგან ხშირად მიწვეს მისვლა და ყურება ხევში, დაბლა  
და ვისვენებ იქ ყურებით, სადაც შუქმა ბნელი დაფლა;

მე სხივებით ვწერე ღამის იღუმალი იგავეზი...  
ახლა ვდგავარ და ეშმაკებს კალმით ვეფარეკავეზი.

**მარადისი**

**01.02.2016.**

სამუდამოდ მიმატოვა აკრძალული ნერგის ხილმა,  
ვხედავ, რასაც ვერ ხედავენ, არ მჭირდება ცხადის ხილვა.

არც მე ვჩანვარ, როგორიც ვარ, თითქოს,  
მადევს მსხვილი გრიმი,  
ჩემი თავის შესაცნობად შორს გავგზავნე პილიგრიმი.

ვდეენი ფიქრებს, თუ მეცხრე ცის მწვერვალამდე ვერ აღიან,  
აღარ მინდა არც ძაძები და სიცოცხლეს ფერადია,

რაც მალონებს, სიკვდილს დაბლა მდინარესთან ჩაყვეს,  
ბნელთან,  
მიწის ზემოთ რაც მებრძოდა, უკვე ისიც ჩაქვესკნელდა.

ვინ თქვა, ნატვრა საუკუნო ყოფის ცაში არ ადისო?  
უკვე დროა, ფრთები შალოთ, ოცნებებო მარადისო!

**შუქის ზვავი**

**22.10.2014.**

*(სალომეს)*

მინდა, ისე რომ მახსოვდე, როგორც მწყურვალს წყარო  
ახსოვს,  
სამუდამოდ ებინადრო სინათლის და ღრუბლის ნაქსოვს,

გაიჭიმოს უსასრულოდ გვირილების ვაგონები,  
არ მოგვმორდეს შუქის ზვავი, მთიდან მთაზე ნაგორები.

ახლა სწორედ ის წამია, როცა ცაში არ აღიან  
არც ღამეთა თვალები და მზის სხივებიც მარადია,

გამოუშვით აქეთ დილა, წყვილიადს კარი ჩარაზოდეს,  
დავთმოზ ყველას და ყველაფერს, სიყვარულს კი – არასოდეს!

აიტოტა შავ ღრუბლებში მენამული ტოტები და  
ირგვლივ გახდა უხილავი ყოველი და ყველა,  
გამოსჭვივის წყველა-კრულვა ჯოჯოხეთის გოდებიდან  
და ასვენებს აღარავის განწირული ხველა.

აქ არ არის გმირი ომის, გმირი შრომის, გმირი სუფრის,  
ყრიან მხოლოდ დასჯილები მყრალი სულის გამო,  
შემოტეხეს ყრუ კედლები ბრმა ლოცვებმა ქირისუფლის,  
იცლები და კვლავ ივსები დაშხამულო ჯამო...

ტალახიან მდინარეში ბანაობენ, მაგრამ არ აქვს  
გარდაცვლილ სულს არასოდეს განწმენდილის შვება,  
ცხელი წყლები არ გავს ენგურს,  
ჭოროხს, იორს, არღუნს, არაგვს  
და წყვედიადიცი მხოლოდ ტანჯვის შავ ლეგენდებს ყვება.

გვითხრა ღმერთმა, რომ იყოფა ყოფა ორად: მიწის და ცის,  
ან გვენის, სადაც იწვის სული, ქრება ხორცი,  
ვინ უარყოფს თეთრ დირიჟორს ზეციური, ლურჯი დასის?  
ის აყვავებს ჩვენი სულის და სხეულის ქორწილს!



ლამდება. ნაქსოვი ღრუბლები კოცნიან ღამეთა მარწუხებს.  
მომეცით გაფრენის უფლება, მონყენილს რუტინა მანუხებს.

ცულმა ჰორიზონტი დახია! ღმუოდნენ კლდეები ღატაკი,  
მინდა, რომ დაღებულხახიან ზღვას ყელში მახვილი ვატაკო.

მძიმეა სიმართლის უღელი, მძიმეა სინდისის ტარება...  
თვალს ვახელ და მახსოვს; ნუხელ ის ბოროტი კიოდნენ ქარები.

მან თავისუფლება შემატა მტირალ სულს,  
დაღლილ ხორცს და შავ ტანს...  
სიბნელე რაშების რემათა მეთაურს ტყვეობით დაშანთავს.

ვიდაცას მათრახი ატირებს, მახამენ წყლისფერი ჭავლები.  
უნდებათ დამშეულ ნადირებს სულით დაცემულის ჩავლება.

კარგია იოლი ნადავლი... მომწონს, რომ გიზგიზებს ბუხარი,  
ის დროა, ჩემს გზაზე ზღვად ავლილ წითელ წყალს რომ  
დავხვდე მწუხარე.

მინდა, რომ დავჩეხო ტახტები: ისინი ტყუიან ყოველთვის!  
მე მუდამ იმ უფსკრულს ვახტები,  
სიცრუის ზეობას რომ ელტვის.

**ჯარა**

**23.07.2016.**

არ მიყვარს გაყოლა დინების, არ მიყვარს სიჩუმე სამარის,  
შუქს ძალით არ ვეპოტინები, თუმცა, სანატრელი რამ არის.

ხმა დაბლა რატომღა ჩაისმა, როდესაც გავეურბი იმ ყვავებს,  
რომელიც ისტუმრა დაისმა?... მე მხოლოდ ბურუსი მიყვავებს.

დამყვება შეშლილთა ამაღა, თვალეში ჭინკები დახტიან,  
მზემ თავი ჯურღმულში ჩამალა, იქ, სადაც ჩონჩხების ტახტია.

აქამდე ვუსმენდი საოცარ, მისტიურ ბგერათა ფანტომებს,  
სხეულში შემეჩნდა ქაოსი, რომელიც სუიციდს მანდომებს.

ყოველთვის დამდევენ ეკლები და მჩხვლეტენ, მლოკავენ ისინი!  
სალ კლდეებს ვეანარეკლები, ვღრიალებ, ვტირი და ვიციანი.

დამთავრდა ნუგეშის მარაგი! დავტოვე მშვიდობის სენაკი,  
მზე ჩადის, სიკვდილის ჯარა კი ტრიალებს...

სიცოცხლის რწმენა კი...

მოკვდა.

**კორღები**

**01.06.2008.**

მე მიყვარს საღამო ძალიან,  
მოცული მომწვანო ოცნებით,  
ის თითქოს ლამაზი ქალია!  
სავსეა ცა ღამის ფრთოსნებით.

ჩვენ ვსხედვართ, ვსაუბრობთ და მალე  
ერთმანეთს ვშორდებით, ვშორდებით  
თვალეში დამალე, დამალე,  
აჟღერე წამწამთა კორღები.

სიბნელე თანდათან შემოდის. სიბნელე ისეთი კარგია...  
სულ მაღლა მიიწევს ზემოთ ის ღრუბელი, რომელიც მარგია.

ეს ღამე მე უნდა დავაბა! ფეხქვეშ მემტვრევიან ტივები,  
მეორედ გადარჩა ბარაბა და თითქოს წვალეზას მივები.

სივრცეში მიცურავს იახტა, თვალეზის გახელა ათენებს  
დილას და სიცივე მიახტა გადამწვარ ელექტროსადენებს.

ჰაერში სურნელმა იმატა სიბრმავის... მოვიდეს, ნეტავ ის  
სისველე ოთახში, წვიმათა, ირგებდეს ქარიშხლის მკვნეტავის

როლს ნისლი... იბრძოლოს დაე, მან, რომელსაც დუელი წყურია,  
მე ვანყობ შავ-თეთრის პაემანს; სული ხომ სხეულის მდგმურია.

ჭალაში ბებერი მუხები მიმზერენ და ვგავარ აკლდამას,  
რომელსაც ვერ ვეპასუხები, რადგანაც არასდროს აკლდა მას

მახვილი უგრძნობი ტანისთვის... დავლენე ფოლადის ჭიშკარი,  
ეს სული აღდგომას განიცდის და გაღვიძებისკენ ვიჩქარი.

**სალომე      26.11.2013.**

გადამწვი კოცონის ალო მე,  
სიყვარულს უხდება მეტი რა?  
ნუ ტირი, ნუ ტირი სალომე,  
შენს ნაცვლად მე უნდა მეტირა.

შენამდე უწყვეტი გზა მომე,  
გვირილის დაგიფენ ხალიჩას,  
არასდროს არ მყოფნის სალომე  
ღიმილი საყვარელ ქალისა.

მაჩუქე შენი ხმა, გამენდე,  
მო, დავსხდეთ ბუხართან და მომე  
სიზმრები დილიდან ღამემდე,  
ღამიდან დილამდე, სალომე.

მოდიან წითელი ბინდები,  
მსურს შხამის თასები ვცალო მე,  
მე შენით ვხარობ და ვინტები,  
მე შენით ვიცოცხლებ სალომე.

არ დავთმობ ამ გრძნობას არასდროს,  
გზა თუნდაც ეკლებში ვკვალო მე,  
ოცნების სიღრმეში ნანატრო,  
სალომე, სალომე, სალომე.

ჩასაფრებული და მშვიერი ავაზის თვალებს  
მაგონებს ღამე, ერთმანეთში ვინვით მე და ის.  
ყრუ დედაბრებმა უცხვირპირო კაცი გათვალეს,  
ყვირილით ხვდება უღიმღამო ნისლის მზე დაისს.

პირუტყვო ხმაო, მტრედებს რატომ არ ეუბნები,  
იფრინონ ირგვლივ? მშვიდად ვდგავარ, ან გელოდები,  
ველი დიალოგს... იძინებენ გარეუბნები  
და სულ ჩხავიან მეამბოხე ანგელოზები.

ასე დუმილით დავიღალე! უნდა დავხიო  
ეს უმაქნისი, დაგლეჯილი ტყავის აფრები!  
შემოიღენა თავში ხილვა, ცრუ და აყვია,  
ვუსმენ სიკვდილის მწარე სუნთქვას და ვიზაფრები.

ჰალსტუხი ახრჩობთ მძიმე ბლენძებს. ცრემლის გუბეში,  
გადავინყების ლაბირინთში, ლენავენ ქვები  
კიბის უდაბლეს საფეხურებს! მოკვდა ნუგეში  
და ზომბთა გათხრილ სამარეში ნვალეებით ვწვები.

კალამი არ ქრის, მეომარი არ ვარ და მხოლოდ  
წერის სიმცირე შემოძლია, მიტანს და ვიტან,  
გასაჩუმებლად გულგრილობით უნდა ჩამქოლოთ,  
მაგრამ მე მაინც წამოვდგები ისევ თავიდან!

**სპირიტუზი**

**16.12.2016.**

დგას შუალამე განშორების. ვუმზერ ჯილათა  
მკვიდრს, საიდანაც მძლე მონარქი ვერ დაიხატა

რატომლაც ერში და მანვალებს ხილვის მანია,  
არ მიმგზავრია ტროას ცხენით, დიდი ხანია.

ვიცი, რომ ტახტი ამაოა გველთა და ნეხვთა,  
ჩემი დესპანი დღეს სამოთხის დესპანებს შეხვდა.

ახ, ჩემო სარკის ანარეკლო, ძვლების კიბეთა  
მყიფე ძვლებისთვის შედარება ვინ გაგიბედა?

იცოდეთ, ველი ამ წუთიდან სტუმრობას ორმოც  
დღეში გულგრილი ჭირისუფლის და გიშრის ორმოს...

დავძვრები კვერთხის ლაბირინთში, შუბლზე ჯვრებია  
ყალბთა დასმული და ყალბებიც ხვრელში ძვრებიან,

რომ გამომგლიჯონ ყალბი ქება... მაგრამ ირიდებს  
სული ყოველთვის ახვართა და ავთა სპირიტებს.

**\*\*\***

**02.12.2016.**

ვაი-მწერლები ხე-ტყეს ნთქავენ, ზომბები – ჰაერს,  
ბრმები სინათლეს, გონიერნი – წყვდიადის ქაოსს,  
ბრძენი ჩრდილშია... სამუდამოდ იქ დარჩეს დაე,  
ოლონდ, სიბრძნესთან სისულელემ აღარ იდაოს.

კეტები კედლებს ეყრდნობიან; დაღლილან. რისკი არის დაცემის... წინ საქმე აქვთ ბევრი, დაღლა კი არაფერია, როცა შხუის ძარღვებში ვისკი, იქამდე, ვიდრე არ გახდება რაში ჯაგლაგი.

ახლა სახეზე მიხატული წრენირებია  
შხამად მოარულ დღის წესრიგში და ყველამ იცის  
– აქ გულგრილობას ტალანტები ეწირებიან,  
როგორც უაზრო იმპულსს ხედი ნატიფი რინის

და კიდევ ბევრი სხვა რამისაც... ქრება კერია  
ძმათა და დათა და პატარას მხოლოდ ის ახსოვს,  
მისი ყოფიდან ტყვიამ რაც არ მოიგერია  
და სამუდამოდ მიაქსოვა ხსოვნის მისაქსოვს.

ბალერინები ფარფატებენ თითქოს დეგასი  
გამქრალ დარბაზში და ვუყურებ ჩუმად კაბიან  
გრაციებს... ქროდა კაბადონზე ქარი-პეგასი  
და ვგრძნობ, ამაოდ უძრაობა არ მიკაფია!

ის მწარეა და მათრობელა, როგორც ტეკილა,  
იგი დამცინის, მაგრამ არ ჩანს, როგორც დემონი,  
ციდან ზარები სულ ბზრიალით ჩამორეკილან,  
რომ ჯვრები ვზიდოთ, საბოლოოდ საედემონი!

სიზიფეს ლოდი არის ძილი! მკვლელია იგი  
ჩემი ცხოვრების მესამედის და არ ვენდობი!  
მე მომიტევეთ კუბომდე და სამარის იქით  
და თაიგულად შემეიკარით მაღლი შენდობის!

**უპირო**

**20.11.2016.**

როცა კელაპტრით შევალნიე წამიერს მიღმა,  
სხვა სამყაროში და შეცნობის სურვილმა მიხმო,

დავეჭვდი – იქნებ, ამ წუთამდე არც კი ვიყავი?  
თუ ვირიყები, ვინ, ან რაა ჩემი მრიყავი?

რა უძიროა ეს სამყარო! მძლავრად გავები  
ბუნდოვან ქსელში და მომდევენ თეთრი ყვავები,

მთელ ძალისხმევას ღრმა სიჩუმის შესწავლას ვახმარ,  
ოლონდ, არასდროს ჩამითრიოს ლაყაფის კრახმა,

ვთხოვ ჩემს ორეულს, რომ თავისი თავის ინამოს,  
თუ მეუარა, გავახსენებ კრწანისს, წინამურს...

მან რა ქნას, ვისი გონებრივი რესურსიც ყლაპა  
დროის სიავემ? სად ვეძებოთ ისინი აბა?

ზოგს ათბობ, ზოგს წვავ, შემეცნების ძველო ბუხარო...  
მე ისლა მრჩება, ზომიერ ალს თავი ვუხარო.

**კვამლი და ძერა**

**21.11.2016.**

წრეზე ტრიალებს მძაფრი სუნი, კვამლი და ძერა.

„ულისეს“ წერა დასასრულა ახლა ჯოისმა.

ქარი ზუზუნებს ისე, თითქოს ბოთლში ჩაბერა  
ვილაც მასხარამ. აბრეშუმის ფხრენა მოისმა;

ქარი და წვიმა შეერივნენ ერთმანეთს მეხში,  
მწვერვალისაკენ გაიტყუებს გამა ჯეირნებს.

ვინმე ფრანგს ვეტყვი ზრდილობისთვის, ღიმილით: „merci”  
და ხმა-ხიფათი სენის ხიდზე გამასეირნებს.



**გზა**

**23.11.2016.**

დღეს გველეშაპი დაამარცხა ქართველმა ერმა,  
სადაც ჩვიდმეტი ასწლეული ცეცხლში იარა,  
დღეს მავნიყდება, რომ ცხოვრება მე რიგზე ვერ მაქვს,  
დღეს გვიშუშდება მტკივნეული ყველა იარა.

ის შუბი ვიყო, წმინდა მებრძოლს რომ ქონდა ხელში!  
„ტკივილი მინდა გრძნეულ მკერდში“ – ასე ვილოცე,  
დაე, ეს გახდეს მამალმერთთან ქართველთა ელჩი,  
ალარ ვიაროთ რადგან გზაზე, სასიკვდილოზე.

**მე მეშინია**

**11.11.2016.**

მე მეშინია, ამოზიდავს როცა ვაზი თავს  
და ტლუ დახვდება გამრჯე კაცის ნაცვლად მცენარეს...  
სადაც უჭკუო ცარიელ თავს მაღლა აზიდავს,  
იქ უუფლებო ბრძენის გეგმა ვერ ისცენარებს.

მაგრამ ხომ არის ისეთი რამ, როგორც ჩვენი  
უფალთან ღამით თავდახრილი ვიზიტებია...  
უსაქმურია მოარული გვამი რეგვენი,  
მათი გვნამს, ვისი ხმებიც მაღლა იზიდებთან.

## **მე ვსწავლობ ენას**

**29.10.2016.**

მე ვსწავლობ ენას მოზრდილთა და ბავშვთა, სტუმართა და მასპინძელთა, კაცთა, ქალებს, ბიჭთა, გოგოთა, მსურს, ახლოს ვიყო ხმებთან, შორთან და იდუმალთან და ამ ბგერებით მოვიპოვო ჩემი გოლგოთა.

მე ვსწავლობ ენას მიწის, ცეცხლის, ჰაერის, წყლის, მაგრამ ყოველი სისუსტეა, დუმილის გარდა!  
ვერცერთი სიტყვა ემტერება დუმილის ხალისს, რადგან, მე მიყვარს მარტოობის გვირგვინი... ფარდა.

## **რტოეთი**

**08.10.2016.**

ყოველდღიურად იქსელება ლექსის რტოეთი, ის ტყეა უკვე და ამზადებს სულეთის ერქვანს...  
თუმცა, არ ვიბრძვი, რომ გამიცნონ, როგორც პოეტი, მხოლოდ ის მინდა, კარგი კაცის სახელი მერქვას.

მე ვარ კაენი. ძმა მოვკალი, რადგან მაჯობა,  
რადგან რჩეული იყო ღმერთის, მე კი ვბნელდები,  
თუ ვარ მეორე... თავს დამატყდა მკვლელის ქაჯობა  
და მივიყარე სამუდამო წყევლის ბელტები.

ჩემი შვილები ვერ ხარობენ მას შემდეგ. მდევნის  
მუდამ და ყველგან სულის სენი, მიფრთხობს ზმანებებს,  
უამრავია ქვეყნად პირმშო მადლის შადრევნის,  
მე კი სასტიკი რეალობა თავს არ მანებებს.

მას შემდეგ გახდა ჩემი ყოფა აბსურდი... თითო  
დღე-ღამე თითო სასმისია შხამის... იმავე  
სენს ვებრძვი დღესაც და ყოველთვის ის უნდა ვზიდო,  
როცა ჭინკები ჩემს დაძიძგნილ ნერვებს ჭიმავენ.

ტანჯვას შერწყმული ბოროტება უღმერთოდ მეღტვის,  
სურვილებს ვაფრქვევ ავადმყოფურს, ბრძოლა პურია,  
მაგრამ ჩემს ბრძოლას არ აქვს ბოლო; მინდა, ყოველთვის  
ვგესლო ისინი, ვისაც ჩემი სისხლი წყურია!

**ქვითა ღუმილი**

**09.10.2016.**

ჩემი გონების ნარჩენებზე ვიზრდები მევე;  
პურს ვთეს – ქვა მოდის, მადლს ვეძებ და – ვპოულობ დევებს.

მინდა, დავხიო მკვდარ სხეულზე მკვლელი შავები,  
მაგრამ საკუთარ ანგელოზებს ვეჭიდავები...

ნეტავ, მე და მათ ერთ სუფრაზე ერთად ვჭამოთ ის  
პური, რომელსაც ერთად ვთესავთ, მაგრამ ქვა მოდის,

ხშირად მეგობარს ვეძებ გვერდით, მაგრამ ქვევია  
ირგვლივ მოძრავი და ზღაპრებსაც ქვევები ყვებიან...

დაიჭიხვინა ბრძოლის ველზე შავრა ულაცმა,  
ხელები გულზე მიყრია და ვგდივარ გულალმა;

სხვები კი არა, საკუთარი მე უნდა ვმართო,  
რომ მარტოსული, საბოლოოდ არ დავრჩე მარტო.

**მხოლოდ ის მინდა**

**10.08.2016.**

მხოლოდ ის მინდა, ვიდრე ნავალ, მოვასწრო ყველა  
საქმე, რომლითაც საზვერეში მშვიდად ვიქნები,  
საქმე, რომელსაც დააკლებენ ვერაფერს გველი,  
პარაზიტები, მლიქვნელები და ჭორიკნები.

## ვერცხლის შედეგი

08.09.2016.

სისხლის ლაქები გადარეცხა წვიმამ სახიდან,  
როგორც მოლბერტზე შერჩენილი წვეთი გუაშის.  
მოეთრა მეფე და ნითელი მინა გაყიდა,  
რომ უფრო მეტად დაგვამსგავსოს მეჯღანუაშვილს.

ხშირად ვამატებ ქამარს ნახვრეტს... ვატყუებ უფალს  
და თავს ვიტყუებ, თითქოს მიყვარს ცხოვრების ფეთქვა,  
მიამიტობა სახეცვლილი გველივით მღუპავს,  
როდესაც მტრისთვის ფსალმუნები მინდოდა, მეთქვა.

მე მინდა, ვიქცე ჯიუტ მცველად გახსნილ ბაგეთა  
(ღმერთო, ავადმყოფ დედამინას დუმილიც ვერ ცვლის?!)  
მე მეზიზღება, რამაც ჩემში ბნელი ჩაკეტა,  
მე მეზიზღება საშინელი შედეგი ვერცხლის!

## საფასური

27.08.2016.

სულერთი არის, რა გჭირს, ანდა, რა გილხინს, ზვიად,  
სულერთი არის, რას ითხოვენ შენი თვალები.  
მათაც კი, რასაც სიკვდილი და სიცოცხლე ქვიათ,  
შენ აღარასდროს, აღარასდროს შეებრალები.

სულერთი არის, რა გაქვს გულში, რა გაქვს სახეზე,  
ანდა, რას ნიშნავს შენთვის გრძნობის ოქროს ზოდები,  
წყალობის თხოვნით მხოლოდ ცინიზმს ზრდი და აქეზებ,  
შენ აღარავის, აღარავის შეეცოდები,

რადგან შენ თვითონ დუმილი ხარ... მკითხავს ნურავინ,  
რისთვის მოვედი... პასუხები თვითონ მწყურია,  
მაგრამ დავეარგე! ლაპარაკის ვარ მომდურავი  
და ეს დუმილი ჯოჯოხეთის საფასურია!

**განწიერი**

**22.08.2016.**

ვიცი, რომ ჩემი განწიერი თავის წამებას ბოლო ვერაფრით მოელება, ვიქნები ვიდრე, ბნელს უნდა, კუპრის ტანზე ბენვის ხიდი გამებას, დავეძებ ლანდებს და წყვილიაღის მორევი ვითრე.

ასე განვიცდი სულის ძაგძაგს; იგი ჩიტივით შეჭირხლულ მინას ეხეთქება, შემოსვლას ცდილობს, მაგრამ ზამთარმა ვერ დატვირთა ის პოზიტივით და მასში „შიში“ ჩაუხატავს თითქოს უტრილოს.

იგი დაბმული შეშლილივით აწყდება კედლებს, იგი ნეტარებს, იგი წვალობს, იგი ხარხარებს, მაგრამ ლექსისთვის დაწყველილი ვერასდროს შეძლებს, თავის საშველად ეთამაშოს თეთრ ნიავქარებს.

**ბრა მაქმანების**

**31.07.2016.**

მე არ მჭირდება მუდმივი მზე, რადგან მწველია ამ დროს გრძნობები და მბრმავეებს დრამა ზმანების. უცხო თითები დემონების დედას წველიან, ირგვლივ ანათებს იდუმალი ბრა მაქმანების.

მე ვეძებ კრუნჩხვას. საყვარელი კრუნჩხვა აქ იდო, მაგრამ გამქრალა, როგორც ვაშლი ცხელი ცდუნების. ჩემს მაგიდაზე სამუდამოდ დევს სამაგიდო ბეჭედი, მტრისთვის სიძულვილის არდაბრუნების.

## **ბატკნის ჩივილი**

**25.08.2016.**

მე ვარ ბატკანი დასაკლავი. ეჭვანის ნაცვლად ყელზე მკიდია უბასრესი ეკლების გროვა... მე ხშირად მინევს კაცის სულის სიცოცხლით ჩასვრა; იგონებს, თითქოს, ჩემი ხორცი უფალმა თხოვა.

სისხლი გროვდება გუბეებად ტაძრის ეზოში, იძღონ უძღები სტომაქები ყასბებმა, რადგან, ვარ ხშირი მკვიდრი დასისხლული სატრაპეზოსი, იქ, სადაც ღმერთმა ტახტი მარხვით და ლოცვით დადგა.

„მორწმუნეები“ ღრეობენ და ჩემი ხროტინი ეკლესიიდან გამომავალს აწყდება ლოცვას, ღმერთო, არგუნე შენს ნაშიერს ღრმა მოლოდინი, რომ ჩემის ნაცვლად შენი სისხლის წვეთები მოსვას!

## **გაუგებრობა**

**16.07.2016.**

ნინ ზუსტად ვიცი, სისხლიანი ეპოქებია, ჭაობში ცეცხლით დაპყრობილი მიწა ეფლობა, პაპების ძვლები ახლა შვებით გვეპოხებთან, ორასწლოვანი იმარხება გაუგებრობა.

ჩვენში არ არის რეჟისორი მომხდარის, მაგრამ ეს დასასრულის დასაწყისი გახდება, ვიცი, მე მაინც ვიტყვი, თუნდაც, ჯვარზე უკულმა მაკრან, რომ მოვა ის დროც, მიეზღვება ყველას თავისი.

იმდენს ვაშავებ, ვძულვარ ყველას! თავს ვგრძნობ ამაზრზენ ცხოველად, მაგრამ სამუდამოდ ვრჩები ამ აზრზე:

„რატომ მოვედი ამა ქვეყნად?!...“ მეგონა, ყოვლის ნგრევა მინდოდა, ვიდრე მივხვდი, ფერი მსურს თოვლის

და არა, რაღაც, ყინვა მისი... მხოლოდ ქარაგმა დევს ამ სიტყვებში, დამივიწყა სხვა ლაპარაკმა!

მე მიუღწეველ ხმებად მესმის ნკრიალი ზართა და ვგდივარ ფეხებდამსხვრეული სამოთხის კართან...

ვგდივარ ორმოში, საიდანაც არავის უნდა ამომათრიოს და მიმაგდოს, უგულოდ თუნდაც!...

ჭაობის პრინციპს ვერ ვრევი... მძირავს ის, უფრო, როგორ არ მინდა, ლუციფერთან ერთად ვისუფრო...

მაგრამ ყველაფერს ვნამლავ სიტყვით, საქმით და ვნებით, არც ძალა შემრჩა საკუთარი ვნების დევნებით...

შავია მინა, მეფლითება სულის საკნები, ვანყდები კედლებს ლაბირინთის და ვიკლაკნები,

გარშემო მხოლოდ მოხარხარე დემონებიან სივრცეს ვხედავ და არც მონები მემონებიან,

რადგან, ყველაზე დაბლა ვდგავარ და ვიცი, როდის შევადო კარი, საიდანაც სიბნელე მოდის.



**მშრალი მინება**

**19.07.2016.**

მარადისობას გავუკეთე დარდის პატრუქი,  
დავდივარ გზაზე, გაუვლია სადაც არავის,  
უმიზნოდ ვსუნთქავ, უმიზნოდ ვარ, მე – უბადრუკი  
და ვგულგრილდები, როცა მჯიჯგნის დრო შემპარავი.

დაფარულია ეს ქვეყანა მშრალი მინებით  
და ხელებს წყლისთვის ვაფათურებ... ისე ცხელოდა...  
მაგრამ რა სიცხე? დაჩოქილი და მოწინებით  
ვასუფთავებდი გრილ საფლავებს უსახელოთა.

**ცხოველის დევნა**

**24.07.2016.**

ყველაზე რთული ცხოვრებაში, ყოფილა თურმე,  
შენგან დევნიდე სოციალურ, ავადმყოფ ცხოველს,  
როცა მუდმივად მატერიის გეძახის ტურნე,  
ენა, კუჭი და მძაფრი ვნება საკვებს რომ გთხოვენ.

გზაზე გავდივარ, ვიხედები ირგვლივ და ვხედავ,  
ყველგან გაყინულსახიანი გვამები სხედან,

მავანს ნაგავი დაეყარა პალმის რტოებთან  
და მაგიური ძალის ტალღა მაჯადოებდა,

მე ვიკრუნჩხები ამ უხილავ ტალღებში, ვინვი,  
თვალეებში აღწევს კომმარული კოცონის ხინვი...

ახლა ვიგრძენი: პატარა ვარ! ეს ვარ, რაცა ვარ,  
აღარაფერი გამაჩნია თავდასაცავად,

ეს ასე არის და ბოლომდე ასე იქნება,  
რადგანაც, როგორც გვიყვებიან ძველი წიგნები,

დღევანდელ ქათამს ხვალინდელმა აჯობა კვერცხმა,  
უკვე მაბრმავებს დღის და ღამის ურყევი შერწყმა...

ვერ მიხსნის ტუჩებს ბასრი დანაც! ველოდი უფალს,  
როცა აქ იყო და სულ მასთან აცდენა მღუპავს...

თითქოს მიწაზე კითხვის ნიშანს ცეცხლით ვხატავდე  
– საიდან მოდის, ანდა მიდის, ტანჯვა სადამდე?!

**შველის გარეშე**

**03.04.2016.**

ღმერთთან კავშირი ვერ იქნება ხილვადი ყველა  
სულისთვის, თუმცა, ღმერთს ტაძარში ყველა უხარის.  
სუნთქვა მეკვრის და გაგიჟებულს მიტყდება ხველა,  
რადგან არ ვიცი, სად დავტყო ზღვა სიმნუხარის.

ყველგან სავანის მოსვენება მსურდა, მეპოვა,  
სადაც წავედი და... ამაოდ!... კარგი რამ არის  
სიმშვიდე, მაგრამ სულ გამირბის შმაგბუნებოვან  
პოეტს და ისლა მრჩება, გავხდე მკვიდრი სამარის.

ლამის დავღეჭო ეს უძირო ლოდინი! ნეტავ,  
სადაც წავიდე, ან აქ ყოფნას რა თავში ვიხლი?  
დესპოტ მუზასთან შერკინებას ცოდვებით ვბედავ,  
თუმცა, მუზისგან მერამდენედ ვინვნიე ნიხლი...

ჩემი სამოსი ძონძებია, მომეცით მე ის!  
დაუთმეთ ჩემი თავი გუბეს, შველის გარეშე!...  
მე შევასრულებ ჯოჯოხეთში პირდაპირ რეისს  
მაგრამ შფოთისთვის იქიდანაც გამათარეშებს...  
სატანა.

**\*\*\***

**11.07.2016.**

ახლა ისე ვარ, დავლევ დამდნარ ტყვიას იმავე  
მადლით, როგორც წყალს! რკინას დავკვნიეტ ჟინით და შვებით!...  
ვიდრე, რაც დავგვრჩა, იმასაც არ მიაჟიმავენ,  
მანამდე აღარ დაძლებიან მათი ფაშვები?!

\*\*\*

23.06.2016.

ცისფერ ეკრანზე ხალხთან ერთად მეც ხომ ვნახე ეს კადრი, მტვერში რომ ბილნი სახე ათრია „მეფემ“ და შუბლისძარღვებდამსკდარ თავებს და მსხვილ სახეებს მისი მცველები ჭოტებივით ატრიალებენ?

**პურნი და თევზნი**

03.02.2016.

ვერაფერს ვხედავ, სადაც არ ღირს გახელა თვალთა, თუმცა, ყველას და ყოველს ვხედავ, როცა გადამდებ ხმაურს მიეყვები და მშორდება მფარველის კალთა, ჩემი თანმდევი საიქიოს განთიადამდე.

უცებ კუბებად დაიშალა მიწაც პიკასოს ერთი ჩვეული ტილოსავით და ტვინში შეხტა ნატვრა, რომ კაცის მხოლოდ მსგავსმა ველარ იკაცოს, რომ ვერ დანისლოს სივრცე მტვერმა ბინძურის ფეხთა.

ტრიბუნებს მიღმა დადორბლავენ ერთმანეთს „პურნი და თევზნი...“ (ეთქმით, სიმრავლისთვის...) და სახლში მიმაქვს გული, რომელიც ველარასდროს გამართავს ტურნირს, რადგან უდროოდ ეწირება ცხოვრების კლიმაქსს.

**ჩრდილის გვირგვინი**

**15.01.2016.**

ჰაერს გაკვეთავს შუბლი, როგორც ტალღას ქორჭილა,  
გადაკარგული ბნელ მღვიმეში შევალ მორჩილად,  
რომ დავიმკვიდრო ჩრდილის ჩრდილი, ბასრი და ხმელი,  
სადაც დრო იწვის, კივის ჭოტი, სისინებს გველი.  
არაფერს ვიტყვი, ტრიბუნასთან მოსულს ნუ მელით,  
მე მდიდარი ვარ მხოლოდ მწვავე ყინვის ლუმელით,  
ვმლი სიზმარულ ჰორიზონტებს, ფრენენ ნუთები,  
ვდგავარ მუხლებზე, მინას ვკოცნი და ვეხუტები,  
მე ვარ ირიბი, როგორც მთვარე, ღრუ და ბებერი,  
უცნაურ სიზმრებს შენც, პლანეტავ, დედად შეფერი...  
ილუზიებში კარეტები უნდა ვაჭენო!  
ტყვია დამაცხრეს დაე, ზურგში, უგანაჩენო,  
თუ ვულალატო სიუცხოვეს და გვირგვინს ჩრდილის,  
თუ დავასვენო სული ჩემი, ხისტი და გრილი.

**ხანდახან**

**30.08.2013.**

*(სალომეს)*

ხანდახან ისე იღიმები, თითქოს, რიჟრაჟი  
გადმოასკდებათ ანთებულ თვალებს,  
მე ვხდები ბავშვი, თითქოს ცელქი, თითქოს გიჟმაჟი,  
ციდან წამოსულ წვიმას რომ დაღევს.

ხანდახან შენი ბაგეები ღიმილს დაღევენ,  
ცას ვარსკვლავებით თითქოს ხუნძლავდე...  
აღარაფერზე ვფიქრობ, თითქოს მალე, მალევე  
უნდა ავმალდე ქრისტეს შუბლამდე.

მოუსვენრობა მაშინ მიპყრობს, როდესაც ვხედავ,  
როგორ ვიცხოვრე... ანდა, როგორ ვიცხოვრო, ნეტავ,

იქ, სადაც უღირს მეკალმეებს გაუდგამთ ფესვი?  
შენ, ანარეკლო, ჩრდილში ყოფნის ფიალა შესვი,

ვიდრე ხმაურით დამაყრუებს ბნელი დროება  
და ვიდრე მიწას ბერნი ვერცხლი მყარად მოება.

ცნობადობასთან ვერ ვმეგობრობ (რა თავში ვიხლი?)  
მინდა, პოპულიზმს ჩავაზილო სარკაზმის ნიხლი,

ყელი გამოვჭრა მყრალ ჭორებზე აგებულ „სიბრძნეს...“  
რას ვაქნევ ჭკუას, უჯრედებმა თუ ველარ იგრძნეს

ფერების აღქმა, ან გარჩევა თეთრის და შავის?  
მაზიდებს, როცა ვილაც ზომბი ეკრანზე ბლავის,

სწორედ ამიტომ არასოდეს ვუყურებ ეკრანს,  
ისევ ის მიჯობს, მარტოობის მდინარე მეკრას,

ვიდრე უბადრუკ მოლაყბეთა აღმოვჩნდე ჯგროში,  
რომ გავიბრწყინო, მაგრამ მალე დამედოს გროში.

ღმერთების რიგი მზერას უღლის წითელ დორიანს და სულ ანიჭებს მუქმენამულ, მყვირალა ფერებს იუკატანზე, სადაც კერპი ძველ ისტორიას, ომის კვნესა კი – ტომაჰავკებს, ავად აჟღერებს.

ასის მხრიდან სტუმრად მოვა გემების რიგი, დაანთებს კოცონს, რომ კერპები შიგნით ჩაყაროს, პირინეიდან მოფრენილი უფრთო გმირი კი სისხლის ცრემლებით დააჩოქებს ველურ სამყაროს.

ცეცხლი ჩაფერფლავს დაღმეჭილი ღმერთების ალბომს, სხვა მეხიკოთი ტენოჩტიტლანს შეცვლის კორტესი, კარაველებსაც საუკუნე ნაპირს ჩაალპობს და კონ-ტიკს დაწვავს „ღმერთი“ მკრთალი, უდესპოტესი.

დაბებს დაამხობს ბატალური სცენის მხატვაი, როგორც მზის ტაძარს ჰეროსტრატეს მძიმე ბრალდება, ველური როკით გაგიჟდება ძველი ტამ-ტამი, გრძელი მახვილიც ბრძოლის ჟინით აჟღერიალდება.

დამარხებათ ისტორია ტომებს ოთომის, პრერიის სუნთქვას დამპყრობელთა ჯვარი დალენავს, მწირია იგი, როგორც კადრი ღრმა შემოდგომის და კვებავს იგი ზღვისიქითელ მრავალ გარენარს.

კორდილიერებს თავს ატყდებათ თავსხმა ისართა, ვიგვამში აღარ გაისმება ჰაიავათა, მკვლელი შემცირდა და ვინც მოკლეს, ის გაიზარდა, აცტეკთა ჰიმნმა სული როცა დაიავადა.

ჭიდილი გმართებს მონტესუმას ასულო, მშვიდო, მოდი, აილე ხელში წმინდა ომის სადავე! რომ საუკუნის სარკოფაგი ტკივილით ზიდო და ამოქოლო მოქარიშხლე სისხლის სათავე.

ერთხელ, ვისურვე, რომ გამეგო, თუ რაა იქით,  
ცოცხალთა ქვეყნის მიღმა ჩასვლა მომინდა, თითქოს,  
სიზმრის ჩანჩქერში შევალნიე შავი ლირიკით  
(უნდა ვესტუმრო საიქიოს, ვიდრე მომითხოვს)

იქ შევიჭერი, სადაც სუნთქვა მიყვება ქარებს,  
სადაც კარიბჭე სტუმრებისთვის ღიაა მუდამ,  
სადაც სამარე ზოგს თვითნებურ ყოფას უმნარებს,  
ზოგს უალერსა მოსვენების ფერადმა მუზამ.

კარიბჭის შიგნით მონუსხული ველოდი კარის  
დახურვას, მაგრამ ხმაც კი მოკვდა თითქოს უშიშოდ,  
სადაც სიცოცხლე ჯოჯოხეთის ურჩხულში არის  
და ყველას გვინდა, სულს გრძნობები რომ გავუთიშოთ.

კბილებს აღრჭენდნენ და ტიროდნენ სულნი... ისინი  
ილხენდნენ ადრე... იქ მცხოვრები ველარ ირიდებს  
კოცონის კოცნას, ყველგან აღწევს გველთა სისინი  
და დათესილის მოსავალი მოსდით სპირიტებს.

მივხვდი, ვერ უნდა მაშინებდეს სიკვდილი, მხოლოდ  
სიცოცხლე ადგენს საიქიო ბოლო სადგურებს,  
რომ სიმართლისთვის სიცოცხლეში უნდა ვიბრძოლოთ,  
თორემ საზვერე სულს წნელივით გაანადგურებს.



აზვირთებული, ტყვიისფერი, ღრმა და საშიში,  
უკიდეგანო, უცხვირპირო შავი ზღვა ბლავის,  
ვხედავთ, გრიგალმა ააყალყა ტალღის ჰაშიში  
და მკვლელ ჰორიზონტს ეფინება ელფერი ყვავის.

უზარმაზარო კუპრის გუბევ... ვილა გაიგებს  
შენს ნება-სურვილს? არ იხსნება სიტყვით ყოველი!  
ვერ ვხსნი შავ შორეთს, არ აქვს ბოლო შტორმის ტაიგებს,  
მაგრამ გისმენ და შენს განაჩენს მაინც მოველი!

როცა ბინდდება, იმოსები წყვდიადის თალხით,  
თითქოს, ბობოქრობს შენთან ერთად ყველა პლანეტა,  
რამდენი გემი ჩაგიძირავს ბოროტი ტალღით,  
გზა შენს ნიაღში რამდენ ხომალდს აებნა ნეტა?

ანტიკურ დროში ჰელესპონტი, ახლა შავი ზღვა,  
ხან მშვიდი, ლურჯი, ხან მღელვარე გუბე გიშრისა...  
ზღვაო, დააცხრე უნაპირო ვნება და რისხვა,  
ვიდრე შენს მკერდში თვითონ რწმენა არ გაისრისა!

დროს ვირგებ, სადაც ველარასდროს ვნახავ უკეთესს, როცა სიკვდილი ძალიან გავს ურჩხულს, რომელსაც წყაროსთან ყველა მისასვლელი გადაუკეტეს.

დროს ვირგებ, სადაც ველარასდროს ვნახავ უკეთესს, ბრწყინვალე ყოფას ზოგს ბინძური ვერცხლი უკეთებს, წვალეებით ცხოვრობს უმაღლესი სული, როდესაც.

დროს ვირგებ, სადაც ველარასდროს ვნახავ უკეთესს, როცა სიკვდილი ძალიან გავს ურჩხულს, რომელსაც

ძალიან უყვარს დამონება პატარა კაცთა და მისი მძლავრი შეკვივლება სამყაროს ანგრევს, რადგან სამყაროს ათი მცნების შეცნობა აცდა.

ძალიან უყვარს დამონება პატარა კაცთა იმ ურჩხულს; ზეობს დესპოტების ნაღები კასტა, მიწა ქვესკნელში ღრმად იგროვებს მზის წითელ ფანქრებს.

ძალიან უყვარს დამონება პატარა კაცთა ურჩხულს და მისი შეკვივლება სამყაროს ანგრევს.

*(სალომეს)*

რადგან თვალებმა არნახული გრძნობის ცაც ნახეს  
და ანგელოზმა თეთრი ფრთები მაღლა აზიდა,  
მე საბოლოოდ განვეერიდე მიწის სანნახელს.

რადგან თვალებმა არნახული გრძნობის ცაც ნახეს,  
მე გულში ვიკრავ ერთადერთი ქალის ნაზ სახელს,  
რომელიც, ადრე წარმოქმნილა თითქოს ვაზიდან.

რადგან თვალებმა არნახული გრძნობის ცაც ნახეს,  
რძისფერი ფრთები ანგელოზმა მაღლა აზიდა.

გვირაბში მოდის სხივნათელი წერტილის ჯაჭვი,  
მივდივართ მზისკენ, ხელს უჭირავს ხელის თითები,  
მთვარის მკრთალ შუქზე სანთელივით ელვარებს ღანვი.

გვირაბში მოდის სხივნათელი წერტილის ჯაჭვი,  
ჩემი წარსულიც მოგიზგიზე კოცონზე დანვი,  
თრობის მორევს ქმნი და არაფერს მოვერიდეები.

გვირაბში მოდის სხივნათელი წერტილის ჯაჭვი,  
მივდივართ მზისკენ, ხელს უჭირავს ხელის თითები.

**გალავანი**

**06.11.2016.**

იღება სიტყვის გალავანი. ინგრევა ბ უ დ ე  
მ რ უ დ ე სიზმრების. ბუტბუტებდა ნახშირი ჭ კ უ ი ს.  
ტ ყ უ ი ს ყოველი, რაც არ დუმს, ან ადუმებს შ ი შ ი.  
ჯ ი შ ი აქვს ყოველს, რაც იზრდება ხანგრძლივად. კ ი ბ ე  
კ ი დ ე გვჭირდება, რომ ავიდეთ მაღლა და მ ა ლ ლ ა.  
ა ხ ლ ა ამოდის შუბლში ცეცხლი. მიყურეთ, ვ გ ა ვ ა რ  
მ თ ა ვ ა რ მროშავს და მიხარია, ან არ... ნ ა მ ე ბ ა  
ე ს ა ბ ა მ ე ბ ა გალაქტიკას. ვიდექი, ვ დ უ მ დ ი.  
გ უ ნ დ ი დამბლავის აჩრდილების თავზე... პ ა ტ ა რ ე ბ ს  
ა ტ ა რ ე ბ ს მგელი სანადიროდ უკვე. თენდება.

**ღამის ყაზა**

**03.09.2007.**

ღამე მუხლებზე დაჩოქილი იდგა და ყეფდა.  
მის თეთრ თვალებში იყო რალავ სევდის მანია,  
რალავ სიცივე.  
ის მეგობრობდა იმ სიკვდილის მდინარის შხეფთან,  
რომელსაც მშიერ ჯურღმულებში ჩაუტანია  
დილა მისივე.  
გაავდა, რადგან სხვასთან ნახა თერთრი მუხლები  
ერთი არსების, ეკუთვნოდა სულ სხვას, რომელიც;  
თვალში ნაცარი?!

უბიძგეს, ცაში აანთხიოს ჯერ ხელუხლები  
რისხვა უზომო, საშინელი, დაუცხრომელი,  
უზარმაზარი!

ფართხალებს ღამე, მოიხურა ყრუმ აგრესია  
და ერთ არსებას უკანკალებს მკერდზე დაღები;  
არავინ იცის!

ყალბო, შენ იცი, რომ სალ კლდეზე უმაგრესია  
ღამის ხმა, როცა დაჩოქილი ელაღადები  
ლალატის სიცილს!

სადაც ვარ, არ აქვს მნიშვნელობა, სად, ვისთან, როდის და მაგონდება – არ მახსოვდი თურმე ხანდახან...  
 მე შემრცხვენია ამ ნუთების; ნუთუ დრო მოდის, რომ უშენობამ სული დადალა?  
 რა არის ნუთი, უშენობით მოსილი, როცა ვფიქრობ აბსურდულ იმ ყოფაზე, სადაც შენ არ ხარ?! და თუ მახსოვხარ, მაშინ ჩემში უნაპირო ცა არდავინწყების ნუთებს დამარხავს.  
 ლამდება!... მოვა შენი ლანდის ნათება, ურჩი და წყვილადს ჩეხენ ალესილი, მკვრივი გორდები, მიიპარება შუალამე, სველი და ლურჯი, მე კი, ვნათდები, რომ მაგონდები.  
 სად გამექცევი? სადაც გინდა, იყო, ხარ აქა! გინდა მრცხვენოდეს ჩემი თავის – გლოვის კარავის? თუ არ გიყვარვარ, შეიძინოს სიტყვამ ბარაქა: „მე არ ვუყვარვარ მაშინ არავის!“  
 რა არის ნუთი ჩემი ყოფის, ლამის, ან დღისა, თუ არის იგი დაშრეტილი, მძიმე, უშენო? ბედმა მარგუნა, თუ არ ვიცი, იქნებ, მაღირსა, რომ სიკვდილს გვერდი მე დავუმშვენო!  
 აქ ყოველ ლამეს მოსამართლის მანტია მოსავს; მე მაპატიე! ხელს დავუქნევ შენს ლანდს: „Adios!“  
 ისევ თვალებით ვევედრები თვალებს – შენს მგოსანს, უშენო ნუთი რომ მაპატიოს.

შენში ღრეობენ უღმობელი ზამთრის ბანდები.  
ცხელი ყინულით ეგებები უცივეს ზაფხულს,  
ყინვის მარცვლები მზის აკვანში არ იფანტება  
და შენ უმღერი განძს, სულში მარხულს,  
რომ შენეული ცივი კარებით  
მე და შენ შორი სავანისკენ მივიპარებით.

იფერფლებიან ნაკვალევში მდევრის ლანდები.  
იცი, ოდესმე აღთქმულ მიწას მივალწევთ, მაგრამ  
თეთრ შუალამეს ალად ველარ უბრიალდები  
და ბნელს სითეთრეს ფიქრებით აკრავ...  
ჩვენ ჩვენეული მჟავე ღვარებით  
ღამეულ ომში მომაკვდავ მზეს დავეხმარებით.

## გაყინული კადრები

28.12.2016.

კადრგაყინული, ღრმა ზამთარი. დაგმანულ ღრიჭოს  
ქარი უტევს და ვიოლინო სარდაფში ხავის.  
სიცვივე ცდილობს, გაყინული კბილები კრიჭოს,  
ძვლებამდე აღწევს გამოსხედვა ბებერი ყვავის.  
სული მითრთის და მეყინება; თითქოს ყოველი  
ჩამკვდარა, როგორც ნახანძრალზე სიცოცხლის არსი,  
ცა იღუშება, უსახური ყინვის მქსოველი,  
ქუჩაში გმინავს ქარიშხლების ზუზუნნი თარსი.  
მაგრამ მე მძინავს, ნებიერას, ბრმას და უდარდელს,  
თითქოს, არც უნდა მალეღვებდეს სიშიშვლე სხვისი...  
ყველა უგულოს სიდუხჭირე უნდა გუდავდეს,  
მეც მათ შორის ვარ. მეღვიძება, ვიცვამ და ვიცი;  
სხვათა სიცვივეს მეც დავიტეხ! გავრბი ეზოდან,  
რომ გვერდით დავდგე შიშველთა და უტრაპეზოთა.

## ობლები

30.11.2016.

ზანზარებს სივრცე გაოფლილი. იქცევა კუბოდ  
ახლა წითელი სარეცელი. ჯგუფებად რაზმა  
ცრემლმა ობლები. ჩვენ ობლობას უნდა ვეჩხუბოთ,  
დაე, ღრუბლამდე აინიოს ობლების ფასმა.  
კიდურებს ვიქნევ შეშლილივით, არ ვიცი, რატომ,  
არ ვიცი, საით! გულის ზარზე ვილაც მირეკავს.  
სხვისი ბავშვები არ დატოვა დეიდა ნატომ,  
ბავშვების მამას მომგონებლად მხოლოდ ტირე ყავს.  
აღარ გამოცხვა ობლის პური... გვერდი უარა  
სითბომ პატარებს და სიმწარე არასდროს დუმდა...  
ეჰ, ყველა ობოლს საკუთარი დედა თუ არა,  
დეიდა პოლი, ანდა ნატო, გააჩნდეს უნდა!...

ვილაც მრუში კი ხორცს ინვალებს და ჩნდება ციციქნა,  
ისე უწყინრად, თითქოს კრავმა ბალახი წიწკნა.

## ჩირაღდნები

27.11.2016.

ჩირაღდნებს ანთებს ვილაც ჯუჯა. ჩავა კვირტები  
ახლა ყელგამშრალ მცენარეში უკან, მალევე.  
ფეხქვეშ მიმოყრილ ტომაჰავებს დავაკვირდები,  
არის, თუ არა მათზე სისხლი... მალე დაღვევენ  
ლამისმსმელები თავისქალის თასიდან შხეფებს,  
გატყორცნილს მდეგრის ნეკნებიდან... ყეფდა რევანში,  
ვიდრე დაყრილი ყლორტებიდან ყინვა იყეფებს  
და ზამთრის ტალღა იგრაგნება ხმის შადრევანში.  
გონგს შემოარტყამს ახლა ვილაც! ისევ თასიდან,  
ტაძრის მცველები სვამენ სქელი სითხის დინებებს,  
მაგიდის ირგვლივ ექვსი ხმალი რამაც აზიდა,  
იგივე ძალა შერიგებას აღარ ინებებს.

მე ვცდილობ, მშვიდად მოვუსმინო უცხო ლაგუნებს...  
გული იღვიძებს, მემუქრება და მიბაგუნებს.

## დარაჯები

10.11.2016.

*(საავადმყოფოში, ოპერაციისას განცდილი)*

ღრუ მღვიმეებში საშინელი ტკივილი შედის.  
ვხედავ ხალათებს, პირბადეებს, ლანცეტებს... ვთვრები.  
თითქოს მომესმა მომაკვდავი სიმღერა გედის,  
ხილულის მიღმა მიმათრევენ თრობის აფთრები.  
ამ დერეფნებში მეტი სუნთქვა შევიდეს უნდა!  
ვგრძნობ, ჩეხენ შიგნით სტალაქტიტებს და ვარ თანახმა,  
სიცოცხლე კიდევ დავიმატო. მტრედების გუნდი  
დაფრინავს წრეზე, რომ წამილოს მაღლა ნანახმა;

მე უარი ვთქვი, მივეკედლო ლამის ვნებიან  
ხილვებს და სუნთქვის დარაჯები მეღანდებიან.



## **ჩრდილში ბავშვობადაკარგულნი 12.11.2016.**

სივრცეს არ უჩანს დასასრული, ჰორიზონტს – ხაზი.  
ძვლების ქოხისკენ ძალოსნები ისვრიან ბადროს,  
საყვირის ყელში წრიპინებდა გაბმულად ჯაზი.  
ახლა სოფელმა მრგვალი კვამლი უნდა ინატროს.  
მრუში ბურუსი ეგრაგნება ვილაცას თავზე,  
ის გდია და დუმს. ქირქილებენ სხვები დალლამდე.  
ინვის ხომალდი, მენამული მილებით სავსე,  
ვილაც ნკვარამი ითხოვს მეცხრე ზეცას... ახლანდელ  
თაობას ართმევს იმ ბავშვობას, რომელიც არგეს  
მისმა უფროსმა თაობებმა... როყიო ხმები  
ცისფერ ეკრანთან დაუნდობლად ამსხვრევენ სარკეს,  
ჩვენ კი ისედაც არ გვინახავს სარკე და ვხმებით,  
როგორც ბავშვობადაკარგულნი ჩრდილის მხარეში,  
ვისაც შიმშილის და ტყვიების გვახსოვს თარეში.

## **მატხოვრისი 15.10.2016.**

*(სალომეს)*

შავი გეგმები ფიფქებივით როცა დნებიან,  
მყისვე მახევებს გამოხედვა შენი, უზადო.  
შენს თმაჩამოშლილ სახეს მხოლოდ ლიანებიან,  
მწვანე ტყეებს თუ შევადარებ... მინდა, ვუცადო  
ჩვენი სიბერით სიკვდილის წამს; მეტს ვფიქრობ ველარ!  
ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაქრის თავში სიცოცხლე რტოთა.  
შენ არ ღამდები – შენში შავი არ არის, მზე ხარ,  
რომელიც ჩემში ამოსვლისას ყოველთვის თრთოდა.  
შენ მოკიაფე ვარსკვლავი ხარ! უნდა შემახო  
ქიმები შუბლზე, ღრმა უფსკრულში როცა ვვარდები,  
მუდამ ყვაოდე, მაცხოვრისო ჩემო ვენახო,  
ყოველთვის გედგას უხილავი შარავანდედი.

სადაც უფსკრული, ვენახი და შენი შუქია,  
ვარდნა, უდაბნო და წყვდიადი ვის გაუგია.

დავდივარ სადღაც, სად – არ ვიცი. ვიმწყვდევ ბაგეში  
ქვეყნის სამდურავს და თოვლივით ბნელში ვენტები,  
გაივლის სუსხი, ზამთრის შუქის კვალზე ნაგეში,  
რაფაზე ჭირხლის დადნებიან ორნამენტები.  
ვხოხავ გვირაბში უიღბლობის, ვეძებ დაკეპილ  
ბილიკს და მაკრავს ლურსმნებიან ჯვარზე ღამის ცა,  
სივრცეს ლოკავდნენ მაგიური ლიანდაგები  
და ბოლოს მივხვდი, მარტოობამ ჩემს სულს რა მისცა!  
გავყევი ფიქრის ლიანდაგებს... მხეცმა არწყია  
თითქოს ბუნაგში, ისე ყარდა ირგვლივ ყოველი...  
ვიცი; ანმყოში ვინც პატარა, უხმო ბარტყია,  
მალე გახდება უახლესი ზეცის მქსოველი!  
ჩემს კარზე მუდამ კაკუნია! ლენავენ კეტებს  
ვიღაც ქაჯები და არ ვიცვლი ფეხსაც მწოლარე;  
ეს არ მალეღვებს... მე მათ გარდა, სიკვდილიც მეძებს,  
მაგრამ ნისლივით მეფარება თეთრი ოლარი!

ვიცი, სულებიც მიპოვნიათ ერთხელ, მალეები,  
მაგრამ მანამდე გულგრილობით ჩამაძალღებენ.

## **მუხანელ ცინიკოს 08.08.2016.**

ჩამენგრა ხიდი! ტაეპები უკვე ქარშია,  
მიტოვებს ბედის ანაბარად ხილვას ტაროსი.  
ყელზე მეხვევა დაწყველილი ძილის არშია,  
დამცინის ვილაც ცინიკოსი და ბარბაროსი.  
ჩემი ცხოვრება უსასოო, ნეტავ წინ იყოს  
(ვინ რას გაუგებს მტკნარ ლეგენდებს სხვა სამყაროზე?)  
რა თავში ვიხლი, რა აქვს თავში ბინძურ ცინიკოსს,  
მე მაგის დედის დედის დედას ვებარბაროსე?!...  
თავიდან მომწყდი სიმახინჯის ყველგან მძებნელო!  
სუნთქავს ბებერი დედამინა, ცოდვას შენით!  
გინდა, სიცოცხლეს და სინათლეს რომ ემზებნელო,  
მაგრამ იხრჩობი საკუთარი ღვარძლით და სენით!

ეჰ, საცოდავო, ნეტავ მოგცა ჭკუა, მე – ფული,  
რომ აღარ ვიყოთ ერთმანეთით განამებულნი.

## **უჯიშოჯი 13.08.2016.**

ააღდა მასა, ააღმასა მასა აღმასთა  
ბრწყინვამ და სადლაც კუბოკრული კუბო კანკალებს.  
მგ ზავრი ისვენებს უდაბნოში გამხმარ პალმასთან  
– იოლი ლუკმა ჩაუგდიათ ხარბ ღრიანკალებს.  
უჯიშო ძაღლო კრავის სახით, სტუმარს ქვით ელი?!...  
ასე თამაშით პირველ მცნებას უკვე შეები!  
სიცოცხლის მიღმა მიგატოვებს შუქი ყვითელი  
და შენც გაგყვლეფენ პირმცინარი მევახშეები.  
გადავიმსხვრევედი დაღლილ მუხლზე გველთა არმიებს,  
რადგან სულელებით ვაჭრუკანებს უკვე ვერ ვიტან!  
ფარისეველებმა მჯიჯგნეს, მაგრამ ვერ დამარბიეს  
და აღარც შორს ვარ უნდობლობის გრილი ნერვიდან!

მუხლებზე ვდგავარ მხოლოდ ღმერთთან, იმათ კი ზრახვებს  
ძვლამდე ჩავუსვრი, ვინც ორმაგი თამაშით მახვევს.

## შიშის ჰაშიში

18.08.2016.

არ ვიცი, რას ვგრძნობ ახლა, როცა ასე მამძიმებს  
ირგვლივ ამდენი ნეგატივი, ამდენი ტრავმა,  
ვცლი ტრაგედიით გადავსებულ გიშრის ბარძიმებს,  
რომ საბოლოოდ ვერ დამძლიოს ცხოვრებამ, შავმა.  
ტრიალებს სცენა – დედამინის ჰანია ასლი,  
მე დაცემამდე ვცეკვავ მთვრალი; ასე საშიში  
არაფერია! ვეომები ვნებებად დაშლილ  
სხეულს და მუდამ მელანდება შიშის ჰაშიში.  
სისხლის ცრემლებით გაგიჟებულს, ველტვი ნახატებს,  
ვიკავებ სპაზმებს, ეკლით ვმოსავ ხორცის ვნებიან  
ექოს, ვხარხარებ და თვალებში ბნელს მილაღადებს  
კოშმარი, სადაც ნყვდიადები მერიტმებთან.

არ ვიცი, ვარ, თუ არ ვარ. თუ ვარ, არ ვიცი, ვინ ვარ,  
მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემს ძვლებშიც იმსხვრევა ყინვა.

## სცენები

28.06.2016.

როგორც ისარი, ისე აპობს ჩემი ხმა შორი  
სივრცის ღამეულ მდუმარებას... ნისლი კვლავ არი,  
ქალაქს ატყდება კუდიანი ვარსკვლავის მძორი  
და მკერდში იწვის დაკლაკნილი ნავარსკვლავარი.  
კედლებზე ეცხო ფოსფორული კიაფის ლორწო,  
დიდი ხანია ბნელა... ალბათ, აღარც ინათებს...  
თმები ყალყზეა; ფიგურები ღამით უხორცო  
საფლავზე გიშრით მიეხატათ ილუმინატებს.

გამოქვაბულში ქვისმთლელების კრება ყოფილა!  
ექვსი რქოსანი ინაწილებს გაცვეთილ ორდენს,  
ძუ მგელო, შენ ხარ უშიშარი ჩემი დობილი,

ის ხარ, ტურებმა ვის ხილვაზეც კივილი მორთეს!...  
ყველა მოკვდა და მეც სულს ვლაფავ, მხოლოდ, გიყვებით  
ფიქრებო, სული როგორ უდგას მინას ბრიყვებით.

**დრო მოქალაქე**

**13.07.2016.**

დრო შეიცვალა... საქართველო სადაც შევარდა,  
იქვე იპოვა მარტოობა ბეცი ღამურის,  
აღარ ანუხებს გატყორცნები ცას სატევართა,  
მაგრამ ანუხებს ლურჯი ფერი – ფერი გვამური.  
ტურა კი დაძრნის... არ ჩერდება მხდალი ტურა შინ,  
რატომღაც, ისევ „თავის შვილებს ხოცავს მედეა,“  
ვინც ცოტაობდა ჩვენს სულში და ჩვენს კულტურაში,  
დღეს იგი ჩვენი „მარჩენალი“ და „მოკეთეა.“  
სადედინაცვლოს ისევ ეძებს გარეთ პლატონი,  
დროიძის ხრიკებს კვლავ არ ყოფნის ერთი ძალაძე,  
იმედი დაგვრჩა მხოლოდ; იქნებ, დაიბადონ ის  
ლექვები, რათა დაამშვიონ დრო მოქალაქე,

იმ ბავშვებით, ყოველდღე რომ ქუჩაში ვხედავ  
და ვინც ტირიან: „პური როდის გვექნება ნეტავ?...“

**სუნთქვის რეცეპტი**

**23.11.2015.**

*(სალომეს)*

მუდამ იყავი იდუმალი შუქით მოსილი,  
ვერ გამიგია, ხარ, არა ხარ, გხედავ, თუ არა...  
ყველგან და მუდამ, ნისლი დაგდევს ანგელოზივით,  
შენ ის ბალი ხარ, ზამთრის ყინვას რომ ეუარა.  
შეები სიკვდილს და სიცივეს, ღამეს შეები  
და გაიმარჯვე! შენ ხომ გჯერა – გვხედავს იესო.  
კვლავ აიდგამენ ფეხს ყინულის მიწის მზეები,  
რომ ჩუმი ქალის მღუმარება გავაპიესო.  
ჩემს პალიტრაზე ის ფერები ისე უხვია,  
რომელიც მანდილს გიმოსავენ სიჩუმით და ის  
ყვავილთა გუნდი, შენს აპრილში რომ შეუხვია,  
როცა ხვდებოდი წყაროსავით მჩქეფარე მაისს!

ვიცი, რომ ჩემთვის შეადგინე სუნთქვის რეცეპტი,  
ვიცოდი, ჩემთვის მუდმივობას გაიმეტებდი.

**საერთმანეთოდ**

**22.03.2015.**

*(სალომეს)*

საერთმანეთოდ მიწა გვინდა, ოდენი მარცვლის, სახეტილოდ – ვრცელი მთა და უცვეთი ქოში, ჩვენს თბილ სამყოფელს არც სამეფო სასახლე არ ცვლის, აქ ვერასოდეს შემოაღწევს თებერვლის თოში. ბნელში აინთე, ღიმილისას როგორც ინთები, ზეთისხილის რტო მოგიტანოს შორიდან გვრიტმა, გათეთრდებიან ჩემს თვალებში შავი ბინდები, ახალ მუსიკას მარგალიტის დაუკრავს რითმა. არსად ნახვიდე, ჩემთან დარჩი ჩუმიად და კიდე არ აიბარგო არასოდეს ლექსიდან, არა! ჩემს მომავალში მუდამ შენი არსება ზიდე, გარეშე ჩვენი სიყვარულის, დაგვრჩება სხვა რა?

მზერას ვერ მოგწყვეტ – შენ ხომ უკვე მომაპყრე ტბები, მე მათ ჯადოში ვიძირები, მათ ფსკერზე ვთბები.

**ბუნების მიტყველება**

**18.04.2009.**

აღმოსავლეთით, აყვავდება როცა საკურა, ან ამწვანდება დასავლეთით როცა პრერია, სამხრეთით, წვიმა ცამ სავანებს თუ მოაპკურა, მზე თუ გაიგებს! ან ტაიგებს რომ უმღერიათ...

მე ვარ, ვინც ამჩნევს ამას ყველგან; ზღვებს, მთებს და ველებს სხადასხვა ხმებზე, სხვა ენებზე რა ამეტყველებს.

სალამოს ექვსი საათია. ზამთარს ერია  
ღრმა შემოდგომა. იგონებდი ბურუსს, გუშინდელს,  
წითელთმიანო, ახლა ცხელი დეკემბერია  
და გსურს, ქმარს რასაც დაუშავებ, შვებას უდრიდეს.  
მზერა ცეცხლია, გული – ვერცხლი, დღე – გული მერცხლის,  
შენ ხარ სისხლსავესე, ცხელ გულებში როგორც ამური,  
მალე ინტიმიც ყურს მოიჭრის, შენთვის მოვერცხლილს  
და აკვნესდება სხვა მინდორზე სხვა სალამური.  
გაძლება უნდა უცხო თვალებს, შიშველს, ეკლიანს,  
თვალებს მენამულს და ტკბილ სუფრას, გაშლილს ქართულად,  
ოთახში ორთა საიდუმლოს ანარეკლია  
და თეთრ ლანგარზე მოზაიკის კლდე აღმართულა.

სასთუმლის ჭრიალს ვერაფერი შეცვლის. სანირავეს  
იღებს და მწირველს ნეტარების ტბაში ჩაძირავს.

ორი არსება არის ჩემში – სტუმარი თავის  
და მასპინძელი თავის სტუმრის, თვითონ სტუმარი,  
ლლიან ერთმანეთს, არ არსებობს მსურველი ზავის,  
ვიდრე უღაბნო არ გავხდები ნასამუშარი.  
რადგან მასპინძელს არ შეშვენის სტუმართან რისხვა,  
ღმერთმა მე, მე კი თავს მივმართე: „შენ იცი, ვის ღლი?“  
და როგორც სადღაც შტორმში არღვევს საზღვრებს შავი ზღვა,  
დამსკდარ ძარღვებში მოთქრიალე ვიგრძენი სისხლი!

მასპინძელიც ვარ საკუთარი თავის, სტუმარიც,  
ხან მოგნიასე, ხან მტირალი, ხან, მდუმარე.

## თახნამოგა მარტოგაზა

03.10.2009.

მე მძინავს. თვალეზგახელილი ვუმზერ უჩინარს,  
Ко мне приходит сон (плохой, или хороший)  
ჩემი იღბალი სადედოფლო ხელებს უჭირავს,  
სურს, რომ ჩაძიროს მარტოობის ღრმა სამყაროში.  
აღბათ, ასეა დედოფალი – არ გინდა, კბილი  
უბედურების პოეზიამ შენც გაგკრას, მწარე,  
მუდამ მარხულობს ჩემზე გული, ვერ გახდა ხსნილი,  
ის, რაც ვერ ათბობს, მზეა შენი, ჩემთვის კი – მთვარე!

მე დავინახე უხილავი შენთვის ველები  
(ლექსშია ჩემი სამყოფელი, ჩემი კარავი)  
იცოდე კარგო, მას შენთვისაც ვერ შეველევი.

მე ვხედავ იმას, რასაც ამჩნევს, აღბათ, არავინ,  
გალაკტიონის და ბოდლერის თრობის საათებს,  
მას ვერ დავკარგავ; ის ჩემს ხელებს ხუნდებს დაადებს.

## ცეცხლის დასეპი

05.05.2007.

შენ მოგიხმობენ დაშხამული ღვინის თასები.  
ჯოჯოს თვალებით თავს გატყდება ღამის ანთება,  
სავსე მთვარის დროს თეთრ სივრცეებს ეანდაზები  
და გიპყრობს წამის შორეული გამუტანტება.  
შენში უკრავენ მოგნიასე ცეცხლის დასეპი,  
უფსკრულში გინვევს მისი ალი, მისი ნათება,  
მკვლელი დუმლით, სისხლის შტორმით და გაბრაზებით  
ელი, რომ სადღაც ბელზებელი დაიბადება.  
შენ ერთდროულად ხარ და არც ხარ, დუმხარ და ისმი,  
ჩაუმქრალ მზერას თვალში ეკლად აღარ ეტევი,  
ცხელ ძილში მოხვალ, გამიღიმებ და მეტყვი: „kiss me”  
და დილით სხვაგან გაგაფრენენ სხვა კარეტები.

იქ ის დღეები, ჟამთასვლით რომ მობერდებიან,  
წარსულის შხამით მოგესლილი მოლბერტებია.



ეს მე აღმიქვამს ხალხი ავდრად, ვწვიმვარ, ქარად ვქრი,  
როცა სინათლის ორნამენტებს ედებათ გროში,  
მაშინ ჩემს ხმაურს გაგონება უნდა არაფრის  
და ჩემს წყვდიადში ცეცხლის წარღვნის ტყდება დებოში.  
ჩემში წერტილიც აღარ დარჩა იმ ჩუმი ჩქამის!  
რისხვით ვაჟღერებ ცის და მიწის გამთიშავ ნოტებს,  
მშრალ კალაპოტებს თასებს ვალვრი უღევი შხამის  
და გრგვინვით ვლენავ განთიადის მსხვილ და შავ ტოტებს.  
ეს მე ვარ მკაცრი გაფრთხილება უძღები სუსხის,  
თქეში და წარღვნა, ჩემმიერი, ცას არ იბრალებს,  
ვიდრე კაენში ძმის მკვლელი ზის და ეს არ უწყის,  
ადამის ტვინში ის ძეგლად დგამს ჩემს ნაფიქრალებს.

დამშვიდდი თავო, აიშენე სულის ტაძრები,  
ქვეყნის ხმაურში ბატკანივით ნუ ილადრები.

**დევი-ცხოვრება**

**20.09.2016.**

ერთი დევია ეს ცხოვრება. ის დღეში სამჯერ  
წელში განწყვეტილ კაცს მიირთმევს და უბოდიშოდ  
ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილებს თავზე აჯდება;  
ვერ ამჩნევს. თუმცა, ისედაც ხომ ყველა ადგილი  
მისია მუდამ, მათ შორის კი სანყალი კაცის  
გამხდარი წელი, ვინრო მხრები, წვრილი კისერი.  
დევი-ცხოვრება გეჭამს და დაგვცინის,  
ჩვენ კი ყელშიც ვერ ვეჩხირებით, რომ არ დაიხრჩოს.

**ვუყურებ სარკეს**

**29.11.2016.**

ვუყურებ სარკეს. ანარეკლის უკან ველოდი  
ღმერთის სილუეტს... მე მთლიანად დავთმობდი სხეულს,  
დავთმობდი სულსაც, სააქაო „სასუფეველსაც“  
(ეს ადვილია; ის არსებობს არსად, არასდროს...)  
მის სანახავად...  
მაგრამ კეფაში მხვდება სილა, მძლავრი და მძიმე  
და მალენინებს უხილავ სარკეს.

**არაპიბ**

**14.03.2011.**

აჰა, წავიდა: მოვედი, ვნახე,  
მივხვდი, რომ აღარ მინდოდა იგი,  
სილა გავარტყი და შევაფურთხე,  
ქვას დავანარცხე, ორჯერ მოვკალი,  
წავართვი ყოფის ბოძებული და  
წავედი; მე ხომ მნახა არავინ.  
ის იყო ჩემი სიშავე ჩემში.

იგი წავიდა დასაძინებლად. არავინ იცის,  
სად, რატომ, როდის.

უკურნებელი სენით ყოფილა ის შეპყრობილი  
– ასე ამბობდნენ.

ხალხის ჩურჩული არ ასვენებდა, ეგონა, ტვინში  
ჩაჭლრიალებდნენ.

მან გაიარა გადარეული ნევრასთენია  
და განმარტოვდა;

ეგონა, ასე აირიდებდა მოხეტიალე  
სულთა ბორიალს.

მუქმენამულად შეღებილ სარკეს დიდი ხანია,  
არ ატარებდა,

ველარ ამჩნევდა ეზოში თბილი აპრილის სხივთა  
შემობრძანებას,

აღარც იანვრის ხარხარი იყო მისთვის სიცივის  
მანიშნებელი.

მთელი ცხოვრება ელოდა იგი აღსასრულს, ის კი  
აგვიანებდა...

მუდამ საეჭვო არსებად თვლიდნენ; საშინლად ცოტას  
ლაპარაკობდა,

ჰოდა, წავიდა დასაძინებლად და არც არავის  
გახსენებია.

იგი ილტვოდა დავინწყებისთვის. მიიღო კიდეც  
და ვერავინ თქვა,

სად გაქრა იგი, სად წავიდა, სად დაიკარგა;

დასაძინებლად განმარტოვდა, თუ მიტოვებული  
გარდაიცვალა...

იგი წავიდა... მან მიაღწია მწვერვალს: წავიდა  
დასაბრუნებლად.

დაგლეჯილ სივრცეს უბედურება  
 გადაეფარა სარაფანივით  
 ადამიანის ნანგრევებში ეძინა რწმენას  
 მეზღვაურები ღეჭავდნენ თუთუნს  
 და ნავსადგურში შეშლილივით ცეკვავდა ნავი  
 ანმეოს ღრიჭოში წარსულიდან შემოიკლაკნა  
 დედაბრის ფრჩხილებდაკვნიტილი შელოცვა  
 თოვდა  
 იზარებოდნენ უმინებო სახლში კედლები  
 და ჩიტებისგან მიტოვებულ სოფელში უნდო  
 გამვლელის თვალებს ეწყებოდათ კოლაფსი  
 თოვდა  
 ნესტიან სარდაფს კიდევ ახსოვდა  
 თვალებდათხრილი თოჯინების ხაფი ხარხარი  
 იმ სახლში სადაც არასოდეს იყვნენ მინები  
 ფანჯრის ჩარჩოზე შეფარებულ ქათქათა ფარდებს  
 კელაპტრის შუქზე გაგიჟებით არხევდა ქარი  
 იმ სახლში სადაც ჭერის ნაცვლად იყო სიცილი  
 ყოველ ლოგიკას მოკლებული სიცილი  
 თოვდა  
 ამოდიოდა სარდაფიდან მძაფრი ბუყბუყი  
 ადამიანის ნანგრევებში ეძინა რწმენას  
 და დაეფარა დაგლეჯილ სივრცეს  
 უბედურება სარაფანივით

ოი, მე ვტირი – მსაყვედურობს ყველა სიცივეს.  
რა გავაკეთო, რა გავაკეთო?!  
რატომ ვგონივარ ქედმაღალი უცნობს, თუ ნაცნობს?!  
სულ სხვადასხვაა ჩვენი ენები,  
კარგად ვიცი, რომ ჩემი არ გესმით,  
მე კი არ მესმის ამ სამყაროსი,  
არც მინიერი ხალხის არ მესმის,  
არც ჭინჭებზე, თუ ლითონებზე მოფიქრალისა,  
არც მათი, მუდამ მოხვეჭაზე რომ საუბრობენ  
და ძილშიც რომ ვერ ისვენებენ ციფრებზე ფიქრით!...  
მაპატიეთ, რომ ეჭვი შემაქვს მომხვეჭთა მიერ  
იესოსათვის „მიკუთვნებულ“ ეროვნებაში;  
ის ხომ არასდროს ყოფილა მიწის!  
ახლა ჩვენს შორის ბაბილონის არის კედელი...  
მე ვტირი, რადგან მსაყვედურობს ყველა სიცივეს,  
მე კი არ ვიცი, ვნუხვარ, არ ვიცი,  
ეს უხილავი ჩემი სითბო როგორ გადმოგცეთ!

## მე მომივიდა თავში მუსიკა 12.05.2008.

მე მომივიდა თავში მუსიკა რომელიც შექმნა  
თხანვერა კაცმა  
ორლარიანზე რომ ახატია  
მის მუსიკალურს ვნატრობ გონებას  
აღბათ არავინ იტყვის არ მღერის თუ დუმს ჩვენს თავზე  
ღრუბლების აცმა  
მუსიკა სულის ანდამატია  
მინდა ვიმღერო მინდა ვიმღერო ჩემი სამშობლო  
ჩემი ხატია  
მე პოეზიას მივეცი კვერთხი და მოვახურე  
მეფის მანტია  
ადექი თავო და დაუკარი დღეს ჩემი სული  
დარდიმანდია  
როცა დუმილი მესმის კარგად ვარ  
როცა ჩუმად ვარ მაშინ ვხმაურობ მოლაპარაკე  
მინდა დუმილი  
ჩემს მღვიმეებში ინახებიან ჩემი სიტყვების  
მწვანე გუნდები  
თუ სიჩუმეში გავიხლართები უმუსიკობა  
ხდება ობობა  
როდესაც თავში უკრავს დუმილი მაშინ მერევა  
ავადმყოფობა  
ჩემო თვალებო თუ ჩამომართვით კითხვის კითხვის და  
კითხვის უფლება  
მომკლავს სიბრმავე იქ მზე არ არის და არც ეკლები  
ჩანს ალუბლებად  
როცა არ ვმღერი მაშინაც ვმღერი მაშინაც ვმღერი  
როდესაც ვმღერი  
მე უსიმღეროდ ვერ ვიქნებოდი ვერც ჩემი თმების  
ერთ ერთი ღერი  
ჰოდა იმიტომ ვარ რომ ვიმღერო აღბათ სიმღერაც  
იმიტომ არის

ვის გაუგია ფეხზე დადგომა სიცარიელით  
სავსე ტომარის  
მე მომივიდა თავში მუსიკა რომელიც შექმნა  
თხანვერა კაცმა

## **მატირიკი**

**27.08.2016.**

ადამიანთა ღრმა ფიქრების ვრცელ საუფლოში  
მე გადავწყვიტე, ბევრი მევლო. ველარ ვჩერდები!  
მესამე დღეა, წყალიც კი არ დამიღვია,  
რომ უფრო მძაფრად საშინელი მეგრძნო წყურვილი  
და ზღაპრულ შედეგს მივალწიე – ვნახე ცხოვრების  
მონყენილობის დასასრული და თუნდაც მოვკვდე,  
მკვდარიც ვიქნები, ჰო, ვიქნები, წყალზე – თევზივით,  
შიშველ მინაზე – მხიარული მეგუთნესავით,  
ჰაერზე – ბნელი სატუსალოს პატიმარივით,  
ცეცხლზე – ტიტველი და კანკალა ავადმყოფივით,  
მარადიულად და უგონოდ შეყვარებული.

## **ჩემი კოშკი**

**30.08.2016.**

მე ავაშენე მყარი კოშკი. იგი შედგება  
ქათქათა კრავთა დაღრუბლული ფიგურებისგან.  
წყვილ დერეფანში უსწრაფესად მიმოდის კვამლი.  
თეთრი ჰაერი ეუფლება გონების მწვერვალს.  
ასე კარგია! მე დავფრინავ ახალგამომცხვარ  
სიცილის ცაში; უკვე ვიცი, რომ ეს-ესაა,  
მწუხარებისგან საბოლოოდ მოკვდა სიკვდილი.

**მელექსის სული**

**02.04.2016.**

*(სალომეს)*

მუდამ და ყველგან გიყურებენ ჩემი თვალები,  
თითქოს იყავი დედამიწის შქმნამდეც ჩემში.  
სიცარიელე სამუდამოდ დავკარგე, როცა  
შენ მოგიპოვე, როგორც ცეცხლი, უქრობი გულში.  
შემომეფარე გალავანო და დაიცავი  
მელექსის სული სიგიჟისგან და სიკვდილისგან,  
როგორც მშობელმა და მკვებავმა ყოველი შუქის,  
როგორც დარაჯმა ტკბილი ძილის, როგორც მებაღემ  
მოვლილი ბაღის, როგორც ძიძამ ღიმილის ბავშვის.  
ზამთრის სიცივეს ველარ გრძნობენ ლურჯი ხელები,  
რადგან დაუმშრალ კალამს მანვდი და მიმეორებ:  
„ჩვენ ვართ სულდგმული ერთიანი ორგანიზმისა.“

**საიდუმლო ბაასი**

**17.06.2016.**

მე ჩავუფექი და გავშალე მართკუთხა ნივთი,  
რომ გამეზარდა გონების ფარი.  
თითქოს, კლდეები ირღვევიან თავის ქალაში.  
გული ლივლივებს, რადგან ვიპოვე  
მარადიული მოსვენების ჭეშმარიტება!  
ყველგან დავეძებ ქვეყნის მარილს, რომლის აქამდე  
გამოყენებაც ხვეულ ფიქრსაც ვერ გაებედა...  
სცენა ტრიალებს, ვუმზერ ეკრანს, ყრიან ლოდები,  
მტრედი ლუღუნით დევნის ყორანს და ვუსმენ უხმო  
ქარაშოტების საიდუმლო ბაასს, ვიღვიძებ  
და რეალობამობეზრებულ აჩრდილს ვთამაშობ.



ნელ-ნელა ვიდგამ ფეხს ხომალდზე (მხოლოდ ახლალა ვხვდები, რომ ძვლების ხომალდზე ვარ ამდენი ხანი...) ხომალდს ეყენა იალქნებად ღამურის ფრთები. ტრიუმი ქაჯის გაუმაძღარ სტომაქს უგავდა. გემბანი იყო ლავინების. გახრწნილ ფიცრებზე შემოდიოდა ფეხაკრეფით ჩრდილი და ყეფდა, როგორც ქოფაკი, ძვლების ჯაჭვით ცაში აბმული. დუღდა ლორწოვან ორგანიზმში ლავა ვულკანის. მე დღემდე იმის წარმოდგენა მინდოდა მხოლოდ, რომ ვერასოდეს ვიხილავდი ამ ყოველივეს... მე მიყურებდა მონამლული მახვილი. ვდუმდი.

**განუწყვეტლობა 26.06.2014.**

*(სალომეს)*

ხარ: რა კარგია!  
მეც იმიტომ ვარ, რომ იყო მარად.  
რადგან უფალმა დაბადება ინება ჩვენი,  
სულ რომ წავიდეთ, მაინც დავრჩებით,  
რადგან არსებობს ერთი გული ორ სხვა სხეულში,  
თეთრი ფურცელი, ლექსის სიკეთე  
და სიყვარულის განუწყვეტლობა.

**არა, არ მინდა არაფერი 23.09.2014.**

*(სალომეს)*

არა, არ მინდა არაფერი, მართლა არ მინდა,  
ოღონდაც, ჩვენმა სიყვარულმა იფრინოს ისე,  
ჩვენმა გონებამ მნიშვნელობა რომ არ იცოდეს  
სიტყვა „სიკვდილის“  
და როცა ნავალთ ამა ქვეყნიდან,  
ჩვენს წასვლას ქონდეს სამუდამოდ დარჩენის ფასი.

**დარჩი, სადაც ვარ 21.06.2015.**

*(სალომეს)*

ვწევარ და ვისმენ, ჩემი ფიქრები  
ჩვენს აივანზე როგორ დადიან.  
არ გაყვე ფიქრებს ოთახისკენ, დარჩი, სადაც ვარ,  
განაგე ჩემი სამუზეთი, დამტოვე ჩუმად,  
რომ ვიყო კალამშემართული და გხატო ისე,  
რომ ჩანდე ქართა მდუმარებაში  
და არ მომწყინდეს ჩემს ბნელ ნიაღში  
შენი არსების სიკაშკაშე. დარჩი, სადაც ვარ.

**ყორანირონია**

**02.09.2010.**

ყორნებო, ჩემსკენ გამოფრინდით, უნდა გაჭამოთ, მე დაგაპურებთ კაცის გრძნობით, აჩხავლდით ისევ. ნუ დადუმდებით, არ ნახვიდეთ, მომენატრებით! მე ხომ უთქვენოდ ვიქნებოდი ღრმად რუტინული, და მოსაწყენი დედამინელი...

აჰა, გაძეხით – ასე მუდამ გემახსოვრებით. დედამინაზე უნდა ილოლოთ; თქვენი ბინა ხომ იქაა მუდამ.

კაცის გრძნობებით გაიბერეთ, ამოიყორეთ მუდამ უძირო სტომაქები და იგალობეთ.

დაე, იყავით მჩხავანები, საკრალურები, დაუვინყარნო, ჩემო შავო მომგონებლებო!

ვიცი, რომ ეშმაკს შეეკარით და სინანული სულს აკანრინებთ, ვისაც თქვენი სმენა წყურია!

თქვენი ღიმილი გუინპლენის არის... მაშინებს.

ეს თქვენ ააგეთ ეშმაკების ძვლების კოშკები

და მუდამ გიყართ ჩიჩახვებში ხორცი და ძვალი,

მთელი ცხოვრება ველარ ძლებით ამ ნაფლეთებით,

არც თავებს იკლავთ, მხოლოდ ჩხავით, მხოლოდ ხარხარებთ.

მტრედი არ არის, ყორანია ჩემი ფრინველი.

**როცა გიყურებ**

**11.01.2015.**

*(სალომეს)*

როცა გიყურებ, მე ვიცი, რომ ვმდიდრდები მაშინ და არასოდეს აღარავინ იქნება ჩემზე

მდიდარი, რადგან სიბერისას მექნება უკვე

დროის შიგთავსში შეგროვილი ხილვები შენი.

ჰო, ეს ისაა, რაც მინდოდა; ყოველ რიჟრაჟზე,

გაღვიძებისას, იმას ვხედავ, ასე რომ მიყვარს.

„მზევე, ნუ იქნები, ნუ იქნები ისეთი მწველი  
 – ევედრებოდა ერთი კაცი ნათელს, ცისიერს –  
 კრატერად ვრაცხო მკერდი ჩემივე,  
 ჩემი ცრემლები – ლავის დინებად,  
 დაღრღნას ძარღვები მხურვალეზამ ჩემივე სისხლის,  
 ცაო, მეც შენში დამიტოვე, ნუ შემოიძულებ.“  
 მზის სიცხე იქცა წყეულ სტიქიად,  
 დაიწყო დნობა ჩამსხვრეულმა უფსკრულში გულმა,  
 ჩანჩქერის სახით შხუოდა სისხლი,  
 ირგვლივ იწოდა ყოველივე... ცის კაბადონმა,  
 წყლისა და ცეცხლის, ჰაერის და მიწის ბატონმა  
 ძვლების დაღენწვა უბრძანა, რადგან  
 ავმა ტაროსმა უსახური სპექტაკლი დადგა  
 და განიდევნა კაცი იგი ედემის გარეთ  
 და შავ-ნითელმა ღელეებმა წაღეკეს იგი.  
 მან ამოღერღა: „მზევე, დაბრმავდი, სიოვ, იქარე,  
 დაე, იქარე, სულერთია!... უკვე ჩამჩეხა  
 უფსკრულში ნისლმა, სიყვარულით ვერ გავიხარე,  
 მე მოვიხარე საკუთარ მკერდში,  
 მე გავექეცი ცრემლებს, მაგრამ წამომენივნენ,  
 მე სიზმრის გვამში ვნახე ყინული,  
 მაგიური და ძვლებისმმტვრეველი  
 უმდევრო დევნილს ჩამაფრინდა თვალებში ღამე!  
 გრძნობა ცალმხრივი – უექიმო, უადრესატო,  
 უკურნებელი, უპატრონო გვამია... ჩემი  
 ჰობია მზეო უსაზომო ცრემლოფობია.“

I

ეს იყო ის დრო, რომელმაც ასე  
 თქვა: „მე ავი ვარ, ავი, მაგრამ ასეთ ეპითეტს  
 პირში ვერავინ გამიბედავს, მათ შორის, ვერც შენ,  
 ჩემში მცხოვრებო საცოდავო ადამიანო.  
 პირდაპირი ვარ. თუ შენც გინდა, იყო ძლიერი,  
 ამიმხედრდი და დამამარცხე...თუ მე წაგაქცევ,  
 დამემორჩილე, რომ შეგერჩეს ძალა  
 წელისათრევით, მაგრამ მაინც წამოდგომისთვის.  
 ჩემთან ნუ ბედავ შერკინებას, დაილუპები  
 თავს რომ გაბეზრებს, იმ ბუზივით, რომ დაგტრიალებს,  
 ოთახში გიხვრეტს ტვინს მკივანი, მკვლელი ბზუილით,  
 თავის ქალაში გაუმართავს უჯრედთა ჯგლეთა.“  
 ჩვენ დროს ვუსმენდით, ზოგი თავსაც უკანტურებდა,  
 ზოგი ერთმანეთს ეუბნებოდა:  
 „რა აფთარივით მყრალი დროა... ჩვენი თაობა  
 მან შეინირა, მოდი, გავფრთხილდეთ,  
 გავფრთხილდეთ, თორემ ამ ცოდვილი ჩვენი ცხოვრებით  
 ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა დამოკლდება.“  
 თანხმობის ნიშნად თავს ერთმანეთსაც  
 ვუკანტურებდით, ამის შემდეგ კი ზოგიერთებს,  
 უხვად მცოდავებს, გვახსენდებოდა,  
 რომ ვუნოდებდით უსაცოდავეს  
 ერთმანეთს გულში, ერთმანეთი რომ მოვატყუეთ,  
 მაგრამ გვესმოდა, რომ ჩვენ ერთმანეთს  
 ვერსად, ვერასდროს ვერ მოვატყუებთ.

II

ბურუსში ავად საუკუნის მიჯნა ხაოდა:  
 „მომეცი პური, სისხლის ზღვა და სანახაობა.“  
 აქ ბევრმა თეთრმა, უფერულმა, შავმა, წითელმა,  
 ხორხის კედლებით ცხელი ტყვია დააგემოვნა.

სიკვდილის სუნთქვა, მოარული, ცოცხალი ჩონჩხი!  
როდის ქონია მიჯნურობნას მიჯნა მისჯილი?!  
საზღვრებს არღვევენ უცხვირპირო, მღვრიე, უჟმური,  
ყალბი და კუშტი სახეები, ხისტი, მლიმარე,  
ძველი მონეტით დაშტრიხული და უსახური.  
მენამულ შტორმზე ამხედრებულ მეისტორიეს  
– მეღანქოლიის გიჟურ ხარხარს, ახრჩობდა ბინდის  
მიერ დაწნული სახრჩობელა და ეს სამყარო  
ბასრი თვალებით გვიყურებდა და ვერ იგებდა  
ერთმანეთს რისთვის ვიმეტებდით, რისთვის ვხოცავდით.

### III

მერე მოვიდა დიდთვალეა დედამიწელი  
და უთხრა თავის წინამორბედს: „ნადი მოხუცო,  
მე ვიცი, ხალხი გამომყვება ჭკვიანიც, გიჟიც;  
მე ვიცი, ხალხი გამომყვება სიკვდილის შიშით.  
ზოგი მიდის და ზოგი მოდის, თუმცა, ჩვენ ამის  
სადღეგრძელოც კი შევსვით უკვე. უცნობი დრამის  
იყოს შემდეგი სადღეგრძელო ახლა, მოხუცო!  
მე მზად ვარ, ხალხის გასაგონად, ცისფერ ეკრანზე  
რომ შენ ბინძური ეპითეტიც კი შემოგბედო,  
ვიცი, ამაზე თანახმა ხარ და აღარ გკითხავ!“  
და ეს დრო, როგორც იდუმალი ზღვის ნიჟარები,  
თავის ქალებში ცხედარივით დამახინჯდება.  
მოგონებები, ნაგიჟარი მოგონებები!  
ეს იგივეა, რაც სიზმრებში დემონთა ცეკვა.  
მოიჭრა უკან დასახევი ყველა გზა იმ დრომ,  
რომელსაც სურდა, გამხდარიყო ორფეროვანი  
და რომ მიეღო, ან გაეცა უღევი მსხვერპლი,  
რომ ემარჯვა და ძლეულიყო იმავე დროში  
მომავლის მიერ... დროს უყვარდა თავისი თავი!  
მის ტვინს იპყრობდა ურთულესი არითმეტიკა:

ერთს პლიუს ერთი, უდრის ისევ ერთიანს, ოღონდ,  
გაბერილს, ეგო-ს, ამპარტავანს, რომელიც ინვის,  
დნება და ყველა სულიერში იღვრება იგი.

#### IV

რა ლამაზია მუნჯ ნარსულთა საგალობლები!  
თუმცა, ნარსული ნარსულია და თანაც მუნჯი,  
მაინც ხმამაღლა მეტყველებენ მისი მძევლები  
იმდღევანდელი კაცთა მოდგმის ცხოვრებას, დუხჭირს,  
მას უკვირს, როგორ იყოფიან შვილები მისი,  
უკვირს სხვადასხვა ეპოქების გადესპოტება,  
მაგრამ ღორივით დაბალ შუბლს და ღრმად ჩამჯდარ თვალებს  
ის ემონება, როგორც მწერლის თითებს კალამი.  
ანმყოს ვერავინ აფასებს, რადგან  
იგი ანმყოა...

როცა გარდაცვლილ გენიოსებს მიწას აძლევენ,  
მასზე მერელა იყვირებენ: „საამაყოა,  
ის გენიოსი იყო ადრევე!“  
მაგრამ იმ დროის დაბერილი, მძიმე ზომბები  
ცრუ სახელისთვის ჯიბეს ოდნავ შეითხელებენ  
და მათი ბასრი, მკვდარი დოგმები  
ამეტყველებენ ჩონჩხთა როკვას ფსევდოსიკეთედ.  
და როცა მათი ცივი გონება  
გულების გარეთ ყველას თავის ადგილს მიუჩენს,  
აქ თვალხილული, იქ წყვდიადებს დააგემოვნებს  
და სუსტნი ამა სოფლისანი, მოისვენებენ.  
კედელი იქით წივის სულთა პანიკა. მალე  
ყალბი წალკოტი იქ კუპრის ტბად გარდაიქმნება.

**მუხლთა კორომეზი**

**12.11.2016.**

მუხლთა კორომეზი გავდნენ პირამიდებს.  
მთვარე მაგონებდა აზლუდის ნახევარს.  
მინაზე ბობლავდნენ მძიმედ ობობები,  
უცხო ობობები; კაცის სახე ქონდათ.  
მინა ძირითადად, ცხვრებით შევსებულა!  
ნინ თხები მიუძღვით, ცოტა და ცბიერი.  
არნივი გამხდარა არქეოპტერიქსი,  
ხოლო მეომარი – ტირანოზავრია.  
მკვლელები მართავენ მხოლოდღა ღილაკებს,  
მათი საწყობები თავისქალებია.  
ხანდახან ტვინს იპყრობს ნასროლი დემონი;  
იგი უმაღლესმა ავსულმა ისროლა!  
აქ ღია თვალები ხედავენ ვერაფერს,  
ვერაფერს ისმენენ ყურები, ვერაფერს!  
საშველი?!... სურვილი სიცილის... და ისევ  
ირგვლივ თავვისფერი ხდება ყოველივე.

**ჟიჰჟიჰი**

**20072016**

ბერნ დილას აღვიძებს ბოროტი ჩიტების  
გაბმული ჟიჰჟიჰი  
ძარღვებში ჩუხჩუხებს სისხლი გაყინული  
ყრია დაფხრენილი კაბები გარშემო  
შუბლში ჟრუანტელის მირტყამს ელექტრონი  
აღარც ხარხარებენ ორფეხა ვირთხები  
ყოველი ჰალსტუხი ყარს, როგორც ფეკალია  
მაგრამ მე გულს მირევს ყოფა გალაქტიკის



მე ორი ვარ. ვხედავ, ჩემი ორეული რომ დამცინის; მსაყვედურობს თავის ყოფას. შორს მიცურავს ფიქრი, როგორც ლაინერი, იზარება თეფშზე ჩემი ლუკმა მყიფე. ბავშვობიდან ყველგან ვეძებ ხერხს, რომელიც არასოდეს მიმატოვებს ჩრდილის ჩრდილში და ერთ რამეს მივხვდი მხოლოდ; არც ყოფილან, არც არიან, არც ოდესმე იქნებიან სიყვარულის ძირითადი პრინციპები. ვიცი, თავის დამკვიდრება, თავის იქით საკუთარი თავის დევნას ითხოვს მხოლოდ.

**რუსი სილუეტები 14.04.2016.**

მე გონებიდან გასაქრობად არასდროს ვინდობ რუს სილუეტებს, თეთრ ღამეებს და ლოდებიან ნაპირს და მუდამ მენატრება ბავშვობის მინდორ-ველი, რომელსაც სული დღემდე დალოდებია.

მე ვგავარ მთამსვლელს, წინ მიიწევს რომელიც, მაღლა, მაგრამ შორდება დედამინას, რაც უფრო მიდის და სიბერისას აღარც მის ღვანლს აგდებენ ძაღლად და აღსასრულიც არ ექნება ისეთი მშვიდი,

როგორც ქონდა მწვერვალისკენ სვლისას, ყინვაში, როცა დათოვლილ მდუმარებას ებრძოდა რიხით... დროა, რომ დარჩეს საკუთარი თავის წინაშე, სადაც არავინ ელის შავი ბურანის იქით.

## სარჩევი

არნივთა სული.....	3
ლეთა და სამუმი.....	4
უკაცრიელი შარა.....	5
მარადიული.....	6
ოქტომბრის ნისლი.....	7
მე-სტუმარი.....	8
ბრძოლის მუსიკა.....	9
ზღვაური.....	10
რწმენის დამსხვრევა.....	11
ფსიქო-ქაჯეთი.....	12
შორს მიწიდან.....	13
შავი გრდემლები.....	13
ყოფის დაისი.....	14
ბუნების ძალა.....	15
დაკარგული.....	16
დროის მცველები.....	16
სასახლე.....	17
საზეიმო.....	18
უნდა ვინვალო!.....	19
კლდეთა მკერდები.....	20
მინის ორი ფერი.....	21
შავი შიშები.....	22
გადია.....	23
დროების ხახა.....	23
ბრბო და მამონა.....	24
შავი ნახევი.....	25
დაბრუნება.....	25
მტირალი ქალი და სიმარტოვე.....	26
იარა ღია.....	27
ედგარი და ვირჯინია.....	28
ეშაფოტი.....	30
ჰე, მომიგონეთ.....	31
შავ-თეთრი გამა.....	31

მთვარე.....	32
NEVER .....	33
ათასწლეულის წელი მეექვსე.....	34
პარაზიტები.....	35
შენი მონა ვარ.....	36
სანთელი.....	37
სიმღერა გედის.....	37
მოდის, სურვილო.....	38
მეორე მეს.....	38
თეთრი წერტილი.....	39
ლურჯი ტოტები.....	40
გალაკტიონური.....	41
მენატრება აფხაზეთის ის ხმა.....	42
კადრები, აგურები.....	42
მე მაპატიეთ.....	43
დუმილი.....	43
გედის სიმღერა.....	44
ციხის საკანში.....	45
მტკვარი.....	45
თეთრი მხედრობით.....	46
ტაეპების ლიანდაგები.....	46
თავში დამწყვდეული.....	47
საცეცები.....	47
მინის საზღვრების მიღმა.....	48
უბალობა.....	49
ქარიშხლების დინასტია.....	50
ირიბიგ ზები.....	51
ლანგრები.....	52
მელოდია.....	53
კამარა შავეთიდან.....	54
პირველწყარო.....	55
მე მივდივარ.....	56
ტარანტული.....	57
გლახის ხეტიალი.....	58
სამუდამო ტახტები.....	59

ჩემი გემი.....	59
დარდი და შავები.....	60
უხელფეხობა.....	61
დავდივარ ყამირზე.....	61
მე და ისტერია.....	62
თითქმის არაფერი.....	62
გველების კატორღა.....	63
ალაყაფი.....	64
ბურუსის შემდეგ.....	65
სიბრმავის ბარგი.....	65
სნეული ყვავილი, ანუ მარტოობა.....	66
კარეტები.....	66
ლტოლვილი.....	67
წუხანდელი სასახლე.....	67
ტანდემი.....	68
გზააბნეულნი.....	68
შხამი და ბადაგი.....	69
დაღმეჭილი კერპი.....	70
დიდებული ონი.....	70
ლამეების მრევლი.....	71
ფიგურები.....	71
ვენახები.....	72
შემოდგომის ჭირვეულობა.....	73
უქრობი კერა.....	74
თქემის ამბორი.....	74
ზამთრის მარში.....	75
ზარები.....	75
ახალ დილას მზით ველი.....	76
მთებს და კლდეებს გადაღმა.....	77
დედამინა ახველებს.....	77
მამაჩემი.....	78
მწვერვალზე.....	79
გრძნობის ტივზე.....	79
ბალის სიმღერა.....	80
დაჭრილი.....	80

თეთრი სული.....	81
მჩხიბავები.....	81
ბუნების თამაში.....	82
შიმშილის ჰიმნი.....	82
ქარაშოტი.....	83
ჩემი თბილი გუნდები.....	84
გრიგალები.....	85
ელდა.....	86
სულ სხვა ცხოვრება.....	86
დროშა.....	87
დევის სისხლი.....	88
მიუნვდომელის თარგმანი.....	89
ბურუსის ბადე.....	90
ცამ ამინდში ჩადო ქარი.....	90
ყოფის ბარდები.....	91
ნიღბები.....	92
ფერები მთვარის.....	92
ყვითელი სივრცე.....	93
ლამის ყვავილები.....	94
მწვანე გალაქტიკა.....	94
მცხეთაში.....	95
რიჟრაჟის ტიტრები.....	95
ბუდეების მღენავი.....	96
დარაბები.....	97
შემოდგომის ბალადა.....	98
ტბა.....	99
ლამეთა ჭერი.....	100
სარკე მეუარა ერთხელ.....	100
უცხო სტუმარივით.....	101
ლურჯმინებიანი სახლი.....	102
გუბე.....	102
სიცოცხლე გიყვარდეს.....	103
სამყარო, შემცნობი თავის.....	104
მსჯავრი.....	105
მარტოსულის ხვედრი.....	106

დაცემა.....	107
სარკაზმის კეტი.....	108
სულო, არასდროს დაღამდე.....	109
ბლაუჭი.....	110
ხვეის ბინადარი.....	111
ბგერები.....	112
სურვილები.....	113
სიმალლის ჩიხი.....	114
ტახტის მირაჟი.....	115
შროშანები.....	116
ყინული და ცეცხლი.....	116
ხმები.....	117
იდუმალი იგავეები.....	118
მარადისი.....	119
შუქის ზვავი.....	119
მენამული ტოტები.....	120
სიმართლის უღელი.....	121
ჯარა.....	122
კორდები.....	122
გალვიძებისკენ.....	123
სალომე.....	124
საფეხურები.....	125
სპირიტები.....	126
*** (ვაი-მწერლები).....	126
შენდობის მადლი.....	127
უძირო.....	128
კვამლი და ძერა.....	128
გზა.....	129
მე მეშინია.....	129
მე ვსწავლობ ენას.....	130
რტოეთი.....	130
კაენის კანკალი.....	131
ქვათა დუმილი.....	132
მხოლოდ ის მინდა.....	132
ვერცხლის შედეგი.....	133

საფასური.....	133
განწირული.....	134
ბრმა მაქმანების.....	134
ბატკნის ჩივილი.....	135
გაუგებრობა.....	135
შეცდომილის მონოლოგი.....	136
მშრალი მიწები.....	137
ცხოველის დევნა.....	137
უხილავი ტალღები.....	138
შველის გარეშე.....	139
*** (ახლა ისე ვარ).....	139
*** (ცისფერ ეკრანზე).....	140
პურნი და თევზნი.....	140
ჩრდილის გვირგვინი .....	141
ხანდახან.....	141
მოუსვენრობა.....	142
კონკისტრორია.....	143
სიზმარი.....	144
შავი ზღვა.....	145
კოლაჟი.....	146
გვირაბის ბოლოს.....	147
გალავანი.....	148
ლამის ყეფა.....	148
უშენო წუთი.....	149
ღამეულ ომში.....	150
გაყინული კადრები.....	151
ობლები.....	151
ჩირალდნები.....	152
დარაჯები.....	152
ჩრდილში ბავშვოდაკარგულნი.....	153
მაცხოვრისი.....	153
ლიანდაგები.....	154
მზებნელ ცინიკოსს.....	155
უჯიშოები.....	155
შიშის ჰაშიში.....	156

სცენები.....	156
დრო მოძალადე.....	157
სუნთქვის რეცეპტი.....	157
საერთმანეთოდ.....	158
ბუნების მეტყველება.....	158
ინკოგნიტო.....	159
ზღვა უდაბნოში.....	159
თანხმობა მარტოობაზე.....	160
ცეცხლის დასები.....	160
ვწვიმვარ, ქარად ვქრი.....	161
დევი-ცხოვრება.....	162
ვუყურებ სარკეს.....	162
არავინ.....	162
იგი წავიდა.....	163
ნანგრევებში.....	164
გოდოლის ვნება.....	165
მე მომივიდა თავში მუსიკა.....	166
მატერიები.....	167
ჩემი კოშკი.....	167
მელექსის სული.....	168
საიდუმლო ბაასი.....	168
მკვდარი გრძნობების ხომალდი.....	169
განუწყვეტლობა.....	169
არა, არ მინდა არაფერი.....	170
დარჩი, სადაც ვარ.....	170
ყორნირონია.....	171
როცა გიყურებ.....	171
ცრემლოფობია.....	172
დრო.....	173
მუხლთა კორომები.....	176
ჟივჟივი.....	176
თავის დევნა.....	177